

იხსოვიან

ჩიბა ზუსისკან
ზიხადიების
ბანდის
საიდუმლო

საბავშვო
იხსოვიანი
500 ფასი
იხსოვიანი

უსლობი
მეგობარი
ჯილიქანი
ხოციანი
საჩიხად
საჩიხად

ყვლა ღიონ სავათესო
იხსოვიანი ხოციანი

კონსტანტინე გამსახურდია
დავით აღმაშენებელი
8 გოგად

ტომი VI

ფასი 3 ლარი

ნიგნი „ისტორიანთან“ ერთად – 5 ლარი

საჩიხად
საფლოს ბუბი
– ხავახიის
სიბოლო
ხუსეთის
იბუხიის ბუბი

უსლობი
ფიხუბი
ნილოხმინდანი

ანხი ხავახი
– ბილიონი
მოციხი
მოც ხილობის
„სანასვლოც“



სახიჯვი

ახალი აგებები
 ნიკორწმინდის უცნობი ფრესკები 6-7
 მატეორიტების ათასწლოვანი „წვიმა“
 დედაშიფაზე 8
 ალაშინის სიარულს ასაბი „კომპატა“ 9
 მსხვედრის „თურქეთის
 საქართველოში“ 10-11
საბჭოთა ჩეიქის წინააღმდეგ
 საქართველოს მროვნული გმირი
 ქაჭუცა ჩოლოყაშვილი 12-17
ღისაუნა
 „წიფაპურები რომ მოკლეს ილია...“ 18-26

ვის ბეჯედა...
 უჩვეულო შემხედრა ოკეანის გაღმა... ..27-31
ისოიხის საიქმეოებანი
 კიბე ზეცისკენ 32-37
ღამეიხობის ისოიხი
 „კაცი, რომელიც კითხულვლა კველ
 ქვეზე ამოტვიფრულ წარწერებს“ 38-43
მსოფლიოს ხანები
 „წყლის აღამიანები“ 44-45
სისხინანი ქონიხები
 ბართლომეს ღამე 46-49



50



57



72



62



82



73



78

სახიჩქვი

ქველმოქმედება	საზარისბან გაიწვიინდა	72
უცნობი მცენარეები	50-56	
საუხითველი და დაუაუბლესი	სსოუხება	
მკლესნა და სასელმწიფო	57-61	
უხილია	კასი კავსაამ: გმირობა არც უნდა	
„საქართველოს სამეფოს“ გერბი —	მრითსოვო და გმირებს არც უნდა	
კარგად დავიწმეშული კველი	62-66	73-77
ეთნოლოგია	უხილი	
დასჯის ფორმები კველ	ალმესანდრე კვიტაუვილი: ისტორია	
საქართველოში	68-71	78-81
ახალი აბეაი	„ისოხიანი“ ბავშუანისთვის	
სამთაპისის ტაპარი მცენარეული	500 ფაქტი ისტორიიდან	82-89
	სკანვორდი	90

ჩვენს ხელახლოვდა სვეტი

ჟურნალი „ისტორიანი“ მაისის ნომერში თავის ერთგულ მკითხველს ჩვენს გამოკითხვაში მონაწილეობას სთხოვდა. სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ამ ინიციატივას ასობით გამოხმაურება მოჰყვა, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა მოვახსენო თითოეულ რესპონდენტს. სასიამოვნოა, რომ მკითხველი უშუალოდ ჩაერთო „ისტორიანის“ შემდგომი ნომრების დაგეგმვაში. მაგალითისთვის მოვიყვანო, რომ ასზე მეტმა მათგანმა გამოთქვა სურვილი, ჟურნალში დაიბეჭდოს ჩვენი თანამედროვეობის, უახლესი ისტორიის ამსახველი მასალები.

თემატიკის შერჩევას, ბუნებრივია, აუცილებლად გავითვალისწინებთ თითოეული თქვენგანის წინადადებას. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ „ისტორიანი“ ერთდროულად საინტერესო აღმოჩნდა მოსახლეობის ყველა ასაკობრივი ჯგუფისა და ფენისთვის. მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას ერთი მოულოდნელი „ტენდენციის“ შესახებ — ჟურნალის მკითხველთა შორის ქალები ლიდერობენ.

აქვე გვსურს სასიამოვნო ანონსიც წარმოგიდგინოთ — ჟურნალი „ისტორიანი“ განაგრძობს როგორც ქართული, ასევე უცხოური ისტორიული რომანების გამოცემას. როგორც გამოკითხვამ აჩვენა, კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიული რომანის „დავით აღმაშენებლის“ შემდეგ, მკითხველს სურს მიიღოს ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“. რედაქციამ გადაწყვიტა, მკითხველის ეს სურვილი გაითვალისწინოს.

ახლანდელი ნომერი თემატურად საკმაოდ მრავალფეროვანია. მკითხველს შეუძლია გაეცნოს როგორც მსოფლიოს, ასევე საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილ მასალებს. ამასთანავე, ვებმართებით ორ მნიშვნელოვან თარიღს — დიდი ილიას მკვლელობას და 1924 წლის აჯანყებას. როგორც ცნობილია, ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრი გამოიკვეთა. მკითხველს ვთავაზობთ ორი ავტორის პოზიციას და დასკვნები თვად გამოიტანეთ.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ უახლესი ნომრებიდან ვიწყებთ ახალ რუბრიკას — „ისტორიული ფოტო“. აქ კი, უპირველესად, მკითხველთა დახმარების იმედი გვაქვს: თქვენ შეგიძლიათ მოგვაცოდოთ თქვენთვის ან თქვენი ახლობლების საოჯახო არქივებში დაცული ისტორიული მნიშვნელობის ფოტოები, რომელთაც თან უნდა ახლდეს ინფორმაცია გამოგზავნის ვინაობის, ფოტოს გადაღების თარიღის (თუნდაც საგრაუდო) და მასზე აღბეჭდილი მოვლენისა თუ პირთა შესახებ. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ბევრი ასეთი ფოტოლოკუმენტი დაიკარგა.

მოდი, ერთად გადავურჩინოთ ეს უნიკალური წყარო მომავალ თაობას.

ჯაბა სამუშია



– უახლესი ნომრებიდან ვიწყებთ ახალ რუბრიკას – „ისტორიული ფოტო“. აქ კი, უპირველესად, მკითხველთა დახმარების იმედი გვაქვს...

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტი-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბომიშვილი
ოქროპირ ჯიქური
ნინო ჯაფარიძე

კორექტორები:
ნანა მაჭუარაიანი
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებძის ქ. №49
ტელ.: 38-13-72, 38-02-45

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 37-78-07, 38-78-70

e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამწვანისთვის მიმართეთ პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტოს „ელვა.ჯი“.
ტელ.: 38-26-73, 38-28-74, 14-09-91



მთავარანგელოზი მიქაელი (დღემდე უცნობი ფრესკა)

ნიკორწმინდის უცნობი ფრესკები

რაჭაში, ნიკორწმინდის ტაძარში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებისას დღემდე უცნობი ფრესკები აღმოაჩინეს. ტაძრის ქტიტორთა, ადგილობრივ ფეოდალთა და მთავარანგელოზ მიქაელის გამოსახულებას მეცნიერებმა ჰვარტლით დაფარულ კარიბჭეებში მიაკვლიეს. ერთ-ერთი წარწერა გვამცნობს, რომ ტაძარი ვინმე ჯავახაძეს მოუხატვინებია. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ნიკორწმინდის ახალაღმოჩენილი მხატვრობის ნიმუშები XVI საუკუნეს განეკუთვნება.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის, ნიკა ვაჩეიშვილის განცხადებით, ამ აღმოჩენის შემდეგ ცნობილი გახდა ორი ფეოდალური გვარი, რომელიც XVI საუკუნეში ტაძრის აღდგენაში მონაწილეობდა. ფრესკებზე გამოსახულია ქტიტორთა მთელი ოჯახი. აქვეა მხატვრის წარწერა, შესრულებული ასომთავრულით: „შენდობა ბრძანეთ და ვინცა შენდობა ბრძანოთ, თქვენაც შეგინდოთ ღმერთმა“.

ნიკორწმინდის სარესტავრაციო სამუშაოების ხელმძღვანელი, საერთაშორისო პროექტის „ნოსტრას“ მფლობელი, რესტავრატორი გურამ ჭეიშვილი ამბობს, რომ კარიბჭის მხატვრობა, სადაც მეცნიერებმა უნიკალურ ფრესკებს მიაკვლიეს, სრულიად შეჭვარტლული იყო და მცირე ორნამენტული ზოლების გარდა არაფერი ჩანდა.

„ამ ორნამენტებზე დაკვირვების შემდეგ საცდელი მონაკვეთები მოუნიშნეთ და მხატვრობის კვალი აღმოვაჩინეთ. ამის შემდეგ დასაუღეთის კარიბჭის გაწმენდა დავიწყეთ და ეს პროცესი ჯერ დასრულებული არ არის. ქტიტორთა გამოსახულებებთან მოხსენიებულია ორი გვარი, ჯავახაძეები და წულუკიძეები“, — ამბობს გურამ ჭეიშვილი.

„ნიკორწმინდის ტაძრის უმდიდრეს ინტერიერში ძველი მოხატულობის სულ ახალი ფენები ჩნდება. ეს მეტად მნიშვნელოვანი სამეცნიერო აღმოჩენაა. მხატვრობის ნიმუშების კონსერვაცია წლეულს, მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებთან ერთად განხორციელდება“, — მიიჩნევს ნიკა ვაჩეიშვილი.

ნიკორწმინდის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით მიმდინარეობს. ამ დროისთვის უკვე განხორციელდა ტაძრის გამაგრებითი სამუშაოები და გადახურვა. ნიკორწმინდის იმ ფრესკების კონსერვაციის I ეტაპი კი, რომლებიც რთულ მდგომარეობაშია, 2010 წელს დაიწყო. ექსპედიცია ამ ეტაპზე ტაძრის დასავლეთ მკლავის, გუმბათსა და საკურთხეველში არსებული ფრესკების გადარჩენაზე მუშაობს. ეს სამუშაოები აგვისტოს ბოლოსთვის დასრულდება.

სარეაბილიტაციო და კონსერვაციის სამუშაოების გარდა, ტაძრის ტერიტორიაზე,



ქტიტორთა
გამოსახულება
(დღემდე უცნობი
ფრესკა)

წელის გადაშენებული სისტემებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობა მიმდინარეობს.

პროექტს სამხატვრო აკადემიის რესტავრაციისა და ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები ახორციელებენ.

ნიკორწმინდის ტაძარი 1010-1014 წლებში ააგეს. სამხრეთისა და დასავლეთის კარიბჭეები კი მოგვიანებით მიაშენეს. 1534 წელს ტაძარი იმერეთის მეფეს ბაგრატ III-ს განუახლებია. ტაძრის შიგნითაა ფრესკებიც ამავე პერიოდისაა.

ნიკორწმინდის ფასადები და ეკვდერები, ჩუქურთმათა გარდა, მორთულია მნიშვნელოვანი რელიეფური ქანდაკებებით: წმინდანთა გამოსახულებებით, მრავალფეგურიანი სცენებით („ფერისცვალება“, „მეორედ მოსვლა“, „ჯვრის ამაღლება“), რეალური და მისტიკური ცხოველებით, რომლებიც ლაღად და ზუსტად ზის ერთიან სილუეტში.

ნიკორწმინდის ფრესკები





მეტეორიტების ათასწლოვანი „წვიმა“ დედამიწაზე

პალეონტოლოგებმა დინოზავრების ნამარხებს მიაკვლიეს, რომლებიც, მეცნიერთა მტკიცებით, 65 მილიონი წლის წინ, მეტეორიტის ჩამოვარდნის შედეგად მათი განადგურების ვერსიას ადასტურებს. მეტეორიტის ჩამოვარდნის ჰიპოთეზა პირველად 1980 წელს დადასტურდა, როდესაც მეცნიერებმა 65 მილიონი წლის, ირიდიუმით მდიდარი გეოლოგიური ფენა აღმოაჩინეს. ამ ელემენტს მრავალი ციური სხეული შეიცავს. მოგვიანებით კი აღმოაჩინეს კრატერი ჩიკსულუბი, რომელმაც მეცნიერებს საშუალება მისცა დაედგინებინათ, რომ ცარცული პერიოდის ბოლოს დედამიწას ასტეროიდი შეეჯახა.

აშშ-ში, მონტანას შტატში მეცნიერებმა დინოზავრის ერთადერთ ძვალს, რქის ნაწილს მიაკვლიეს, რომელიც საგარაუდოდ ტრიცერატოპსს ან ტირანოზავრს ეკუთვნის და 45 სანტიმეტრია. მას ცარცულ-პალეოგენური საზღვრიდან სულ რაღაც 13 სანტიმეტრით ქვემოთ მიაკვლიეს. კვლევამ დაადასტურა, რომ მეტეორიტის ჩამოვარდნამდე დინოზავრები „თავს მშენიერად გრძნობდნენ“.

ახალ თეორიას მეცნიერთა ნაწილი უკვე აკრიტიკებს. ზოგიერთი სპეციალისტი მიიჩნევს,

რომ შრომის ავტორებს ძვლის ერთადერთ ნატეხზე დაყრდნობით „შორს მიმავალი“ დასკვნები გამოაქვთ. თუმცა იმაზე, რომ დინოზავრები მეტეორიტების წვიმამ გადააშენა, მეცნიერები ერთი წლის წინაც საუბრობდნენ. შარშან, ივნისში ბრიტანელმა მეცნიერებმა კვლევის შედეგები გამოაქვეყნეს, რომ „დინოზავრები 65 მილიონი წლის წინ მეტეორიტების მთელი სერიების გამო გადაშენდნენ, რომლებიც დედამიწას ათასი წლის განმავლობაში ბომბავდნენ“.

უფრო ადრე მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფმა დაასკვნა, რომ დინოზავრების დაღუპვის მიზეზი იყო უზარმაზარი ასტეროიდის დარტყმა, რომლის ენერგია მილიარდჯერ აღემატებოდა ჰიროსიმაში ჩამოგდებული ატომური ბომბის ენერგიას. სწორედ ამ დარტყმის შედეგად გაჩნდა კრატერი ჩიკსულუბი, რომელიც მექსიკის ნახევარკუნძულ იუკატანზე მდებარეობს და რომლის დიამეტრი 15 კილომეტრია. მეცნიერთა ვარაუდით, ჩამოვარდა 10 კმ დიამეტრის მეტეორიტი და გრუნტი 12 კმ-ის სიღრმემდე ჩაანგრია.

კიდევ ერთი მეტეორიტის დარტყმის კვლევა, რომელმაც ბოლტიმის კრატერი წარმოქმნა, მეცნიერები მიიყვანა დასკვნამდე, რომ დინოზავრების გადაშენებას ხელი შეუწყო მეტეორიტების ჩამოცვინის სერიაში. ბოლტიმის კრატერი, რომელიც უკრაინის ტერიტორიაზე 2002 წელს აღმოაჩინეს, ჩიკსულუბის კრატერზე რამდენიმე ათასი წლით ადრე წარმოიქმნა.

მომზადებულია Nature News-ის მასალების მიხედვით



ადამიანის სიარულს ასაკი „მოემატა“



მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ჩვენი შორეული წინაპარი ჯერ კიდევ 3 მილიონ 700 ათასი წლის წინ ისევე დადიოდა, როგორც თანამედროვე ადამიანი. ამ თემაზე მეცნიერთა მიერ ჩატარებული კვლევის შესახებ მცირე სტატიას აქვეყნებს Discovery News-ი. მანამდე მეცნიერები მიიჩნევდნენ, რომ ადამიანის სიარულის თანამედროვე მანერა 1 მილიონ 900 ათასი წლის წინ გაჩნდა.

კვლევისას მეცნიერებმა ადამიანის 11 უძველესი ნაკვალევი გააანალიზეს, რომელიც ტანზანიაში, ქალაქ ლაეტოლაში გასული საუკუნის 70-იან წლებში აღმოაჩინეს. მიიჩნევდნენ, რომ ეს ავსტრალოპითეკის დატოვებული ნაკვალევი იყო. კომპიუტერული ტომოგრაფიის გამოყენებით მეცნიერებმა ნაკვალევის სამგანზომილებიანი გამოსახულება შექმნეს.

კომპიუტერული მოდელირების ტექნოლო-

გიების გამოყენებით, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანის წინაპარი, რომელსაც ეს ნაკვალევი ეკუთვნის, გამართული ზურგით დადიოდა და სიარულისას დიდ თითებს ეყრდნობოდა. ამას გარდა, თანამედროვე ადამიანის წინაპრები ფიზიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ჩვენგან – მათ მოკლე ფეხები და წინ გამოზნექილი სხეული ჰქონდათ.

ტანზანიაში აღმოჩენილი ნაკვალევი მეცნიერთა კვლევის საგანი არაერთხელ გამხდარა. 2010 წელს, ჟურნალ PLoS ONE-ში გამოქვეყნდა სტატია, სადაც მეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ ადამიანმა გაცილებით ადრე დაიწყო უკანა კიდურებით გადაადგილება, ვიდრე ის საცხოურებლად ხიდან დედამიწაზე ჩამოვიდოდა.

მოზადებულია Discovery News-ის მასალების მიხედვით



ექსპედიცია „თურქეთის საქართველოში“

ქართული ვაზის ველური ფესვების კვლევა...

ქავთა ციხე

15-25 ივლისის თავისუფალი უნივერსიტეტის თაოსნობით მოეწყო სტუდენტური სამეცნიერო-შემეცნებითი ექსპედიცია თურქეთის რესპუბლიკაში, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში. ექსპედიციის მიზანი იყო ტაო-კლარჯეთის რეგიონის ლინგვისტური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა, ამავე დროს, გავლურებული ვაზის ჯიშების მოძიება, აღწერა, შეგროვება და საქართველოში ჩამოტანა.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მიაჩნდა, რომ ექსპედიციაში მონაწილეობა დაეხმარებოდა სტუდენტებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოვლენასა და ისეთი „პროფესიული“ უნარ-ჩვევების შექმნაში, როგორცაა: დიალექტური მეტყველების თავისებურებათა გარჩევა და აღნუსხვა; რეგიონისთვის დამახასიათებელი ლექსიკის, ფრაზეოლოგიზმების მოძიება და მეტყველების სხვადასხვა ვარიანტის/დიალექტებისა და სალიტერატურო ენის შეპირისპირება.

ამას გარდა, სტუდენტები გაეცნენ ტაო-კლარჯეთის ისტორიულ ძეგლებს და აღნუსხეს მათი თანამედროვე მდგომარეობა, შეხვდნენ თურქეთის ქართული წარმომავლობის მოსახლეობას, შეისწავლეს მათი ყოფა, ცხოვრების წესი, ადათები და ჩვეულებები, გაეცნენ

საქართველო-თურქეთის პოზიციებს ტაო-კლარჯეთის ძეგლებთან დაკავშირებით.

სპეციალისტებთან ერთად სტუდენტებმა მოიძიეს, შეაგროვეს, გაეცნენ და შეისწავლეს ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე არსებული ვაზის ჯიშები, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს უძველესი ვაზის კულტურების საქართველოს ტერიტორიაზე აღორძინებასა და განვითარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ექსპედიციაში მონაწილე სტუდენტები შეირჩენ კონკურსის საფუძველზე. იმ მრავალ დაინტერესებულთა შორის, რომლებიც მონაწილეობდნენ თავისუფალ უნივერსიტეტში გამართულ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში თემაზე: „ქართული ენა და ქართველები“. კონფერენცია ითვალისწინებდა ისტორიული საქართველოს ამ კუთხით და ზოგადად, ქართული ენით, ისტორიითა და ეთნოგრაფიით დაინტერესებული სტუდენტების მიერ მოხსენებების წარმოდგენას სამი მიმართულებით: ენა, ისტორია, ყოფა (ვაზის ისტორია).

ექსპედიციაში მონაწილეობდა 15 საუკეთესო სტუდენტი თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლის, მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერების ფაკულტეტე-

ბისა, ასევე აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი-დან.

ექსპედიციაში სტუდენტებს კოორდინაციას უწევდნენ და ეხმარებოდნენ თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორები, ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლები.

ექსპედიციამ მონაზულა სომხური და ბიზანტიური ცივილიზაციების ისეთი უნიკალური ძეგლები, როგორებიცაა: ყარსი, ანისი და სუმელა. რაც შეეხება ქართულ ძეგლებს, სტუდენტებმა ნახეს: ბანა, ქაჯთა ციხე, ოშკი, კავკასიძეების ციხე, ხაზული, პარხალი, ხანძთა, სათლეს ციხე, ციხე-ქალაქი არტანუჯი, დოლისყანა, არტაანის ციხე, ოლთისის ციხე, ოთხთა, იშხანი, აზიზას ციხე.

ისტორიული ძეგლების დათვალიერებისა და შესწავლის კვალდაკვალ მიმდინარეობდა ველური და კულტურული ვაზის ჯიშების შეგროვება და სისტემატიზაცია. საბოლოო ჯამში შემდგომი შესწავლისა და დნმ-ის გარკვევის მიზნით საქართველოში ჩამოიტანეს ვაზის ჯიშების საინტერესო კოლექცია.

ძალიან საინტერესო და ემოციური იყო ქართული წარმოშობის მოსახლეობასთან შეხვედრები ტაო-კლარჯეთის სამ რეგიონში: იმერხევი, პარხლისა (ხევეჯის) და მურღულის ხეობებში. ჩაწერილია უნიკალური ლინგვისტური მასალა, რომელსაც სტუდენტები დამატებით შეისწავლიან და დაამუშავებენ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ექს-



*ხანძთის ეკლესია.
რამდენიმე წლის
წინ ამ უნიკალურ
ტაძარს გუმბათი
ჩამოეშალა*

პედიციამ წარმატებით ჩაიარა, მოპოვებულია უნიკალური მასალა სამივე მიმართულებით. საუარაუდოდ, წლეულს შემოდგომაზე გაიმართება შემაჯამებელი კონფერენცია, სადაც სტუდენტები წარმოადგენენ დამუშავებულ და შესწავლილ მასალას და აუდიტორიას ექსპედიციის საბოლოო შედეგებს გააცნობენ.

ნინო ჯაფარიძე

ექსპედიციის მონაწილეები ანისის ციხე-ქალაქში



საქართველოს ეროვნული გმირი

ქაქუცა

ჩოლოყაშვილი



„როცა 1921 წელს საქართველოს დიდი კატასტროფა ეწვია, როდესაც საქართველოს მთავრობა იძულებული იყო თავისი ტერიტორია დაეტოვებინა, როდესაც დაშლილი იქნა ქართული ჯარი და დამფუძნებელი კრება გარეკილი, როდესაც დევნილ იქნენ პოლიტიკური პარტიები, ხოლო ეროვნული და საზოგადოებრივი დაწესებულებანი მოსპობილი, როდესაც მტერმა აღკვეთა საზოგადოებრივი ცხოვრება, ხოლო საზოგადოებრივი აზრის გამოთქმის უფლება სავსებით აკრძალა — ჯერი მიდგა პიროვნებაზედ, რომელიც ასეთ მძიმე პირობებში ერის მისწრაფებასა და მის იდეალს საჯარო მოქმედებით გამოხატავდა. ეს მისწრაფება არის საქართველოს დამოუკიდებლობა და ეს პირი იყო ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი“, — ეს ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, შალვა ამირეჯიბის სიტყვებია, წარმოთქმული ქაქუცას დაკრძალვაზე პარიზის მახლობლად, სენტ-უანის სასაფლაოზე, 1930 წელს.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ყველა თანამედროვე აღიარებდა მის პიროვნულ მიშხიდველობას: ის იყო ქართველი რაინდის განსახიერება. ლამაზი, დახვეწილი სწორი ნაკვეთებით, არისტოკრატიული მანერებითა და ამაყი მხერით. უშიშარი, მაგრამ იმავდროულად, ფრთხილი და გონიერი. გამოირჩეოდა თავდაჭერით, ქალებთან რაინდული დამოკიდებულებით, ცხენზე ჯდომითა და ჯირითით. კარგად ცეკვავდა, დაუვიწყარია მის მიერ შესრულებული „ლეკური“.

„ისეთი თვისებებით დაეჯილდოებინა იგი ბუნებას, ათას კაცში რომ აგერიათ, სრულიად უცნობიც კი მიაქცევდა ყურადღებას. ის ძალიან უყვარდათ ჯარისკაცებს და მათი საერთო პატივისცემით სარგებლობდა კიდევ. როგორი მხდალიც უნდა ყოფილიყო ჯარისკაცი, საუკეთესო ვაჟაცად იქცეოდა ქაქუცას ხელში. უდავოდ, მხედრად იყო იგი და-

ბადებული“ (ალექსანდრე სულხანიშვილი).

ქაქუცა 1888 წლის 14 ივლისს დაიბადა ჩოლოყაშვილთა საგვარეულო სოფელ მატანში იოსებ ჩოლოყაშვილისა და დარია გოგნიაშვილის ოჯახში. სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიაში. 21 წლისა ჯარში გაიწვიეს, მსახურობდა ტვერის დრაგუნთა პოლკში, საიდანაც ოფიცრის ჩინით დაბრუნდა. 1913 წელს ცოლად შეირთო ილია მდღვინეთუხუცესის ასული ნინო, რომლისგანაც ორი ქალიშვილი — თამარი (ციცნა) და ქეთევანი შეეძინა.

დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და ქაქუცაც ბრძოლაში ჩაება. ჯერ ავსტრიის, ხოლო შემდეგ კავკასიის ფრონტებზე იბრძოდა. აქ ბრძოლები მიმდინარეობდა ორი იმპერიის — რუსეთისა და ოსმალეთის ჯარებს შორის. ქაქუცა ჩოლოყაშვილი, სხვა ქართველებთან ერთად, პირველ ყოვლისა, თავის სამშობლოს

იცავდა. მეთაურობდა ზურგის ჯარის ასეულს, რომელსაც თურქების წინსვლის შეჩერება ევალებოდა. როცა ოსმალებმა 1914 წლის დეკემბერში შეუტეეს, ქაქუცამ მიიღო ბრძანება, უკან დაებრუნებინა სტრატეგიული მნიშვნელობის „არწივის ბუდის“ მთა. ამ ბრძოლაში სამჯერ დაიჭრა, მაგრამ დაჯილდება მაინც შეასრულა. ამისთვის ქაქუცა ოქროს ხმლით დააჯილდოეს.

დამოუკიდებლობის წლებში ქაქუცა ჩოლოყაშვილი მსახურობდა ქართულ ჯარში და მონაწილეობდა იმ პერიოდში გადახდილ ყველა ბრძოლაში. მასზე წერდნენ თავიანთ მოგონებებში გამოჩენილი ქართველი სამხედრო მოღვაწეები გიორგი კვინიტაძე და გიორგი მახნიაშვილი.

1921 წელს საქართველო ბოლშევიკებმა დაიპყრეს. მთავრობა ემიგრაციაში გაემგზავრა, ქაქუცა ჩოლოყაშვილი კი დარჩა, რადგანაც სამშობლოს განსაცდელში მიტოვება არ შეეძლო. ქართველი ხალხის აჯანყებისთვის მზადებას მეთაურობდა სამხედრო ცენტრი, რომელიც 1922 წლის მარტში ჩამოყალიბდა გენერალ კოტე აფხაზის ხელმძღვანელობით. ცენტრმა კახეთში პარტიზანული რაზმების მეთაურობა ქაქუცა ჩოლოყაშვილს დაავალა, ხოლო ქართლში — მიხეილ ლაშქარაშვილს.

1922 წლის 12 მარტს ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი რაზმელები — მიხა ბალიაშვილი, ალექსანდრე სულხანიშვილი, ვასო თამაზაშვილი, ელიზბარ ვაჩნაძე, რაფიელ ერისთავი, ალექსანდრე ბადურაშვილი და სხვები ტყეში



ქაქუცა გიმნაზიაში სწავლის პერიოდში (პირველ რიგში მარცხნიდან პირველი)

გავიდნენ, რაც ბოლშევიკებისთვის ომის გამოცხადებას ნიშნავდა. ეს დღე უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს, აღდგომას დაემთხვა. რაზმელებს სტუმრებიც ჰყოლიათ, მათ შორის ზვეისბერი დიმიტრი ჭინჭარაული. მას ქაქუცასთვის მიუმართავს: „შენა, ქაქუცა, შენა გხვდა წილად შენი წინაპრების ნაბრძოლი საქმის გაგრძელება შენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. შენ უნდა აღადგინო ალექსანდრე ბატონიშვილის ნათელი ბილიკები“.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი შეფიცულები





აჯანყების მონაწილეები. სხედან ქაქუცა ჩოლოყაშვილი და გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე. დგანან (მარცხნიდან): ლელო ჩიქოვანი, ელიზბარ ვაჩნაძე, რაფიელ ერისთავი და ალექსანდრე სულხანიშვილი. 1924 წლის სექტემბერი

ხვეისბერს შემდეგ რაზმელებისთვის უთქვამს: „თქვენ, რაზმელებო, ალბათ გახსოვთ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს შეფიცულები ჰყავდა შემოკრებილი თავის ირგვლივ, თქვენც უნდა შეიფიცნოთ და გერქვათ შეფიცულთა რაზმი, რომელიც სამუდამოდ დარჩება. თქვენ შემოგყურებთ მთელი საქართველო. ეს პატარა რაზმი უნდა გადააქციოთ ქართულ ჯარად. თქვენზეა დამოკიდებული ჩვენი ლაშაზი ქვეყნის სიღიადე. ჩვენ შედგრად უნდა ვებრძოლოთ რუსეთს — ისაა ჩვენი მთავარი მტერი“.

ქაქუცა ჩოლოყაშვილმა რაზმელებსა და სტუმრებს მიმართა: „დღეს ჩვენი სამშობლო გასაჭირშია. რუსეთმა ხელმეორედ გამოგვგლიჯა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. მრავალჯერ ყოფილა აწიოკებული ჩვენი ქვეყანა, მაგრამ იარაღი არ დაუყრიათ ჩვენს წინაპრებს და არ დამორჩილებიან მტერს. მათ ბრძოლა უგრძელებიათ. დღეს ჩვენ გვხვდა წილად, რომ პირველებმა დავიწყეთ ბრძოლა და მთელ ქვეყნიერებას ვაჩვენოთ, რომ საქართველოს თავისუფლება სურს თავის მიწა-წყალზე და არ დაემორჩილება არავითარ მტერს. გაუმარჯოს ჩვენი სამშობლოს მომავალს და ამ ჩვენი პატარა რაზმის მისწრაფებას“.

ასე შეიქმნა შეფიცულთა რაზმი, 1922 წლის ივნისში კი ქაქუცას რაზმს პირველი შეტაკება მოუხდა მტერთან სიღნაღში. რაზმის ერთერთმა წევრმა, ახალგაზრდა პოეტმა მიხა ხელაშვილმა (ავტორი ლექსისა „ლექსო ამოგთქომ ოხერო“ — ავტ.) ქაქუცასა და შეფიცულებს ლექსი მიუძღვნა:

**ქაქუცა ჩოლოყაშვილი
მოჭქროლავს როგორც ქარია,
თან ახლავს ქართველთ შვილები,
თითო ლომისა დარია.**

1922 წლის ივლის-აგვისტოში მოხდა კახეთ-ხევსურეთის აჯანყება. ქაქუცას რაზმმა თუშეთ-ფშავ-ხევსურეთისკენ მისასვლელი გზები გადაკეტა. შეფიცულებმა ჟინვალთან სასტიკად დაამარცხეს ბოლშევიკები, რის შემდეგაც ხევსურეთში გამაგრდნენ. საბჭოთა ხელისუფლებამ შეფიცულების წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი ჯარი გაგზავნა. ქაქუცა იძულებული გახდა, თავი ჯერ ხევსურეთისთვის, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიისთვის შეეფარებინა.

სამხედრო ცენტრის დავალებით, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ჩრდილოეთკავკასიელებთან

დაიწყო მოლაპარაკება. ცენტრის დადგენილებით, აჯანყება მთელი კავკასიის მასშტაბით უნდა მომხდარიყო, მაგრამ განგებამ სხვაფეროვ გადაწყვიტა. ლალატის გამო, 1923 წლის მარტში დააპატიმრეს და 20 მაისს დახვრიტეს სამხედრო ცენტრის მეთაურები: კოტე აფხაზი, ვარდენ წულუკიძე, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, გოგი ხიმშიაშვილი, როსტომ მუსხელიშვილი და სხვა პატრიოტი ოფიცრები.

ბრძოლა შეჩერდა, მაგრამ არ შეწყვეტილა... სამხედრო ცენტრის ნაცვლად შექმნილმა სამხედრო კომისიამ შემოდგომამდე დიდი მუშაობა გასწია და ხალხი აჯანყებისთვის დარაზმა. ვინაიდან ამ აჯანყებაში ქაქუცა ჩოლოყაშვილს გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა, კომისიამ საჭიროდ ცნო მისი თბილისში ჩამოყვანა მოსალაპარაკებლად. ეს იყო უადრესად სარისკო და გაბელული ნაბიჯი. 1923 წლის დეკემბერში ქაქუცა თავის ორ შეფიცულთან ერთად თბილისში ჩამოვიდა და კომისიასთან ერთად აჯანყების გეგმა განიხილა. მთელი რვა დღე დარჩა ქაქუცა თბილისში. „რა იცოდა ბოლშევიკების ჩეკამ, რომ ის, ვისაც იგი კიდით-კიდემდე ეძებდა, ერთი კვირა თბილისში ცხოვრობდა და ახალი გეგმითა და ახალი ენერგიით თბილისიდან მშვიდობით გავიდა“ (შალვა ამირეჯიბი).

1923 წელსვე საგურამოს რაიონში ქაქუცას


„ისეთი თვისებებით დაეჯილდობინა იგი ბუნებას, ათას კაცში რომ აგერიათ, სრულიად უცნობიც კი მიაქცევდა ყურადღებას... როგორი მხდლიც უნდა ყოფილიყო ჯარისკაცი, საუკეთესო ვაჟაკად იქცეოდა ქაქუცას ხელში. უდავოდ, მხედრად იყო იგი დაბადებული“.

ხელში ჩაუვარდა დიდი ილიას მკვლელი გიგლა ბერბიჭაშვილი. რაზმელებს მისი მოკვლა უნდოდათ, მაგრამ ქაქუცამ ნება არ დართო და ცალკე დასაკითხად წაიყვანა. მკვლელის დაკითხვის ამბავი მას შემდგომ ალექსანდრე სულხანიშვილისთვის მიუყვოლია. თურმე დაკითხვის დროს ბერბიჭაშვილი მთლად ცახცახებდა და სიკვდილის შიშით სრული სიმართლე უთქვამს.

ქაქუცას გამოურკვევია, რომ ბერბიჭაშვილისთვის ილიას მკვლელობა თვით ფილიპე მახარაძეს დაუვალებია, თანაც სამი თუმანი მიუცია სახარჯოდ, დანარჩენს კი სამომავლოდ შეპირებია; გარდა ამისა, აღუთქვამს, თუ ამ საქმეს გააკეთებდა, მთელი ცხოვრება პენსიით იქნებოდა უზრუნველყოფილი. მგონისი წინამურში გამოვლის დრო კი მისთვის ილი-

შეფიცულები პარიზში





ქაქუცა ჩოლოყაშვილის პასპორტი უცხოეთში

ას მეეტლე თედო ლაბაურს შეუტყობინებია. ქაქუცას ბერბიჭაშვილი გაუშვია, როცა დრო მოვა, მისი ჩვენება გამოგვადგებაო...

დაინიშნა საყოველთაო აჯანყება, რომელიც ყველგან ერთდროულად, 1924 წლის 29 აგვისტოს, ღამის ორ საათზე უნდა დაწყებულიყო. საბედისწერო აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ ჭიათურაში აჯანყებამ 24 საათით ადრე, 28 აგვისტოს იფეთქა. ქაქუცა ჩოლოყაშვილმა მაინც სცადა აჯანყების ბედის შეტრიალება. მან აიღო მანგლისი, დუშეთი, გაიმარჯვა სვიმონიანთხევსა და ხევგერძელაზე გამართულ სასტიკ ბრძოლებში...

და ამ დროს ქაქუცამ შეიტყო დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ გამოცემული პროკლამაციის შესახებ, რომელიც აჯანყებას დამარცხებულად მიიჩნევდა და ხალხს იარაღის დაყრისკენ მოუწოდებდა. ქაქუცამ დაიწყო თბილისის დაზვერვა, რათა გაეგო, შეიძლებოდა თუ არა ქალაქის აღება, მაგრამ უკვე გვიანი იყო — ბოლშევიკებს ყველგან ზომები მიეღოთ. აუცილებელი გახდა საქართველოს დატოვება, რადგანაც უამისოდაც დიდი მსხვერპლის კიდევ უფრო გამრავლება იყო მოსალოდნელი.

ამ პერიოდში მთელი რაზმი უსახსროდ იყო. ზოგიერთებს ქაქუცასთვის შეუთავაზებიათ, რომელიმე ბანკი გაეძარცვოთ... ბოლშევიკები ისედაც ყაჩაღებს გვეძახიან და მართლა ყაჩაღებით რომ მოიქცეთ, სირცხვი-

ლი იქნებაო, — უთქვამს ქაქუცას და ნება არ დაურთავს. მან სამშობლო 1924 წლის სექტემბერში დატოვა და შეფიცულთა ერთი ნაწილით ჯერ ოსმალეთში გადავიდა, ხოლო იქიდან — საფრანგეთში.

საქართველოში კი ამ დროს მისი ახლობლების სასტიკი დევნა მიმდინარეობდა. ენით აუწერელია ის ტანჯვა-წამება, რაც ქაქუცას ახლობლებმა გამოიარეს ჩეკას ხელში. საფრანგეთში ჩასვლის შემდეგ, შეფიცულები სხვადასხვა ქალაქში დაიფანტნენ. რადგან ქაქუცას არ უნდოდა თავისი შეფიცულების დაფანტვა, პარიზის მახლობლად, ვიროფლეში სახლი იქირავა, ყველა შეფიცული ჩამოიყვანა და ერთად დაასახლა. ქაქუცა ყველანაირად ცდილობდა, მათთვის მძიმე ემიგრანტული ცხოვრება გაეადვილებინა.

და ამ დროს თვითონ, სამშობლოს ხილვას დანატრებული, სანთელივით ილეოდა. „გახსოვს, თამარ, ალავერდობა? 26 მაისი, ის პირველი 26 მაისი? შუამთის დღესასწაული გახსოვს, ჩვენი საქართველო? კარგად გახსოვს? კრულიც იყოს აქ სიცოცხლე! იქ სიკვდილი განა ბედნიერება არ არის?“ — ეუბნებოდა ქაქუცა თამარ პაპავას. ტკბილად აგონდებოდათ მეგობრებს ის ალავერდობა, როცა საღამო ხანს ქაქუცა თავისი რაზმით ეკლესიის გალავანში შევიდა, იქ მყოფი უამრავი ხალხი ერთბაშად მუხლზე დაეცა და ერთხმად შესძახა — გაუმარჯოს საქართველოს!



გიორგი კვინიტაძის ოჯახში 1925 წელს გადაღებულ ფოტოზე გამოსახული არიან (მარცხნიდან): გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე, შალვა ამირჯვანი, მერაბ ჯორჯაძე, ბაბაღუ მრეღაშვილი, გიორგი ოდიშელიძე. მარჯვნივ — ქაქუცა ჩოლოყაშვილი

ქაქუცა ჩოლოყაშვილს ახლო მეგობრობა აკავშირებდა გამოჩენილ ქართველ სამხედრო მოღვაწესთან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალთან, გენერალ გიორგი კვინიტაძესთან. ქაქუცა ხშირად სტუმრობდა გენერლის ოჯახს პარიზის მახლობლად — შატუში. საყოველთაოდაა ცნობილი შატუში გადაღებული მათი ფოტო.

2007 წელს გენერლის ქალიშვილმა, ქალბატონმა ნანო კვინიტაძემ საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადასცა მამის პირადი არქივი, სადაც სხვა მნიშვნელოვან საარქივო მასალებთან ერთად, აღმოჩნდა გიორგი კვინიტაძის ოჯახში 1925 წელს გადაღებული ფოტო, რომელზეც გამოსახული არიან ქაქუცა ჩოლოყაშვილი, შალვა ამირჯვანი, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მთავარსარდალი, გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე და სხვ.

სამშობლოზე ფიქრმა, დედის, მეუღლის, შვილების ნახვის სურვილმა გატეხა ქაქუცა ჩოლოყაშვილი. ამას ისიც დაერთო, რომ ძველი ჭრილობა გაესნა. გააგზავნეს მთებში სამკურნალოდ, მაგრამ მისი ჯანმრთელობა მაინც უარესდებოდა. 1930 წლის 27 თვისს ოტსაუვას რეგიონში მდებარე პრასკუდანის სანატორიუმში ცუდად გახდა. იმავე დღეს პარიზიდან ჩამოვიდა მისი მეგობარი, ცნობილი ექიმი ვახტანგ ლამბაშიძე.

ქაქუცას სასთუმალთან ედო ტყეში გამოკერილი ქართული მიწა და ჯვარი, რომელიც ტყეში გასვლის წინ ქალიშვილისთვის გამოურთმევია, რადგან თავისი ვერ უპოვია. 29 თვისის ღამეს თავისი ქალიშვილი დასიზმრებია, რომელიც სთხოვდა, მამა, მომეცი ჩემი ჯვარი. უთქვამს, ახლა კი გათავდა ჩემი სიცოცხლეო. „იქნებოდა 29 თვისის დაახლოებით 11 საათი, როცა მე და ვახტანგი ქაქუცას პალატაში შევედით. მან რაღაც დაილაპარაკა. მაშინვე მივცვივდი და ხელით წამოვუწიე თავი ქაქუცას. მან კიდევ დაიხრიალა. აი, ეს იყო უკანასკნელი დახმარება ამ დიდი მებრძოლისა, რომელიც ვეფხვოვით ებრძოდა თვით სიკვდილსაც კი!“ (ალექსანდრე სულხანიშვილი).

სიკვდილის წინ, მიუხედავად იმისა, რომ საშინლად სმაგდა კრემაცია, უთხოვია, მისი ნეშტი დაქვავთ, ერთადერთი მიზეზის გამო, იქნება ასე მაინც მოვხვდე საქართველოშიო. ალექსანდრე სულხანიშვილმა ეს არ გააკეთა, არ უნდოდა ძვირფასი ადამიანის ნეშტის დაწვა. უამრავი ხალხი დაესწრო ქაქუცა ჩოლოყაშვილის დასაფლავებას, მთელი ქუჩა საესე იყო... 10 კილომეტრზე მეტი ხელით ატარეს ქაქუცას ცხედარი პარიზის სენტ-უანის სასაფლაოზე. მოგვიანებით ქაქუცას ნეშტი ლევინოში გადაასვენეს, 2005 წლის შემოდგომაზე კი მან საპუდამო განსასვენებელი სამშობლოში, მთაწმინდის პანთეონში ჰპოვა.

გორა სათიბა

„წიწამურში რომ მოკლეს ილია...“

მარად და ყველგან საქართველოვ,
მე ვარ შენთანა!..


ილია ჭავჭავაძე

ილაპარაკეთ, ბევრი ილაპარაკეთ,
ბევრი წერეთ, ბატონებო, ილიაზე,
რაც შეიძლება ბევრი!

ვაჟა-ფშაველა

სამშობლოსათვის გასასხენებლად
კრწანისზე მწარე წიწამურია.

ოთარ ჭელიძე



ქართველი ხალხის ღირსეულ შვილთა შორის ილია ჭავჭავაძეს გამოირჩეული ადგილი უკავია. ილია ერს განგებამ მოუვლინა სწორედ მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად უჭირდა. ერთი შეხედვით, თითქოს ჩვენს მიწა-წყალზე სიმშვიდე სუფევდა, წარსულს ჩაჰპარებოდა გამაჩანაგებელი სისხლის მღვრელი ომები სამხრეთელი მეზობლებისგან და გულის გამაწვრილებელი მრავალი შინაური ჭირი. სინამდვილეში ჩვენი ერისთვის XIX საუკუნე, განსაკუთრებით კი მისი მეორე ნახევარი გახლდათ უმძიმესი დრო. ქვეყანა ორი გუბერნიისა და რამდენიმე ოკრუგის სახით ოკუპირებულ-ანექსირებული იყო რუსეთის მიერ. 1801 წლიდან მოყოლებული და წლიდან წლამდე, თანდათანობით, ერთი შეხედვით შეუმჩვენლად, მკვრამ მიზანმიმართულად ხორციელდებოდა რუსული ოფიციალური იდეისა და პოლიტიკის მრავალსაუკუნეობრივი მიზანი: ქართველ ერში ფეხს იკიდებდა რუსიფიკაცია და დენაციონალიზაცია. სამწუხაროდ, ათასწლეულების სახელმწიფოებრიობაგამოვლილი ერის შიგნით ამ პროცესის იდეოლოგიებიც გამოჩნდნენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიოში, სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში გენერალური ცვლილებები ხდებოდა: ლიბერალიზმის, დემოკრატიზმის, სოციალური მოძრაობის, ეროვნული გამოღვივებისა. ისტორიულად ასე იყო, — სწორედ ასეთ ურთულეს, გარდამტეხ ეპოქაში გამოჩნდებოდა ხოლმე ერის ღირსეული შვილი, ღირსეული წინამძღოლი. ასე მოვევლინა საქართველოს ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე... ასე მოხდა XIX

საუკუნის 60-იანი წლების საქართველოშიც. და ეს წინამძღოლი სწორედ დიდი ილია ჭავჭავაძე გახლდათ. საქართველოსა და ქართველი ერის მომავლის შესახებ მრავალი მოსაზრება, თეორია, მიმართულება, პოზიცია ჩამოყალიბდა. დღევანდელმა გადასახედმა (გონიერნი მაშინაც ნათლად ხედავდნენ) აჩვენა, რომ ყველაზე თანამიმდევრული, აღმაშენებელი-პროგრესული, ეროვნულიც, სოციალურიც და ქართველი ხალხის ცივილიზებულ მსოფლიოსა და გამარ-

ჯვებამდე მიმყვანი სწორედ ილიას გზა იყო.

ამას გრძნობდა ბევრი მოკეთე და ამიტომაც ჩამოყალიბდა დიდი გუნდი სამოციანელთა სახით. სამწუხაროდ, ამასვე გრძნობდნენ მტრებიც როგორც რუსული ოფიციალის, ასევე სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულებისა და პარტიის სახით, რომელნიც ილიასა და ილიას გზაში დიდ და დაუძლეველ ბარიერს ხედავდნენ ვიწრო პარტიული თვალსაზრისით, თუ მსოფლიო რევოლუციური ქარიშხლის ბოდაში.

...და 1907 წლის 30 აგვისტოს მოხდა დიდი ტრაგედია. ფიზიკურად ჩამოიშორეს დიდი ილია და როგორც გალაკტიონი წერდა, „მამინ ეპოქა გათავდა დიდი“.

მამინვე შეიქმნა ილიას მკვლელობის სხვადასხვა ვერსია, ოფიციალურიც, არაოფიციალურიც. მას შემდეგ აწუხებს ქართველ ხალხს სიმართლის დადგენის სურვილი. დაიჭირეს მკვლელები თუ ეჭვმიტანილები, ზოგი მათგანი დახვრიტეს კიდეც. ბევრი დაიწერა მკვლელებზე, მკვლელობის შემკვეთებზე. დაიწერა და მომავალშიც დაიწერება. რაც დრო გადის, თითქოს სულ უფრო ეხდება ფარდა ილიას მკვლელობის სურათს და იმადროულად... სულ უფრო მეტი კითხვა რჩება პასუხგაუცემელი. ბუნებრივია, არსებობს სხვადასხვა ვერსია ილიას მკვლელობის უშუალო მონაწილეებისა და ორგანიზატორთა შესახებ.

ჟურნალი „ისტორიანი“ განაგრძობს რუბრიკა „დისკუსიას“ და მკითხველის სამსჯავროზე გამოგვაქვს მწერლისა და ლიტერატორის, ნოდარ გრიგალაშვილისა და ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის, პროფესორ გურამ ყორანაშვილის მოსაზრებები. ორივე მკვლევარმა ილიას მოდერნიზაციისა და მისი ცხოვრების ტრაგიკული დასასრულის ამსახველი დოკუმენტების შესწავლას არაერთი წელი მოანდომა. გამოსცეს არაერთი ნაშრომი თუ სქელტანიანი წიგნი. თუმცა ზოგიერთ საკითხზე გააჩნიათ ერთმანეთისგან განსხვავებული შეხედულებანი, რადიკალურად განსხვავებულიც კი. ჩვენ შევეცადეთ, სწორედ ამ რადიკალურად განსხვავებულ მოსაზრებებზე გადაგვეტანა აქცენტი.

რედაქცია მადლობას უხდის ორივე შემოქმედს ჩვენს დისკუსიაში მონაწილეობისათვის.

ერთსაც დავძენდით: გამოსაკვლევი დიდი ილიას მკვლელობის გარემოებათა შესახებ კვლავაც ბევრია. დღის სინათლეს ელოდება მრავალი საარქივო მონაცემი და დოკუმენტი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ აზერბაიჯანში და რუსეთის რამდენიმე ქალაქში. რომ იტყვიან, კვლავ უზღვაო და უკიდვანო სამუშაოა. „ისტორიანი“ კი მზად არის, ყოველივე ეს თავის ფურცლებზეც გააშუქოს.

ბურაბ ყორანაშვილი

რატომ და როგორ მოკლეს ილია

ქართველთა შეგნებული ნაწილი ეჭვის თვალთ უყურებდა ჩვენი დიდი წინაპრის მკვლელობის გარემოებებზე ოფიციალურ-ცარიესტული რუსეთისა და საბჭოურ ვერსიებს. ფიქრობდნენ, რომ ილია ჭავჭავაძე ჩვეულებრივ ყაჩაღთა ბანდას არ მოუკლავს ძარცვა-გლეჯის მოტივით. ასევე, საბჭოური თემიდის განაჩენის მიუხედავად, დანაშაულის ჩამდენნი უფრო განსაზღვრული სოციალურ-პოლიტიკური მიმართულების ადამიანები იყვნენ.

1980-იანი წლების მეორე ნახევარში ფართოდ გაშლილი ოპოზიციური, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა ერთ-ერთი მოთხოვნა გახლდათ ილიას მკვლელობის ნამდვი-

ნოდარ ბრიგალაშვილი

დიდი ილია დღესაც გვიხმობს...

ის, რაზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ, დეტექტიურ ჟანრს გაახსენებს მკითხველს, მაგრამ რასაც თქვენ წაიკითხავთ, დაემყარება მხოლოდ დოკუმენტებს.

მკითხველმა უკვე იცის, რომ ილიაზე უშუალო თავდამსხმელები ოთხნი იყვნენ: გიგლა ბერბიჭაშვილი, პავლე ფშავლიშვილი, ვანო ინაშვილი და ვიდაც იმერელი.

ამას გარდა, მკვლელობის ორგანიზებაში მონაწილეობდნენ მეექვსე თედო ლაბაური, გიორგი ხიზანიშვილი და გიგოლა მოძღვრიშვილი. მოგვიანებით მკვლელობის ორგანიზებაში მონაწილე კიდევ რამდენიმე გვარი დასახელდა.



გიორგი ყორანაშვილი

ლი, ობიექტური მიზეზების დადგენა. იმჟამინდელი ხელისუფლება იძულებული გახდა კომისიის შექმნას დათანხმებულიყო (თავდაპირველად 23 კაცის შემადგენლობით, შემდგომ კი ათიცი დაამატეს). მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, მით უფრო საქართველოში, ამ კომისიას საკითხის შესასწავლად და გამოსარკვევად თითქმის არაფერი გაუკეთებია.

თუმცა უმჯობესია, ფაქტების შესწავლა თანამიმდევრობით დაიწყო.

ფრიად საყურადღებოა მეფის რუსეთის ხელისუფალთა ქმედება. ილიას მკვლელობის მესამე დღეს თბილისის გუბერნატორი მეფის კანცელარიას ატყობინებდა, რომ სახელმწიფო საბჭოს წევრი ილია ჭავჭავაძე მოკლეს გლეხებმა, აგრარულ ნიადაგზე, სოციალ-დემოკრატების წაქეზებით და რომ ძარცვა სიმულირებულია. ე.ი. გამოდის, რომ დანაშაულის ჩადენიდან სულ მოკლე ხანში ადგილობრივმა კავკასიურმა ხელისუფლებამ მისი მიზეზების თაობაზე საკმარისად ბევრი რამ იცოდა.

თუმც კი პირველივე სასამართლო, რომელიც მკვლელობიდან წელიწადისა და სამი თვის შემდგომ გაიმართა, დაადგინა, რომ მკვლელობა ოდენ ყაჩაღობის საბაბით იყო ჩადენილი!

გაიარა კიდევ რვა თვემ. ამ პერიოდში დააპატიმრეს (სულ სხვა დანაშაულისთვის) ილიას მკვლელობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ვანო ინაშვილი, რომელმაც უბირი თედო ლაბაურის, პავლე ფშველიშვილისა და

გიორგი ხიზანიშვილისგან განსხვავებით, ამ საზარელი დანაშაულის შესახებ ბევრი რამ იცოდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მეორე სასამართლომაც იგივენაირი განაჩენი გამოიტანა.

ისმის კითხვა: მეფის ოხრანკა-ჟანდარმერიამ, რომელიც, უნდა ითქვას, რომ თავისი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა იმდროინდელ მსოფლიოში, რატომ ვერ მოახერხა მკვლელობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე „იმერელისა“ და გივლა ბერბიჭაშვილის დაკავება. ამასაც რომ თავი დავანებოთ, მათ ზომ უკვე აყვანილი ჰყავდათ ზემოსსენებელი ვანო ინაშვილი, აგრეთვე გალაუნელი ლავრენტი ასათიანი, რომელთაც ამ დანაშაულის შესახებ ბევრი რამ იცოდნენ. ასევე, რატომ არ გამოიძიეს ე.წ. ბახვის კრების საქმე და რატომ არ გამაზვიელდა ყურადღება ბათუმიდან სპეციალურად ჩამოსულ ორ პირზე...

ერთი სიტყვით, თუ ჯერ კიდევ დანაშაულის ჩადენის პირველ ხანებში ხელისუფლება ნათლად ხედავდა ქართველი სოციალ-დემოკრატების, ანუ როგორც მაშინ ეძახდნენ, ეს-დეკების ნაკვალევს შემზარავ მკვლელობაში, მაშინ როგორ მოხდა, რომ ხანგრძლივი „გამოძიების“ შედეგად მან ამ მიმართულებით ვერაფერი დაადგინა.

ჩვენი მტკიცე შეხედულებით, ილიას მკვლელობის საქმე იყო ერთობლივი ნამოქმედარი მეფის რუსეთის ხელისუფლების, უშუალოდ ოხრანკა-ჟანდარმერიისა და ქართველი ეს-დეკების, ძირითადად მისი რადიკალური, მემარცხენე ნაწილისა (ბოლშევიკების). ამ თვალსაზრისს გამოეთქვამდით მონოგრაფიაში „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო“, რომელიც 2004 წელს დაიბეჭდა. იგივე გაიმეორა აწ გარდაცვლილმა ცნობილმა ისტორიკოსმა, პატრიოტიზმით გამორჩეულმა, სრულიადაც არა ჰომო სოვეტიკუსმა, პროფესორმა გივი ჟორდანიამ თავის 2005 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „მარტვილობა მესიისა“. თავისთავად უკვე ის ფაქტი, რომ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ერთი და იგივე შეხედულება გამოთქვა ორმა, ვბედავთ ამის თქმას, პროფესიონალმა ისტორიკოსმა და თანაც საკმაოდ ხანგრძლივი მუშაობის შედეგად, ვფიქრობთ, ბევრის მთქმელი უნდა იყოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს ის გარემოება, რომ მეფის რუსეთის ხელისუფლებამ გამოძიება და სასამართლო პროცესი წარმართა ძალიან ზედაპირულად. მან არ მო-

ერთადერთი უშუალო მკვლელი, ვინც არათუ დაისაჯა, არამედ მისი ვინაობაც კი ვერ დადგინდა, იყო ვიღაც იმერელი. მისი ვინაობა იდუმალებით არის მოცული მთელი ამ ასწელზე მეტი ხნის განმავლობაში. ვიღაც იმერელი უშუალო მკვლელთა შორის ყველაზე მძაფრი ინტერესის ობიექტი იყო, რადგან ძიებამ, პატიმართა ჩვენებებზე დაყრდნობით, სწორედ ის მიიჩნია ბანდის მეთაურად. სწორედ ის იყო კომიტეტიდან გამოგზავნილი ტერორისტი, რომელსაც პირდაპირი კავშირი ჰქონდა საშუალო რგოლის შემკვეთთან, ანუ რაიონულ კომიტეტთან, ან შესაძლებელია უფრო ზემოთაც. ცხადია, მისი დაჭერით ძიება იმედოვნებდა შემკვეთებზე გასვლას.

1908 წლის 19 დეკემბრის დუშეთის მაზრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი კალინინი საიდუმლოდ მიმართავს ძიებას: „ხელისუფლების მიერ იძებნება უცნობი იმერელი, რომელიც წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის მკვლელთა ბანდის მეთაურს“. და ეს ზდება მკვლელობიდან წელიწადისა და თითქმის ოთხი თვის შემდეგ. მანამდე ძიება იმის გამო ვერ დაინტერესდებოდა, რომ მხოლოდ მეეტლე თუდო ლაბაური იყო დასახელებული. ის კი ვერც დაასახელებდა ვიღაც იმერელს, რადგანაც მხოლოდ საგურამოს თემის მცხოვრებთ — ფშავლიშვილს, ინაშვილსა და ბერბიჭაშვილს იცნობდა.

მოგვიანებით, სხვა მკვლელთა დაჭერის შემდეგ, სოფელში ხმა გაჟარდა, ბერბიჭაშვილიც დაიჭირესო. ბიძამისს უთქვამს, — ის რომ დაიჭირეს, რატომ სანდრო ოზიევეს (ომიშვილს) არ იჭერენ, იმერელი სწორედ ის არისო. არსებობს კიდევ ერთი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც 1908 წლის დეკემბერში დუშეთის მაზრის უფროსს რომელიღაც მემაღულემ, რომლის დასახელებაც მან ვერ შეძლო, რადგან პატიოსანი სიტყვა ბორაკადა, აჩვენა, რომ ის „იმერელი“ არის სანდრო ოზიევი. ძიებამ ეს ვერსია არ გაიზიარა და ომიშვილი გაუშვეს, მაგრამ მთავარი ამ კონკრეტულ შემთხვევაში სხვა გახლავთ. ომიშვილი ამოსაცნობად წაუყენეს მეეტლეს, რომელსაც უთქვამს, — ვერ ვიცნობ და რომც ყოფილიყო, სახეზე არ მინახავსო.

ვის შეიძლებოდა ან გვართ, ან მეტსახელით, ან სახით სცნობოდა „იმერელი“? ცხადია, იმათ, ვისთანაც წინა დამე გაატარა იმერელმა ტერაქტის მოლოდინში. ესენი იყვნენ ბერბიჭაშვილი, ინაშვილი, ფშავლიშვილი და



ნოდარ გრივალაშვილი

ზიზანიშვილი. მათგან პირველად იჭერენ ფშავლიშვილს 1908 წლის 10 თებერვალს.

პოლიციამ ნადიროვის მამულში, ალექსი მძელურის სახლში დააპატიმრა პავლე ფშავლიშვილი და ლადო ფეიქრიშვილი, რომელთაც ილიას მკვლელობას აბრალებდნენ.

...გზაზე ლადო ფეიქრიშვილი გამოსტყნია ბოქაულს და უთქვამს: პავლე ფშავლიშვილმა მიაბზო, რომ ილიას მკვლელობაში მონაწილეობა მიიღეს საგურამოში მამასახლისად ნამყოფი ვანო ინაშვილის მეთაურობით პავლე ფშავლიშვილმა (აფციაური), გიგლა ბერბიჭაშვილმა და ერთმა იმერელმა, რომლის გვარი არც პავლემ იცოდა.

მაზრის უფროსის შეკითხვაზე პავლე ფშავლიშვილი გამოტყნია და უთქვამს ის, რაც ფეიქრიშვილს გზაში ბოქაულისთვის უამბნია. ფშავლიშვილს ისიც გამოუცხადებია, რომ მე და ჩემი ამხანაგები ჩავუსაფრდით ილიას 30 აგვისტოს სოფელ წიწაშურის მახლობლად. მე მაღლობზე ვიდექ და ვდარაჯობდი, როდის გამოივლიდა ილიას ეტლი. მოგვიახლოვდა, მე დაუუსტვინე, ინაშვილი და სხვები დაემხადნენ. ეტლი შეაჩერებინეს და პირველად ჭავჭავაძეს ინაშვილმა დაახალა. მკვლელობაში მონაწილეობა მიიღო გიგლა ბერბიჭაშვილმა და ერთმა იმერელმა, რომლის გვარი არ ვიცი. ვიცი კი, რომ ის იმერელი ამ რამდენიმე ხნის წინათ ტფილისში რევოლუერის ტარებისთვის დააპატიმრეს და გადაასახლეს რუსეთში. მკვლელობის შემდეგ ავედით ტყეში, გადავიარეთ ტყეზე ზედაზნის მონასტრის გვერდით

ისურვა ჭეშმარიტების დადგენა არა უბრალოდ ესდეკებისადმი რამე სიმპათიის გამო, არამედ იმიტომ, რომ ხელს არ აძლევდა ამ უკანასკნელთა მხილება. ეს რომ გაეკეთებინა, მაშინ ხომ თვითონაც გამოაშკარავდებოდა.

თითქოს დიდ პარადოქსთან გვაქვს საქმე. ილიას მკვლელობამ გააერთიანა ორი ერთმანეთისადმი სამკედრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული ძალა. მაგრამ ეს პარადოქსი ადვილად აიხსნება. 1905-07 წლებში ჩვენმა უდიდესმა ეროვნულმა მოღვაწემ, ილია ჭავჭავაძემ დიდი ძალისხმევა გამოიჩინა საქართველოს ავტონომიის მოპოვებისთვის ბრძოლაში. იგი ასევე იღვწოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოსაპოვებლად, სიკვდილის დასჯის გასაუქმებლად და სხვ. მსგავსი რამეები, ბუნებრივია, ხელს არ აძლევდა მეფის რუსეთის ხელისუფლებას და საუბედუროდ, არც ქართველ ესდეკებს. ამრიგად, ვერაგული საქმის აღსრულებისას ისინი ბუნებრივი მოკავშირენი აღმოჩნდნენ.

მკვლელობა დაგეგმილი უნდა ყოფილიყო არა 1907 წლის აგვისტოს ბოლოს ან თუნდაც თვის დასაწყისში და არა გურიის მაზრის სოფელ ბახვსა ანდა დუშეთის მაზრის სოფელ ახატანში, არამედ საგრაუდოდ, თბილისის ბოლშევიკების ლიტერატურული ბი-

უროს მთავარ დაჯგუფებაში. გაცილებით უფრო ადრე და თანაც, როგორც აღვნიშნეთ, თბილისში. ვფიქრობთ, ეს უნდა მომხდარიყო 1907 წლის თებერვლის ბოლოს, როდესაც ბოლშევიკურმა გაზეთმა „ჩვენმა ცხოვრებამ“ ილიაზე ბინძური პასკვილი (იროდიონ ვედოშვილის მიერ დაწერილი) დაბეჭდა, ანდა მარტ-აპრილში.

უბირველესად მიმართეს ილიას გარემოცვაში აგენტის ჩანერგვის ხერხს, რაც ჩვეული რამ გახლდათ როგორც ოზრანკა-ჟანდარმერიისთვის, ისე ქართველი ესდეკებისთვის. ამისთვის კი გამოიყენეს ფრიად ოდიოზური პირი, ასოთამწყობი და ჟურნალისტი დიმიტრი ჯაში. შანტაჟის გზით მოხერხდა, რომ ეს უკანასკნელი დაუახლოვეს ილიას დას, ქვრივ ელისაბედს. ივნისის დასაწყისში ფიზიკურად მოიშორეს ილიას მოურავი საგურამოში, მოსე მემანიშვილი (მეუღლითურთ). ამ მკვლელობის საქმე სერიოზულად არავის გამოუძიებია და მალე შეწყვიტეს კიდევ. წარმოგედგენიათ, ეს ჩაიდინეს ილიას — იმ დროისთვის სახელმწიფოს საბჭოს წევრის მიმართ!

მოკლული მოურავი ჩანაცვლეს სწორედ აუდასახსენებელი დიმიტრი ჯაშით. ქართული ლიტერატურის მუზეუმში დაცულ ალექსანდრე კოჭლავაშვილისეულ (იგი საბჭოური სასამართლოს პროცესში გიგლა ბერბიჭაშვილის



მოსამართლე ი. ოდიშელი



გიგლა ბერბიჭაშვილი სასამართლო პროცესზე



თედო ლაბაური



გიგოლა მოძვრიშვილი



პაულე ფშვლიშვილი (აფციაური)



გიორგი ხიზანიშვილი



ილიას მთელი საქართველო გლოვობდა...

და შემდეგ სოფელ ავჭალაში ჩავედით. იქიდან კი ტფილისის მივასურეთ და ნაძალადევაში ვცხოვრობდითო („ისარი“, 13 თებერვალი, 1908 წ.).

ეს არის პირველი ჩვენება, სადაც „ერთი იმერელი“ იხსენიება. ფშავლიშვილის სიტყვებიდან გამომდინარე, დიდი შერლოკ პოლმსობა არ სჭირდებოდა იმის ამოცნობას, რომ ეს უბერი ფშავლიშვილი, მისდა უნებურად, თავს ყიდდა. მან მშვენიერად იცოდა, ვინ იყო „იმერელი“, გვარ-სახელით თუ არა, სხვა ნიშნით, ვთქვათ, მეტსახელით მაინც, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ შეეძლო ეთქვა — ვიცო, რომ ეს ის კაცია, რომელიც ამას წინათ იარაღის ტარებაზე დაიჭირეს და რუსეთს გადაასახლესო.

ფაქტი ერთია, ან ძიებას არ სურდა „იმერელის“ დაჭერა, ან ფშავლიშვილიცა და ფეიქრიშვილიც „იმერელთან“ დაკავშირებით შეგნებულად მამამადლობდნენ.

არსებობს მკვლევართა სხვადასხვა ვერსია, ვინ უნდა ყოფილიყო „ერთი იმერელი“. მათ

შორის სხვადასხვა დროს ამგვარი ვერსიები არსებობდა: მაზრის უფროსი ფალავა თავიდან ფიქრობდა, რომ იგი მოძღვარიშვილი იყო. ბერბიჭაშვილის ბიძა და ერთი თავადი ყაჩაღ სანდრო ოზიევს ასახელებდნენ. საბჭოთა სასამართლო პროცესზე გიგლა ბერბიჭაშვილმა „ვიღაც იმერლად“ ლაღო ფეიქრიშვილი დაასახელა. მკვლევარ ალექსანდრე შუშანაშვილის მოსაზრებით, ეს იმერლობა ბანდის მეთაურის გასასაიდუმლოებლად მოიფიქრეს მკვლელებმა და ასევე გასაიდუმლოებული დარჩა. მკვლევართა ერთი ნაწილი „იმერელად“ ანუ ილიას მკვლელთა ბანდის მეთაურად სერგო ორჯონიკიძეს მიიჩნევს.

მაგრამ მაინც ვინ უნდა ყოფილიყო „იმერელი“?

წრე, რომელშიც „იმერელი“ უნდა ვეძებოთ, შემოსაზღვრულია იმ ბანდებით, რომლებიც ილიას მკვლელობამდე დათარეშობდნენ დუშეთის მაზრაში. ერთ-ერთი ასეთი, ყველაზე სამიში იყო მცხეთის წითელრაზმელთა ბანდა ანუ „ტყის ძმები“, რომელსაც დუშეთის მაზ-



დაპკითხავდა) ფონდში არის დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ დიმიტრი ჯაშისა და გიგლა ბერბიჭაშვილის კავშირს, მათ შებვედრას მცხეთის პრისტავის მოვალეობის შემსრულებელ სტანისლავე გრიციუნასთან. ეს დოკუმენტები გამოიყენა ბატონმა გივი ჟორდანიამ, ასევე მეც დასახელებულ წიგნებში. ამასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობაა ჩვენი პოლიტიკოგრაფის, ალექსანდრე სულხანიშვილის მიერ 1989 წლის მაისში ბატონ გივი ჟორდანიასადმი გაგზავნილ წერილშიც.

აზერბაიჯანის ცენტრალურ საისტორიო არქივში ჩვენ მოვიძიეთ დოკუმენტი — სტანისლავე გრიციუნასის საქმე, საიდანაც ვიგებთ, რომ იგი საგანგებოდ შეარჩიეს თბილისში, როგორც წარმოშობით არა რუსი, არამედ ლიტველი. პოლიციის დაბალჩინოსანი, ე.წ. ოკოლოტოჩნიკი გრიციუნასი გადაუყვანიათ ღუშეთის მაზრის მცხეთის უბნის (უჩასტოკის) პრისტავის მოვალეობის დროებით შემსრულებლად. მკვლელის შემდეგ კი მალე პრისტავი (ბოქაული) გამხდარა. მცირე ხნის შემდეგ კი გადმოუყვანიათ თბილისის ორი საპოლიციო უბნის პრისტავად და თანაც დაუჯილდოებიათ წმინდა სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენით. რა დამსახურებისთვის, ამის გაგება არ უნდა იყოს ძნელი.

გადასაწყვეტი პრობლემაა, ვინ იყო „იმერელი“, ერთ-ერთი ოთხთავანი ილიას მკვლელთაგან. თითქოს ამის დადგენა ძალიან ადვილი იყო გიგლა ბერბიჭაშვილის საქმის (1941-42 წწ.) წარმოებისას, მაგრამ საბჭოურმა თემიდან ყველაფერი იღონა, რათა საკითხს ნათელი არ მოჰყენოდა. დააღვინეს,

რომ მეოთხე მკვლელი იყო... ლადო ფეიქრიშვილი, წარმოშობით გარეკახელი (სოფელ ნორიოდან). ჩვენი მტკიცე შეხედულებით, „იმერელი“ გახლდათ სერგო ორჯონიკიძე. ამის თაობაზე მრავალი არგუმენტის მოხმობა შეუძლებელია. ამჯერად მხოლოდ ერთზე გავამახვილებთ ყურადღებას. ცნობილი ნოე რამიშვილის დისშვილი შალვა ბერიშვილი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) ერთ-ერთი აქტიური წევრი, ერთხანს საქმიანობდა პარიზში, სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროში. იგი იხსენებდა: „1938 წლის ზამთარში, როდესაც სერგო ორჯონიკიძის გარდაცვალების შესახებ გამოცხადდა (მთხრობელს შეეშალა: უნდა იყოს 1937 წელი. — გ. ყ.), ქართველი და რუსი სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი მეგობრული შეხვედრის დროს (ასეთი შეხვედრები საკმაოდ ხშირად იმართებოდა), რუსმა მეგობრებმა გვკითხეს, რა აზრისა ვართ სერგო ორჯონიკიძის პიროვნების შესახებ. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყოველნაირად ჩავაქვესკენლეთ და შევჩვენეთ სერგო ორჯონიკიძე. მაშინ ერთ-ერთმა რუსმა ამხანაგმა გვითხრა: ორჯონიკიძის ცოდვებს კიდევ ერთი ცოდვა დაუმატეთ და გვიაბო, რომ იგი პარიზთან ახლოს 1911 თუ 1912 წელს (1911 წელს. — გ. ყ.) ლონჯონში ლენინის მიერ მოწყობილ პარტიულ კურსებზე ორჯონიკიძესთან ერთად ისმენდა ლექციებს. ერთ-ერთი ლექციის დამთავრების შემდეგ ლენინი გასულა სამუშაო ოთახიდან. ჩვენთან დარჩა მისი მეუღლე ნადეჟდა კრუპსკაია (კრუპსკაიაც ხშირად ესწრებოდა ლექციებს). გამართულა საუბარი, რომლის დროსაც ზოგიერთ ამხანაგს მოუგონებია თავისი რევოლუციური დამსახურებანი რუსეთში. სერგო ორჯონიკიძეს უამბნია, რომ იგი რევოლუციის ტერორისტი იყო და ისიც უხსენებია, რომ 1907 წელს პარტიის დაჯალებით იძულებული იყო, გარეულიყო ერთ ცნობილ მწერალზე განხორციელებულ ტერორისტულ აქტში. ამასთან აღუნიშნავს, რომ ეს მწერალი იყო რეაქციონერი და სახელმწიფო საბჭოს წევრი“ (იხ. გაზეთი „ერთობა“, 1991 წ. №4).

სერგო ორჯონიკიძე რომ იმხანად (მით უმეტეს, ილიას მკვლელის პერიოდში) არაფერს წარმოადგენდა და ოდენ „სტალინის ვირობით“ იკაფავდა პარტიული კარიერისკენ გზას, ეს კარგად არის ცნობილი. მისი მეშვეობით ამ საზარელ და ერისთვის სამარცხვინო მკვლელბაში ჩვენ ვხედავთ კვალს იოსებ ჯულაშვილ-

რის კომიტეტის დავალბათა შემსრულებელი ილიკო იმერლიშვილი ხელმძღვანელობდა.

ის, რომ კომიტეტიდან გამოგზავნილი „იმერელი“ ილიას მკვლელთა ბანდის მეთაური იყო, დაადგინა გამოძიებამ.

ის, რომ ილიას მკვლელთა ხელმძღვანელი „ტყის ძმების“ მეთაური იყო, დაგვიწერა ბოლშევიკმა რაჟდენ კალაძემ. კიდევ ერთხელ წაეკითხოთ: — კომიტეტის ბეჭედდარტყმული ყალბი დოკუმენტით „ტყის ძმების“ მეთაური შეცდომაში შეიყვანეს და მოაკვლევინეს ილია ჭავჭავაძე.

ჩვენ ამოცანა მხოლოდ ტოლობის ნიშნის დასმაა!

„იმერელი“ არის „ტყის ძმების“ მეთაური.

დუშეთის მაზრაში მოქმედ „ტყის ძმების“ მეთაურთაგან ერთი — ფეიქრიშვილი, როგორც „იმერელი“, თავად ძიებამ გამორიცხა.

მეორის, ვასო კულუღაშვილის არანაირი ურთიერთობა ამ საქმესთან არ დასტურდება.

ლოგიკა გვკარნახობს ვერსიას, რომ „იმერელი“ იმერლიშვილი უნდა იყოს.

ეს ლოგიკა ჯერჯერობით მხოლოდ ოთხ წანამძღვარს ეფუძნება.

1. დადგენილება მიღებულია დუშეთის მაზრის კომიტეტის მიერ.

2. დადგენილებას ახორციელებდა კომიტეტის ტერორისტული ჯგუფი ან ჯგუფები.

3. დუშეთის მაზრაში მოქმედებდა ბოლშევიკ იმერლიშვილის ტერორისტული ჯგუფი (დანარჩენი ორი ბანდის მეთაური მხოლოდ ყაჩაღები იყვნენ, ეს იმერლიშვილი კი იმავედროულად პარტიული მუშაკია).

4. „იმერელი“ ილიას მკვლელთა ბანდის მეთაური იმავედროულად არის „ბეჭედდარტყმული ქაღალდით“ „შეცდომაში შეყვანილი“ ტერორისტული ჯგუფის ანუ „ტყის ძმების“ მეთაური.

ამ დასკვნას მრავალი დოკუმენტი უდევს საფუძვლად, რომელიც ჩვენ სრულად აღვწუსხეთ ორტომეულში „თანამდევნი სული“. საბოლოო ვერდიქტისთვის ამ წანამძღვრებთან ერთად დავიხმარეთ იმერლიშვილის ბიოგრაფიული ცნობებიც. აღსანიშნავია ისიც, რომ იმერლიშვილი იმდენად დაუნდობელი ტერორისტი ყოფილა, რომ მისი შიშით დუშეთის მაზრიდან ხალხი იყრებოდა და საცხოვრებლად სხვაგან მიდიოდა. თუცა ამას ხელი არ

ეტლი, რომელშიც მოკლეს ილია ჭავჭავაძე (კოფოზე სხვა მეუტლე ზის)





ილიას ცხედართან
მთაწმინდაზე
დაკრძალვისას

სტალინისკენ. შეგახსენებთ, რომ ზემოთ მოხსენიებული ბოლშევიკური გაზეთის რედაქტორი სწორედ იგი იყო. გვაქვს სხვა შესაბამისი ფაქტებიც: იოსებ ჯუღაშვილი-სტალინი ნაცინობობდა ვანო ინაშვილთან, ლაურენტი ასათიანთან და თვითონ დიმიტრი ჯაშთანაც კი!

დასასრულ, ილიას მკვლელობის საქმის კვლევა-ძიება კვლავაც უნდა გაგრძელდეს. დასამუშავებელია საისტორიო არქივები ბაქოში, სანქტ-პეტერბურგსა და მოსკოვში, ასევე ვოლოგდაში, კერძოდ სოლვიჩგოდსკში. ჩვენთანაც, საქართველოშიც შეიძლება ახალი წყაროების მოძიება და ფაქტების დადგენა. მაგრამ ყველაფერი ეს უპირველესად პროფესიონალების, განსაკუთრებით კი ისტორიკოსების საქმეა...

შეუშლია ბოლშევიკებისთვის, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ის რევოლუციის რაინდად მოენათლათ.

და კიდევ ერთი ფაქტიც: არ არსებობს არ-გუმენტი, რის გამოც ეჭვი უნდა შევიტანოთ ბოლშევიკთა იდეოლოგ რაჟდენ კალაძის მიერ საბჭოთა დროში გამოქვეყნებულ სიტყვებში, ილია „ტყის ძმების“ მეთაურს მოაკვლევინესო. იმ დროს „ტყის ძმების“ ბოლშევიკი მეთაური დუშეთის მაზრაში მხოლოდ ილიკო იმერლიშვილი იყო.

ქართველმა ბოლშევიკებმა ილია მოკლეს, ერთი თვის შემდეგ რუსებმა ტოლსტოი ვერ გაიმეტეს, მაგრამ მის სახლს თოფები დაუშინეს.

ვინ იყო ყველაზე დიდი ნაციონალისტი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით საქართველოში? — ილია ჭავჭავაძე.


ქართველმა ბოლშევიკებმა ვალი მოიხადეს ახალი დროის ჩინგიზ ხანის, სიბირსკელი ულიანოვის წინაშე და დიდი ალბათობით სწორედ მასთან შეთანხმებით თავიდან მოიცილეს ქართული ნაციონალიზმის მედროშე.

...ერთი ემიგრანტი პოეტისა არ იყოს, მთის ჯვაროსნებოვით მუდმივ უნდა ვიაროთ ილიას გარშემო, აწ უკვე დედაეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი მგოსნის ირგვლივ.

ვიღაც მაღლიანს ერთ ფოტოსურათზე ილია ასე აღუბუჭდავს: მოძღვარი ერისა განმარტოებით დგას, ხელი შეუშართავს და საჩვენებელი თითით ვიღაცას უხმობს.

ილია გვიხმობს ჩვენ უკეთესი საქართველოსთვის!..

მოამზადა ნოდარ შოშიტაშვილმა



ილიას ძეგლი
საგურამოში
დღესაც
მოუვლელია...
ფრიდონ
გაგაშიძის
ფოტო

უჩვეულო უჩველდრა ოქაინის გაღმა...

რეკლამა გარკვეულწილად ყველაფერს
სჭირდება... რასაკვირველია, კარგ წიგნსაც.
იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი
საზოგადოებისათვის მეტ-ნაკლებად
ცნობილია. ეს ერთი „დეტალია“ წიგნის
წარმოებისა — საგამომცემლო საქმიანობის
დიდ სფეროებში. ცხადია, არც
„გადაჭარბება“ უცხო; ესეც რეკლამის
თვისებაა, მაგრამ კონკრეტული წიგნის (ან
ნებისმიერი პროდუქციის) წარდგინება მის
ძირითად არსს ან ეთქვათ ასე, ღირსებას
უნდა უსვამდეს ხაზს.

ერთი სარეკლამო წარდგინება: მოხერხე-
ბული ფორმატით შემოთავაზებული წიგნი —
მისი სათაურით უნდა დაიმახსოვროს მნახ-
ველმა; ქვემოთ, ცნობილი ავტორები და შე-
ფასებები... და მთავარი — წარწერა დიდი ასო-
ებითა და მუქი შრიფტით:

FIRST COLUMBUS — THEN GEORGE —

„პირველად კოლუმბმა, შემდეგ ჯორჯმა“...
აზრი მექანიკურად გრძელდება — აღმოაჩინ-
ეს ამერიკა!

ეს უჩვეულო წარდგინება პაატა ნაცვლიშ-
ვილმა მაჩვენა.

ორი მწერალი, ორივე ქართველი! ერთი
ქართულად წერს, მეორე — ინგლისურად, თა-
ნაც მუდმივი თანაავტორი ჰყავს. სხვადასხვა
სახელმწიფოს წარმოდგენენ. პირველი „მო-
სალოდნელ“ ფათურაკს არ დაერიდება, მეო-
რე — მანძილს და ერთმანეთს უეჭველად გა-
იცნობენ. სწორედ ამ შეხვედრაზე ვისაუბროთ.

ამერიკაში ჩასული ქართველი მწერალი
აკაკი ბელიაშვილი სასტუმრო „სკოტლენდში“
მცხოვრებ მასპინძელს, ცნობილ ფალაჟან ნი-
კოლოზ ქვარიანს გიორგი პაპაშვილის შესა-
ხებ დაეკითხება, არც იმას დაუშალავს, რომ
მასზე „საქართველოში ლეგენდები დადის“...
მწერალია თავადაც და რა გასაკვირია, ეს უფ-
რო აინტერესებს. საქართველოში დაბრუნე-
ბული თავის მოგონებებში შეეცდება, დიალო-
გი ზუსტად აღადგინოს; ეს არა მხოლოდ სი-
ზუსტისთვის სჭირდება, არამედ იმიტომაც,
რომ ქართველ მკითხველს უამბოს. უსათუოდ

FIRST COLUMBUS—THEN GEORGE



By GEORGE AND HELEN PAPASHVILI

This is the hilarious, heartwarming account of a Russian's discovery of America—a place, according to George, where anything can happen. It is a book whose flavor only George himself can truly and entirely convey. Charmed by its gaiety and tenderness, its delightful humor and heartwarming honesty, advance readers have welcomed it with joy.

Francis Ludlow, Editor of Retail Bookteller says: "It is a joyful book... Like George himself it is 'happy and full of peace'. George, or Georgy as his friends say, is a Georgian. We meet him first in New York Harbor, some twenty years ago, 'the first man from Kobianka in ever comes in the U.S.A.' He is immediately induced to trade his karakul cap for one dollar and a big American cotton beanie. He loses his first job because of the fragility of American glassware and finds some difficulty in getting another (his conversation is limited to phrases such as 'How many clock?'). He helps break a strike in Pittsburgh until he learns what is going on; at last encounters—oh, happy day!—another Georgian; and gradually learns to talk enough English for practical purposes—if any of his purposes can be labelled practical... Whatever George journeys, whether to California, Virginia, or Pennsylvania, he foals friends—and whereoff he and his friends meet there is hilarious adventure around the corner and rare pleasure for the reader."

John P. Marquand, of the Book-of-the-Month Club Editorial Board, says: "Amaz- ing and wholly delightful American adventures... Its humor is enlivened by the high courage, the generosity and the good cheer that lies behind it."

სარეკლამო წარდგინება: ▲

FIRST COLUMBUS — THEN GEORGE

— „პირველად კოლუმბმა, შემდეგ ჯორჯმა...“

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მოგონებების სრუ-
ლი ვერსია მხოლოდ ხელნაწერის სახით დევს
აკაკი ბელიაშვილის არქივში, სათაურით „ამე-
რიკაში პარიზზე გავლით“. დაბეჭდვით — 1964
წელს დაბეჭდა მისი თხზულებების მეორე
ტომში, ძალიან შემოკლებული და თან სათა-
ურით: „მოგზაურობა ამერიკაში“ (პარიზი
მთლიანად გამოტოვებულია, თხრობა პირდა-
პირ გადადის ამერიკაზე. როგორც ჩანს, გა-
მოცემისას „გავლა“ აღარ „მოხერხდა“).

ერთი ფრაგმენტი:

„— კოლია ჩემო, პაპაშვილის წიგნი ხომ
არა გაქვს, მინდოდა მეშოვა. ამ მწერლის შე-
სახებ საქართველოში მთელი ლეგენდები და-
დის...“

— პაპაშვილის? მოიცა — ტელეფონს ხე-
ლი დაავლო, ნომერი აკრიფა და ჩასძახა:

— ალო, გიორგი, გამარჯობა შენი... ჰო,



ცნობილი მწერალი და სცენარისტი აკაკი ბელიანიძე (1903-1961)



ქართველი პროფესიონალი მოჭიდავე ნიკოლოზ (კოლია) ქვარიანი (1900-1980)

კოლია ვარ... როგორ ხარ, კაცო, სად დაიკარგე. აგერ, ჩემთან საქართველოდან არიან ჩამოსული, მწერალია ბელიანიძე და რეჟისორი პიპინაშვილი, მეკითხებიან, ერთი დაგვანახვით ეს პაპაშვილი... რაო, გწვივით... არა, ესენი ვერ წამოვლენ, ხვალ დილით მიფრინავენ... მოდიხარ? ახლავე წამოხვალ?"

გიორგი პაპაშვილი ჩამოსულ სტუმრებს ტელეფონით მაინც დაელაპარაკა... კიდევ ერთხელ შეეპატიჟა, სხვაგვარად როგორ მიეწვია, ასე უთხრა:

„— ძალიან გთხოვთ, თქვენი ამხანაგებით მესტუმროთ, კოლიამ იცის, სადაც ვცხოვრობ. სამი საათი არც დაგჭირდებათ მანქანით.

— არ შეგეძლიან პატოცემულო გიორგი. ჩვენ ხვალ დილით მიფრინავთ. ძალიან მინდოდა თქვენი წიგნი მქონოდა, ჩვენში კიდევაც დაიბეჭდა თქვენი წიგნის თარგმანები ქართულად...

— ვიცი, ჟურნალი „დროშა“ მივიღე, ვნახე, იქ არის. ჩემს წიგნს მოგართმევთ. მაშ, მე წამოვალ თუ დამელოდებით, კოლიასთან მოვალ.

— გელოდებით. ნახვამდის.

მილი დავდე და ქვარიანს ვეკითხები:

— განა ის ნიუ-იორკში არ ცხოვრობს?

— არა, პენსილვანიაში ცხოვრობს. აქედან ასი მილია. მოვა, მალე მოვა, სულ ერთია, არსად გაგიშვებთ. მისი წიგნი ძალიან პოპულარულია ამერიკაში. სურათიც დაიდგა მისი მოთხრობის მიხედვით“.

მკითხველი, ვიცი, დაინტერესდება, როგორ მოხდენენ „მანამდე“ კოლია ქვარიანთან?

60-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ტენდენციები შეიცვალა. შესაძლებელი ხდებოდა უცხოეთთან ერთგვარი კავშირების დამყარება, აღდგენაც. ეს ძირუღლად განსხვავდებოდა 30-40-იანი წლების სახელმწიფო იდეოლოგიური სტრატეგიისგან. დრომ, ახალმა ვითარებამ სხვა შესაძლებლობები მოიტანა. ოფიციალური დელეგაციების გაგზავნა, საოჯახო კავშირების აღდგენა, საზღვარგარეთ მყოფი ნათესავების მოძებნა თანდათან შესაძლებელი ხდებოდა...

სწორედ 60-იან წლებში ამერიკაში მოგზაურობის თაობაზე განსხვავებული მოგონებები არსებობს: სხვადასხვა შთაბეჭდილებით, ინტერესით, შეხვედრით და „გაბედულებით“ საესე. იმ დროს, თანაც „პირველი საბჭოთა დელეგაციის“ პირობებში ეს საკმაოდ რთული იქნებოდა, თამამიც...

ირაკლი აბაშიძე წიგნში „ამერიკა თვალის ერთი გადავლებით“ ერთ იდილიურ შესაძლებლობას აღწერს, როგორ შეგიძლიათ მშვენიერ გზებზე გააქროლოთ მანქანა; გზისპირას ერთსართულიან პატარა „ოტელთან“ გააჩეროთ, იქვე დატოვოთ და ნომერში მშვიდად წამოწოლილმა ტელევიზორს უყუროთ; თან რამხელა არჩევანია?! „ტელევიზიას რვა პროგრამა აქვს“. როგორმე ერთს მაინც გამოარჩევს: „ძილის წინ ტელევიზორში რომელიმე კამეჩით ზორბა, ბრვე ამერიკელ მოჭიდავეთა მატჩს უცქირეთ, აბა, ვინ ვის წააქცევს. ეს პროგრამა არ მოგეწონათ, სხვა ჩართეთ“.

აკაკი ბალიაშვილიც ამერიკაშია... ის და მისი ახლობელი, ნიუ-იორკში სანახაობით დაღლილი, ქუჩაში ხეტიალზეც უარს იტყვიან და სასტუმროს ნომერში დაბრუნდებიან. „ახლობელი“ — ცნობილი ქართველი რეჟისორი ნიკოლოზ პიპინაშვილია. სასტუმროში დაბრუნდნენ... ტელევიზორის წინ წამოწვნენ და „ამერიკული ჭიდაობის“ ყურებას შეუდგნენ.

„— ვისაც ეს ჭიდაობა არ უნახავს, იმას ამერიკა არ უნახავს“, — გადაუწერავს წყალს აკაკი ბელიაშვილი რომელიმე ტურისტს და თავად შეეცდება მკითხველს თავისი ნაამბობით, ამერიკა „ანახვოს“. მით უფრო, რომ დარწმუნებულია, „ამ ჭიდაობაშია მთელი სისაყსით აღბეჭდილი ამერიკის ნამდვილი სახე“.

— რას წარმოადგენს ეს ჭიდაობა? — დასვამს კითხვას და დეტალურ აღწერასაც შეუდგება, როგორ გამოდის რინგზე ერთდროულად ოთხი მოჭიდავე, „ორ-ორი თითოეული მხრიდან“. ჯერ პირველი წყვილი იწყებს, შემდეგ ერთეუბა მეორე. და არის ერთი ჩხუბი, გაუთავებელი ცემა-ტყეპა, დაუზოგავი წიხლები... „ტანდაბალი მოჭიდავე ამოიჭრა და ეცა გოლიათს. ეცა და თქვენს მტერს, რაც იმას დღე დააყენა. ლეკური ნაბადივით მოთელა, აჭანჭყარა, თავი ფეხებში გაუძერინა და ასე დახვეულ-დაგორგალებული გადააგდო პარტერში. ერთი სიტყვით, მთელი ეს „ჭიდაობა“ წარმოადგენდა ერთმანეთის ცემა-ტყეპის, მსხვერვა-ლწვის, თმების დაგლეჯის, პირში თითების ჩაჩრის და ლოყების სხვის არააღმიანურ სანახაობას“.

სანახაობამ (თანაც უცხომ) გატაცება იცის, ალბათ ამიტომ, „ორი თუ სამი ოთხეულის ჭიდაობა ვიყურეთ“.

...ემოცია სხვადასხვა მოგონებას ამოატიო-



მწერალი და მოქანდაკე
გიორგი (ჯორჯ) პაპაშვილი (1898-1978)

ტივებს; არადა, მესხიერება ბევრ ამბავს იტყვს, ადამიანებსაც... უცნაურია, მაგრამ იქ, ამერიკაში, სატელევიზიო გადაცემა ორივე ქართველს ერთსა და იმავე ადამიანს გაახსენებს. თითქმის მათივე თანატოლს, ქუთაისელ მეზობელს, საქართველოში თავის დროზე სახელმწიფევი და ამერიკაშიც საკმაოდ ცნობილ ფალაგან ნიკოლოზ ქვარიანს. ნიუ-იორკის სატელეფონო წიგნში გვარ-სახელს მოძებნიან და...

„— ალო, — მესმის ტელეფონში, თუმცა მილაკი პიპინაშვილს აქვს ყურზე.

— ქვარიანი ბრძანდებით? — ეკითხება აქედან.

და უცბად ისმის გაურკვეველი ქუხილი მილში. პიპინაშვილი ძლივს ასწრებს პასუხების გაცემას და ასე მგონია, მიკროფონში ატომური რეაქცია ხდება და სადაც არის აფეთქდებაო, ისეთი გრიალ-ჭახჭახი მოდის იქიდან“.

ქვარიანს მეორე დღეს ესტუმრნენ.

გახარებული მასპინძელი მოსულებს სიხარულით შეხვდა და მეუღლეს — სიდონია გააცნო. წარმოშობით გერმანელი ქალბატონი, რომელსაც ოცნებად გადაქცევია, ქმრის სამშობლო ნახოს — საქართველო...

ოთახის კედლები მხატვართა ნამუშევრებით იყო დაფარული, ირგვლივ — კარადაში, თაროებზე, მაგიდაზეც კი უამრავი წიგნი ეწყო... მათ შორის ქართულიც. იგონებენ წარსულს — ასე ახლობელსა და ასე შორეულს. ის დროით არ გამანძილებულა, მიწით დას-

GEORGE and HELEN
PAPASHVILY



AUTHORS OF **"Anything Can Happen"**

Lecture Subjects

- Anything Can Happen** *Has the book hit a world, an America where anything can happen... where we can be divided by suspicion and mistrust of our neighbors or where we can go on in ignorance and misunderstanding of all our neighbors into the most glorious future our country has ever had... what it means to be the member of a minority group in the United States... why the millions across the South, what they tried to show, and the things that have happened since it became a best seller.*
- The Fun of Living** *How we can increase our participation in the world around us and have fun doing it.*
- Our Other Americans** *Stories of the foreign born in America... business stories all leading toward the point that if we understand these other Americans, we will soon accept them.*
- Living in All Worlds** *Most of us live in one world and deny ourselves all the fun of new frontiers... the fun of pioneering into the world of our neighbors. They live and laugh and have fun and games and food that we might share if we only tried. We can enjoy all of these delights and increase our happiness until the whole world is one, without leaving out of our home town.*

**გიორგი (ჯორჯ) და ელენე პაპაშვილების
ლექციის ანონსი**

ცილდნენ... არადა, „მიწა თავისას მოითხოვს. და რა მიწისგანაც ხარ ადამიანი შექმნილი — ის მიწა ბღავის შენს სხეულში, სადაც უნდა გადავარდე კაცი“ (ნიკოლო მიწისშეილი). იხსენებენ მოწაფეობისდროინდელ ქუთაისს, რიონის საბანაოებს, ბაღისკიდებს, გამყრელიძის ცირკს (თეთრი ხიდის გადაღმა), ალელოვის საცეკვაო სკოლას, კინო „რადიუმს“, ბოსლევურ „პირაფეკებს“, მწვანე ბაზარზე გამოტანილ „სამშემოდგომო ცრემლიან ლეღვებს და ატმებს“; ახლობლებსაც: ტერენტი ჰიპინაშვილს, სანდრო მხეიძეს, პოეტ კოლაუ ნადირაძეს, ლელიკო ხოტივარსა და ნიკოლოზ სანიშვილს, მედელაურს, მანაბელს, ჟან დე კოლონს, კოსტა მაისურაძეს, სანდრო კანდელოაკს... „კვლავ დაქროდა თავისი ოცნებით ქუთაისში ახალგაზრდა გოლათი, ქუჩაში ბავშვები გუნდ-გუნდად რომ დასდევდნენ და თვალელებში შეციცინებდნენ...“ ნიჭიერი მწერალია აკაკი ბელიაშვილი და კარგადაც ჰყვება. მერე ამერიკელ ქართველებსაც ახსენებენ: დავით და სერგო მდივნებს, მათ საყოველთაოდ, მაგრამ სხვადასხვა ვერსიით გავრცელებულ თავგადასავლებსაც; იცინებენ. „ორი საერთაშორისო აღფონსიო“, — კი იხალისებენ, მაგრამ

მაინც ეტყობათ, მოსწონთ... საინტერესო ამბებსაც გააგებინებენ ერთმანეთს, მაგალითად ამგვარს: „დავითის დაი რუსუდანი ცოლად ჰყავდა ისპანელ მხატვარს — სერტს; მეორე დაი, ნინო, ცოლი იყო ცნობილი ინგლისელი მწერლის კონან დოილის შვილისა“.

ამასობაში ცოლ-ქმარი პაპაშვილებიც მოვლენ. საინტერესოა, მწერალი აკაკი ბელიაშვილი როგორ აღწერს თავის პირველ შთაბეჭდილებას: „გიორგი პაპაშვილი საშუალო ტანის, ზმელი აგებულობის შვედურემანი კაცია, ტიპური მთიული. მისი მეუღლე ელენე კი მაღალი, ჩასუქებული ამერიკელი ქალია, საოცრად ჭკვიანი თვალებით“. დასხდნენ, საუბარი თავისთავად გაგრძელდა. სამშობლოდან ჩამოსული თანამოკალმის მოტანილი „ამბავი“, „ჩვენში, საქართველოში იციან თქვენი მწერლობის შესახებ“, პაპაშვილისთვის უცნობი არ აღმოჩნდა!

სამაგიეროდ, თანამემამულეებმა შეიტყვეს, გიორგი პაპაშვილი მოქანდაკე რომ იყო, გამოფენებსაც აწყობდა, მისი ბევრი ნამუშევარი იყიდებოდა კიდევც, ხოლო ზოგიერთი მათგანი მუზეუმებსაც ჰქონიათ შეძენილი...

აკაკი ბელიაშვილმა მოქანდაკის ნამუშევრების ფოტორეპროდუქციების ნახვის სურვილი გამოთქვა, მაგრამ კოლია ქვარიანთან ქართველების სანახავად ხელდახელ ნაჩქარევად წამოსულ გიორგი პაპაშვილს ეს არც უფიქრია და ამდენი აღარ გაუთვალისწინებია... როგორც კი გაარკვია, ჩემთან მოსვლას ვერ ახერხებენო, ჩაჯდა საკუთარ „შვეროლეს“ მარკის ლიმუზინში და პენსილვანიის შტატიდან თვითონვე გამოემშურა მეუღლესთან ერთად. ასე მილი გაიარა...

უჩვეულოა ეს ყოველივე და იმაედროულად, ძალიან საინტერესო: ამ უზარმაზარ სახელმწიფოში ცხოვრების გაგრძელებაც, პერსონალური გამოფენის გამართვა სახვითი ხელოვნების აკადემიაში ან რომელიმე სახელმწიფო მუზეუმში, მაგრამ საუბარში მწერლობას მაინც გამორჩეული (ვიტყვიდი, საპატიო) ადგილი უჭირავს. შეკითხვებიც გაგრძელდება:

„მე მაინტერესებდა, — გაიხსენებს მოგვიანებით აკაკი ბელიაშვილი, თუ როგორი პოპულარობით სარგებლობს სახელდობრ ის წიგნი, რომელშიაც მისი ბიოგრაფიაა მოთხრობილი. აღმოჩნდა, რომ იგი დაახლოებით ოცდაათხუთმეტჯერ გამოუციათ ორი მილიონის საერთო ტირაჟით“. როცა ამაზე თავად ავტორი გიყვება, მნიშვნელოვანია და რასაკვირვე-

ლია, სასიამოვნოც. იმასაც აღვნიშნავ, რომ აქ ლაპარაკია მხოლოდ ბესტსელერის („ყველაფერი შეიძლება მოხდეს“) ტირაჟზე; თორემ ამ პერიოდში გიორგი პაპაშვილს არაერთი წიგნი უკვე გამოცემული ჰქონდა, რომლებიც წარმატებით იყიდებოდა და პოპულარობითაც სარგებლობდა მკითხველთა შორის. შეუძლებელია, არ გაგახაროს თანამემამულის წარმატებამ. თავად საქართველოში არაერთი პოპულარული წიგნის ავტორი ამერიკული პონორარითაც დაინტერესდება. ისე, რატომაა უხერხული, გაინტერესებდეს, როგორ უხდინან მწერალს სხვა სახელმწიფოში. „საბჭოთა“ კია, მაგრამ თვითონაც ქართველია, ჭკვიანი და თავდაც მწერალი...

თუკი ღიმილიანი მოგონებების დროა, აქვე გავიხსენებდი ამერიკიდან დაბრუნებული აკაკი ბელიაშვილის დოკუმენტური პროზიდან კიდევ ერთ ფრაგმენტს:

ქალაქი — ნიუ-იორკი;

მასპინძელი — ნიკოლოზ ქვარიანი, მეუღლით;

სტუმრები — აკაკი ბელიაშვილი, ნიკოლოზ პიპინაშვილი, ფელიქს ვისოცკი, გიორგი პაპაშვილი, მეუღლით;

სუფრა — ბერძნულ რესტორანში;



პირველი სადღევრძელო — სამშობლოს ეკუთვნის,

მეორე — დიასახლისებს და თამადის მიერ ამაყად თქმული:

„— აი, ხომ ხედავთ, ჩვენი ცოლები გავაქართველეთ, — გვითხრა ქვარიანმა.“

მაშინ პაპაშვილის მეუღლემ ღიმილით მოუჭრა:

— თქვენი გაამერიკელება შეუძლებელი აღმოჩნდა და ჩვენც მეტი რა დაგვრჩენოდა, რომ არ გავქართველებულიყავით“.



გიორგი (ჯორჯ) და ელენე პაპაშვილების აშშ-ში გამოცემული პოპულარული წიგნების გარეკანები

წიგნებში, ნამუშევრებში დასტურ, ქართველი ინდივიდუალისტიც სამყაროა.

...და თუკი ჯორჯ პაპაშვილმა ამერიკა „აღმოაჩინა“, მასთან შეხვედრა „აქაური“ ქართველის — აკაკი ბელიაშვილის მოგონებამ შემოინახა.

რუსულან ნიჟნიანიძე



თალიზი
თმის ბალანსირების კლინიკა

ბაჰაჰნის ქ.27 ტელ.: 214-15-15

www.talizi.ge

კიბა ზეისისკენ



ჩა საიდუმლოს ინახავენ

ეგვიპტის დიდი პირამიდები მართლაც უნიკალური ნაგებობებია. მსოფლიოს საოცრებათაგან არც ერთი არ გამხდარა ასე ხანგრძლივი კამათის საგანი. დღესაც გვესმის ლამის მარადიულად ქცეული კითხვები: ვინ ააშენა პირამიდები და როგორ? რა იყო მათი აგების მიზანი? იყო კი პირამიდები ძველ ეგვიპტელთა შემოქმედების ნაყოფი? რა დაემართა იმ უძლიდრეს საგანძურს, რომელიც ოდესღაც თითოეულ მათგანში ინახებოდა? დროთა განმავლობაში პირამიდებმა „გაამხილეს“ თავიანთი საიდუმლო, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ არის იდუმალებით მოცული.



პირამიდები

პირამიდების ისტორია დასაბამს იღებს დაახლოებით ძვ.წ. 2630 წლიდან, როცა ფარაონმა ჯოსერმა სახსებით ახალი ტიპის განსასვენებლის აგება ბრძანა. ის უნდა ყოფილიყო უფრო დიდი, ვიდრე მიწისქვეშა სამარხები ან ტალახის აგურებისგან ნაშენი დაბალი და ბრტყელი მასტაბები, რომლებშიც ეგვიპტის მმართველთა უმრავლესობა იყო დაკრძალული.

ჯოსერმა არაერთი ომი მოიგო, დაპყრობილი მიწებით გავრცობილი სამეფო ყვაოდა და რა გასაკვირია, თუკი ასეთი სურვილი გაუჩნდა. ეს იყო უფრო დიდი რამ, ვიდრე წადი-

ლი თვითგანდიდებისა. ფარაონისთვის ეს იყო რწმენა, რომ ის ცოცხალი ღმერთია და იმქვეყნიურ ცხოვრებაშიც სათანადო პატივი უნდა მიგებოდა. ძველი ეგვიპტელებისთვის სიკვდილი სხვა სამყაროში მოგზაურობის დასაწყისს ნიშნავდა და მმართველები სულთა ქვეყანაში გადასასახლებლად რაც შეიძლება კარგად უნდა მომზადებულიყვნენ.

ჯოსერმა ახალი განსასვენებლის აგება თავის პირველ ვეზირ იმჰოტეპს დაავალა. იმჰოტეპი არა მხოლოდ შემოქმედი, შესანიშნავი არქიტექტორიც აღმოჩნდა. სწორედ მისი შთაგონების ნაყოფია მსოფლიოში პირველი პირამიდა.

თავდაპირველად ეს იყო ჩვეულებრივი, მასტაბის ტიპის კონსტრუქცია, მაგრამ რაც უფრო წინ მიიწვედა სამუშაო, ნაგებობა უფრო და უფრო გრანდიოზული ხდებოდა — ერთ მასტაბას ზემოდან მეორე ემატებოდა, სანამ ექვსსაფეხურიან პირამიდად არ იქცა და სიმალლით დაახლოებით 60 მეტრს არ მიაღწია. ამიტომაც შევიდა ისტორიაში საფეხურებიანი პირამიდის სახელით. პირამიდას აგებდნენ კირქვის ბლოკებისა და უდაბნოს თიხისგან. ფარაონის დასაკრძალავი კამერა და სათავსები მიწის ან ქვისგან იყო გამოკვეთილი. ფარაონის განსასვენებელი მისი სასახლის ზუსტი ასლი უნდა ყოფილიყო.

პირამიდის შუაგული ფარაონის დასაკრძალავად იყო განკუთვნილი. მის გარშემო ოთახებში კი ეწყო ავეჯი, ძვირფასეულობა და ფარაონის საყვარელი ნივთები, ყველაფერი ის, რაც ძველ ეგვიპტელთა რწმენით, ფარაონს იმ ქვეყნად გამოადგებოდა.

ვერასოდეს გაუვიგებთ, როგორ მოიფიქრა იმჰოტეპმა ეს გრანდიოზული გეგმა. ჩანს, მან ხელიდან არ გაუშვა შესაძლებლობა, გამოეყენებინა ყველა რესურსი, იქნებოდა ეს ადამიანური, მატერიალური თუ სხვა საშუალება, რაც მის განკარგულებაში იყო, მაგრამ ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ამ დიდებული ნაგებობის უკან, ალბათ, სულიერი სრულყოფილების მიღწევის სურვილიც იმალებოდა. საფეხურებიანი პირამიდა იყო არა უბრალოდ კიბე, არამედ უფრო მნიშვნელოვანი რამ — ეს იყო გზა, რომლითაც გარდაცვლილი ფარაონის სული ზეცაში ადიოდა და უკვდავი ღმერთების საუფლოს უერთდებოდა. ხატოვნად რომ ვთქვათ, ეს იყო ზეცად მიმავალი კიბე.

მოგვიანებით, დაახლოებით ძვ.წ. 2540



ფარაონ ჯოსერის ბრძანებით აგებული მსოფლიოში უძველესი, საფეხუროვანი პირამიდა

წელს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი რამ მოხდა: ფარაონმა ხუფუ (ხეოფსმა) პირამიდათა შორის უდიდესის აგება ბრძანა. ისტორიაში ის დიდი პირამიდის სახელით შევიდა. პირამიდის სიმაღლე 146 მეტრია, თითოეული გვერდის სიგრძე კი 230 მეტრი. ხუფუს (ხეოფსის) პირამიდა ერთადერთია მსოფლიოს იმ შვიდ საოცრებათაგან, რომელიც დღემდე შემორჩა.

წინამორბედთა მსგავსად, როგორც კი ტახტზე ავიდა, ხუფუ მაშინვე შეუდგა „სამარადისო საუნის“ გეგმაზე მუშაობას. პირველად ადგილი შეარჩია. ეს იყო ნილოსის დასავლეთი სანაპირო — გიზა, რომელიც საკა-

რის საფეხურებიანი პირამიდის ჩრდილოეთით, რამდენიმე მილზე იყო. დასაკრძალავ ადგილებს, ჩვეულებრივ, ნილოსის დასავლეთ ნაპირზე ირჩევდნენ, რადგან მზე ყოველდღე დასავლეთით ჩაესვენებოდა. ამასთან, გიზას ხელსაყრელი მდებარეობა ჰქონდა — ის ახლოს იყო ქვის სამტყეზლოებთან, საიდანაც დაახლოებით 2 მლნ 300 ათასი ქვის ბლოკის წამოღება იყო საჭირო პირამიდის ასაშენებლად.

მშენებლობას, სავარაუდოდ, 30 წელიწადი და ასიათასობით მუშა დასჭირდა. ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე, რომელიც ეგვიპტეში დაახლოებით ძვ. წ. 450 წელს იმყოფებოდა, წერს, რომ პირამიდის მშენებ-



ბლოკების მალლა ასატანად პირამიდების მშენებლები სავანეებო ბაქნებს აგებდნენ

ლობაზე დაახლოებით ასიათასი მონა მუშაობდა.

თანამედროვე ეგვიპტოლოგთა აზრით კი მუშების რაოდენობა დაახლოებით 30 ათასი იყო და როგორც ზოგიერთი სპეციალისტი ამტკიცებს, ისინი მონები არ ყოფილან. ზოგიერთი მუდმივად იყო შმენებლობაზე დასაქმებული, სხვებს კი მხოლოდ მაშინ უხმობდნენ, როცა მდინარე ნილოსი ადიდდებოდა (ამ დროს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს გლეხები დროებით თავს ანებებდნენ) და ქვის სამტეხლოებიდან კირქვის ბლოკების გადმოზიდვა ადვილი გახლდათ.

მუშების ნაწილს გრანიტის მოსაპოვებლად სამხრეთში მდებარე ქვის სამტეხლოებში აგზავნიდნენ, დანარჩენებს კი ნილოსის გასწვრივ ჩარეგებულ კირქვის კარიერებზე ამუშაუებდნენ. ზოგიერთი შმენებლობის დასრულებამდე შავ მუშად რჩებოდა, ზოგს კალატოზობას ასწავლიდნენ, ზოგს კი, თუ ხელმძღვანელობის ნიჭი აღმოაჩნდებოდა, სამუშაოების გამრიგედ გაამწესებდნენ.

შმენებლობაზე მუდმივად 15 ათასი კაცი მუშაობდა. ისინი ახლომდებარე პატარა ქალაქში ცხოვრობდნენ, დანარჩენ 15 ათასს სე-



ზონურად ასაქმებდნენ. მათი უმრავლესობა, სანამ ძალა შესწევდა, პირამიდის შმენებლობაზე მუშაობდა და ამაცობდა კიდევ ამით.

ძველი ეგვიპტელებისთვის პირამიდა იყო მთავარი ნაწილი რელიგიური რიტუალებისა, ზეცად ასამაღლებელი „გზა“ ფარაონის სულისთვის; შესაძლოა, მისი ფორმა სიმბოლურად შხის ირიბ სხივებსაც გამოხატავს.

დიდი პირამიდის ოთხივე გვერდი თანხედება ჩრდილოეთს, სამხრეთს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, მისი კონსტრუქცია ისეთი მათემატიკური სიზუსტით არის შესრულებული, რომ არაერთი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება წარმოიშვა.

მაგალითად, XIX საუკუნის შუა ხანებში ბრიტანელი ასტრონომი, დიდი პირამიდის მკვლევარი და, როგორც უწოდებენ, პირამიდოლოგიის კლასიკოსი, ჩარლზ პიაცი სმითი ამტკიცებდა, რომ ძველ ეგვიპტელთა წინასწარმეტყველებანი პირამიდებშია კოდირებული, რომლებიც მან ამოხსნა. ზოგიერთი სპეციალისტის თქმით კი პირამიდები იყო გიგანტური ობსერვატორიები და არა სამარხები. ეს უკავშირდება კიდევ უფრო ახალ თეორიას, რომ პირამიდები უხსოვარ დროს გამქრა-

დიდი პირამიდის დერეფნებისა და შიდა სივრცეების სქემა





მთავარი შესასვლელი ხეოფსის პირამიდაში, რომელსაც ზალიფა ალ-მამუნის მეომრებმა მიაკვლიეს

ლი სუპერცივილიზაციის (ისეთი, როგორც იყო ატლანტიდა) ან გარე სამყაროდან, კოსმოსიდან მოსული ხალხის, უცხოპლანეტელების ქმნილებაა. ფაქტი კი ის არის, რომ ჩვენ არ ვიცით, როგორ შიდაწიეს ეგვიპტელებმა ამ დონის მათემატიკურ სიზუსტეს, თუმცა ეგვიპტოლოგები დარწმუნებული არ არიან, რომ ეს სწორედ ეგვიპტელთა მიღწევაა და არა სხვა ხალხისა. არც ის ვიცით დანამდვილებით, როგორ მიიტანეს უზარმაზარი ბლოკები მშენებლობის ადგილას.

ერთი თეორიის მიხედვით, ბლოკებს მიწაზე წინასწარ დაგებულ მორეზზე ხის მარხილებით მიაგორებდნენ. როცა ბლოკების პირველ წყებას დააწყოებდნენ, ტალახის აგურით, კირქვის ღორღითა და თიხით აკეთებდნენ ბაქნებს, რომელთა საშუალებითაც ბლოკები პირამიდის წვერზე აპქონდათ.

მეორე ვერსიის მიხედვით, ბლოკები სიმაღლეზე ხის ბერკეტებით აპქონდათ.

კიდევ მეტი იდუმალებით არის მოცული, თუ რა დაემართა იმ განძს, რომელსაც თან ატანდნენ ფარაონებს. ყველა ის პირამიდა, რომლებიც შეცნინებმა აქამდე გამოიკვლიეს, გაძარცვულია. მიუხედავად სიფრთხილის იმ ზომებისა, რომელსაც პირამიდის მშენებლები მიმართავდნენ სამარხის შესასვლელებისა და შიგ არსებული განძის დასაცავად, ბევრი პირამიდა მაინც გაიძარცვა.

ჩანს, ამიტომაც გადაწყვიტეს ეგვიპტელებმა, პირამიდის შიგნით წითელი გრანიტის ვეებერთელასარკოფაგი დაედგათ, რომელშიც ფარაონის მუმიფიცირებული სხეული უნდა ჩაესვენებინათ. ამით დასაკრძალავი კამერიდან მისი გამოტანა შეუძლებელი ხდებოდა. სანამ გრანიტის სარკოფაგს დასაკრძალავი კამერაში დადგამდნენ, მის თავზე ააშენეს მეორე, ხედა კამერა, სადაც სარკოფაგს მანამდე ინახავდნენ, სანამ დასაკრძალავი კამერის კედლები არ ამოშენდებოდა. სარკოფაგთან ერთად კამერაში დგამდნენ ავეჯს, ჭურჭელს, ფარაონის პირად ნივთებსა და ქონებებს — კანოპებს, რომლებშიც ხუფუს შინაგანი ორგანოები ინახებოდა.

რა მოხდა მერე?

ისტორიული წყაროების თანახმად, ახ.წ. 820 წელს დიდ პირამიდაში პირველად შევიდნენ განძზე მონადირე არაბთა ზალიფა ალ-მამუნის მეომრები და რამდენიმე თვის განმავლობაში ეძებდნენ მთავარ შესასვლელს. მათი შეცდომა ის იყო, რომ თხრა ჩრდილოეთის ფასადიდან დაიწყეს, მაშინ როცა ყველა ძირითადი შესასვლელი აღმოსავლეთით არის. ერთ მშენებელ დღეს ბედმა გაუღიმათ — პირამიდის შიგნით ქვების ცვენის ხმის მიხედვით მიხვდნენ, რომ თხრა მარცხნივ გაეგრძელებინათ და დაღმა მიმავალ დერეფანთან გავიდნენ. იქ გრანიტის საცობს წააწყდნენ, რომლითაც ადამა მიმავალი დერეფანი იყო ჩაკეტილი. ალ-მამუნმა მას მარჯვნიდან შემოუარა და ალბათ, პირველი ადამიანიც გახდა, რომელმაც პირამიდის მშენებლობიდან დაახლოებით 3400



წლის შემდეგ ფეხი შედგა დიდ გალერეაში.

განძის პოვნის იმედით ძალამოცემულებმა ამოაძვრეს ქვის საცობები, რომლებიც წინა კამერას კეტავდა, შეანგრეეს მისი ქვის საფარი და მთავარ, ფარაონის განსასვენებელ კამერაში ამოყვეს თავი. მაგრამ ალ-მამუნს იმედი გაუცრუვდა, იქ ვერაფერი ნახა ცარიელი გრანიტის სარკოფაგისა და ტალკივით თეთრი, სქლად დადებული მტვრის გარდა. სარკოფაგის მასიური სახურავიც არსად ჩანდა. ხალიფას თავისი ხალხის ამბოხებისა შეეშინდა და იძულებული გახდა, ბაღდადიდან ოქრო ჩამოეტანა და პირამიდის ერთ-ერთ კამერაში მოეხსნა. ასე რომ, არაბებმა ფარაონის განძეული ვერ იპოვეს.


მაშ, რა დაემართა ხუფუს საგანძურსა და მისი მუმიის ნაშთებს? თუ ალ-მამუნსა და მის მხლებლებს დაეუჯერებთ (და რატომ უნდა ეცრუათ?), ბლოკები, რომლითაც ჩახერგილი იყო პირამიდის ერთადერთი შესასვლელი, ხელუხლებელი აღმოჩნდა. არანაირი ნიშანი არ

ჩანდა, რომ იქ ალ-მამუნზე ადრე ვინმე იმყოფებოდა. მაგრამ ბევრი ექსპერტი ამტკიცებს, რომ ხუფუს პირამიდა გაიძარცვა. მაშ, როგორ შევიდნენ იქ მძარცველები ან როგორ გამოვიდნენ? შესასვლელის ბლოკები ხომ ხელუხლებელი ყოფილა ალ-მამუნის „სტუმრობის“ დროს?

არქეოლოგებმაც ვერ ნახეს ისეთი ფართო შესასვლელი, რომ მძარცველებს პირამიდიდან საგანძურის გამოტანა შეძლებოდათ, რომ არაფერი ვთქვათ დიდი გრანიტის სარკოფაგის სახურავის გამოთრევაზე. როგორც ჩანს, ხუფუმ და იმპოტეპმა მოხერხებულად მოაწყვეს არა მარტო საფლავის მძარცველები, არამედ ეგვიპტოლოგებიც.

ვინ იცის, იქნებ მსოფლიოს ეს უნიკალური საოცრება — ხუფუს პირამიდა სადღაც უფრო ღრმად ინახავს თავის საიდუმლოს.

მომზადებულია National Geographic-ის გამოცემა „ისტორიის საიდუმლოების“ მიხედვით



„როზეტას ქვა“,
რომლის
აღმოჩენამ
იეროგლიფების
ამოკითხვას
დაუღო
საფუძველი

„პაცი, რომელიც
პითულობდა ძველ ქვაბზე
ამოტვიფრულ წარწერებს“

ეპიკატური იეროგლიფური დამწერლობის გაშიფვრის ისტორიიდან

კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა დამწერლობის ფენომენის შექმნაა. შეიძლება ითქვას, რომ დამწერლობის გარეშე არ განვითარდებოდა ცივილიზაცია და შესაბამისად, კულტურა. დამწერლობის დამსახურებაა ადამიანის სწრაფი ევოლუცია ე.წ. პირველყოფილი, თემური მდგომარეობიდან თანამედროვეობამდე. ის არის ადამიანის სულიერი და კულტურული მოთხოვნილებების ერთ-ერთი ძირითადი გამოძახატველი.

დამწერლობის მნიშვნელობა ისტორიული თვალსაზრისით განუსაზღვრელია. სწორედ წერილობითი ძეგლების წყალობით გახდა შესაძლებელი უძველესი ცივილიზაციების სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების თითქმის სრული სურათის წარმოჩენა. შესაბამისად, თვით დამწერლობათა გაშიფვრის საკითხები ყოველთვის იყო მეცნიერთა და ასევე, საზოგადოების ყურადღების ცენტრში. სხვადასხვა საიდუმლოებით მოცული წარწერის ამოკითხვის ისტორია ყველასთვის საინტერესოა. ეს ერთგვარი რომანტიკული თავგადასავალია ადამიანთა მთელი პლედისა, რომლებიც ათეულობითა და ასეულობით წლების, თაობათა განმავლო-

ყოველ პარასკევს,
 ყურნალ „საბავშვო
 ქარუსელთან“ ერთად,
 დიდი ქართველების
 ბიოგრაფიების
 თითო წიგნი!



5-დან
 12 აგვისტომდე

მაღე გამოვა:

- 15 გრიგოლ ხანძთელი
- 16 სულხან-საბა ორბელიანი
- 17 დავით სარაჯიშვილი
- 18 აკაკი წერეთელი
- 19 დიმიტრი უზნაძე
- 20 ქაქეცა ჩოლოყაშვილი
- 21 ნატო ვაჩნაძე

და სხვა დიდი ქართველები

წიგნის ფასი 2.50
 (ყურნალთან ერთად 3.50)



ზაქარია ფალიაშვილი

**შემდეგი
 ბრიოლ ხანძთელი**

**გამოჩენილი
 აღამიანების ბიოგრაფიები**

წიგნების სერია ბავშვებისთვის



უახვ გამოსული ბოგები №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13
 შვიძილიათ შვიძინოთ წიგნის მალაზიებში



ჟან-ფრანსუა შამპოლიონი

ბაში ცდილობდნენ, საიდუმლოებით მოცული ნიშნები ამოეკითხათ.

1822 წლის 14 სექტემბერს ფრანგმა მეცნიერმა ჟან-ფრანსუა შამპოლიონმა პარიზის მეცნიერებათა აკადემიაში გააკეთა მოხსენება ეგვიპტური ეროგლიფური დამწერლობის გაშიფვრის შესახებ. ეს დღე ითვლება ეგვიპტოლოგიის დაბადების თარიღად. თუმცა მას მრავალი დღე, წელიწადი თუ საუკუნე უსწრებდა სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა ეროვნების მკვლევართა შრომისა ერთი მიზნის მისაღწევად — ამოეხსნათ ეროგლიფების საიდუმლოება.



იეზუიტი, მათემატიკის პროფესორი ათანასე კირხერი

პირველები, რომლებმაც ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან მიაპყრეს ეიროგლიფებს ყურადღება, ძველი ბერძნები იყვნენ. ისინი ეიროგლიფებს დვითურ დამწერლობად მიიჩნევდნენ. IV საუკუნის ბერძენი მოაზროვნის, ჰორაპოლონის ორტომიან ტრაქტატში მოცემულია მრავალი ეიროგლიფის მნიშვნელობა. სხვა მასალის უქონლობის წყალობით, ეს ნაშრომი დაედო საფუძვლად გაშიფვრის ყველა შემდგომ მცდელობას. ჰორაპოლონის წარმოდგენით, ეიროგლიფური დამწერლობა ხატოვან დამწერლობათა ტიპებს განეკუთვნებოდა და ყოველ ეიროგლიფს სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. მაგალითად, კურდღლის გამომსახველი ეიროგლიფი აღნიშნავდა „გახსნას“, „გაღებას“, ვინაიდან „კურდღელს თვალები მუდამ გახელილი აქვს“. „შამპოლიონის მიერ ეიროგლიფური დამწერლობის გაშიფვრის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ეიროგლიფების განვითარების ისტორია მართლაც სიმბოლური გამოსახულებებით იწყებოდა. სახლის აღმნიშვნელი ეიროგლიფი მართლაც სახლს აღნიშნავდა, დროშის — დმეროს, მაგრამ ეს იყო დასაწყისში. მოგვიანებით კი მდგომარეობა შეიცვალა და ამიტომ ჰორაპოლონის მიერ მოცემული გეზი არასწორ გზაზე აყენებდა მკვლევრებს“, — წერდა კერამი (C.W. Ceram გახლდათ ფსევდონიმი გერმანელი ჟურნალისტისა და ავტორისა, კურტ ვილჰელმ მარეკისა) თავის უპოპულარულეს წიგნში „ღმერთები, აკლდამები და მეცნიერები“.

სწორედ ჰორაპოლონის თეორია დაედო საფუძვლად XVII საუკუნის გერმანელი იეზუიტის, მათემატიკის პროფესორ ათანასე კირხერის ნაშრომს ეგვიპტურ ეიროგლიფიკაზე. სამწუხაროდ, კირხერის დასკვნები იმდენად აბსურდული იყო, რომ მან „ჰორაპოლონის ყველაზე ღრმავალიანი ასსნები გაახუნა“. მაგალითად, იმპერატორ დომიციანეს ბერძნული ტიტულის, ავტოკრატორის აღმნიშვნელ ეიროგლიფთან ჯგუფს კირხერი შემდეგნაირად „კითხულობდა“: „ნაყოფიერებისა და მთელი მცენარეულობის შემოქმედი ოსირისი, რომელიც ნაყოფიერების უნარს თავის სამეფოში დაუშვებს ციდან...“

კირხერის აზრით, თვალის გამომხატველი ეიროგლიფი, რომელიც აღნიშნავდა კიდევ არსებით სახელს „თვალი“ ან ზმნა „კეთება“, იკითხებოდა როგორც „ანუბისის სიფხიზლე“, ხოლო თანხმოვან „ნ“-ის აღმნიშვნელი, მდი-



ნარის დინების გამომხატველი ზიგზაგი, როგორც „ბუნების ტენიანობა“.

მიუხედავად ამგვარი მცდარი დასკვნებისა, კირხერი იყო პირველი, რომელიც ჩასწვდა კოპტური ენის მნიშვნელობას იეროგლიფიკის გაშიფვრისთვის. სწორედ კირხერმა გამოსცა რომში კოპტური ენის ლექსიკონი და გრამატიკა, რამაც საშუალება მისცა შემდგომი ეპოქების მკვლევართ, კოპტური ენა შეესწავლათ. ინგლისელმა ეპისკოპოსმა უილიამ უორბერტონმა გამოთქვა მოსაზრება, რომ იეროგლიფებს ჰქონდათ არა მარტო იდეოგრამული, არამედ ბგერითი მნიშვნელობაც და რომ ტექსტები შეიცავენ არა მარტო რელიგიურ, არამედ საყოფაცხოვრებო ხასიათის ინფორმაციასაც. ეს აზრი არაერთმა მკვლევარმა გაიზიარა. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე ჟოზეფ დე გინი, რომლის ფანტასტიკური მოსაზრებით, ჩინელები ეგვიპტელი კოლონისტები არიან. გამოითქვა საპირისპირო მოსაზრებაც უკვე ეგვიპტელთა ჩინელ კოლონისტებად წარმოჩენის შესახებ. ჩნდებოდა კიდევ უფრო ფანტასტიკური და კუროიზული ხასიათის მოსაზრებებიც. ერთ-ერთ-

თი მათგანი იეროგლიფებს წარმოადგენდა ორნამენტებად, რომელთაც ეგვიპტელები ბერძნების მოსატყუებლად დამწერლობად ასაღებდნენ. სხვა ჰიპოთეზის თანახმად კი იეროგლიფები მიწათმოქმედებასთან, ასტრონომიასა და სხვ. დაკავშირებული ემბლემები იყო. გერმანელ პროფესორ სამუელ სიმონ ფიტემ ივარაუდა, რომ იეროგლიფები ქვისმთელელთა მუშაობის ნაყოფი იყო, ხოლო ობელისკები და პირამიდები — ვულკანური ამოფრქვევების შედეგი... ერთ-ერთმა ე.წ. მეცნიერმა საზოგადოებას წარწერათა გაშიფვრის ფრიად ორიგინალური ხერხი შესთავაზა. მისი ღრმა რწმენით, საჭირო იყო დავითის ფსალმუნების თარგმნა ჩინურ ენაზე და ძველი ჩინური დამწერლობით ჩაწერა. ამ გზით, როგორც იგი ირწმუნებოდა, მიიღებოდა ძველ ეგვიპტურის ანალოგიური დამწერლობა.

ბუნებრივია, ამგვარი ფანტასტიკურიული მოსაზრებანი გამოწვეული იყო დამწერლობის ნიმუშების უკმარისობით. არ არსებობდა ბილინგვა, ორენოვანი წარწერა, რომელიც მკვლევართ საშუალებას მისცემდა, იეროგლიფები სხვა ცნობილ დამწერლობასთან შეედა-



კლეობატრა, დაწერილი ძველევგებიტურად

რებიანთ. ზემოხსენებულ ფანტასტიკურ და უსაფუძვლო მოსაზრებათა პარალელურად, ცნობილმა დანიელმა მკვლევარმა, არაბისტმა კარსტენ ნიბურმა შეამჩნია, რომ ეროგლიფები ორ ჯგუფად იყოფოდა: დიდებად და პატარებად. მან ივარაუდა, რომ დიდი ეროგლიფები იდეოგრაფიული დატვირთვისა იყო, ხოლო პატარები — ანბანურისა. ნიბურმა ისიც შენიშნა, რომ ეროგლიფთა საერთო რაოდენობა არც იმდენი იყო, როგორც მანამდე ვარაუდობდნენ. ეს კი ეჭვქვეშ აყენებდა დამწერლობის იდეოგრაფიულ ხასიათს — დამწერლობის პრინციპს, როცა გრაფიკული ერთეული შეესაბამება სიტყვას ან მორფემას (მნიშვნელობის მქონე უმცირეს ენობრივ ერთეულს). ამ დასკვნის წყალობით კარსტენ ნიბურმა დაიკავა საპატიო ადგილი იმ მეცნიერთა შორის, რომლებმაც ხელი შეუწვეს ეროგლიფების გაშიფვრას.


1799 წელს ეგვიპტეში ნაპოლეონის ჯარები გადასხდნენ. კამპანიაში ნაპოლეონს მეცნიერთა დიდი ჯგუფი ახლდა, ხოლო საექსპედიციო გემები დატვირთული იყო სამეცნიერო ლიტერატურით რეგიონის შესახებ. ნაპოლეონის ეგვიპტეში ლაშქრობისას სამხედრო ინჟინერმა პიერ ფრანსუა ბუშარმა შემთხვევით იპოვა ეროგლიფების გაშიფვრის გასაღები — შავი ბაზალტის სტელა, რომელზეც სამ ენაზე სამი სხვადასხვა დამწერლობით იყო შესრულებული წარწერა. ეს ქვა, რომელიც „როზეტას ქვის“ სახელით არის ცნობილი, გახდა ის ბედნიერი აღმოჩენი, რომელმაც ეროგლიფების ამოკითხვას დაუდო საფუძველი. სტელას პირველი და ყველაზე დაზიანებული წარწერა 14-სტრიქონიანია. შესრულებულია ეგვიპტური ეროგლიფური დამწერლობით. იგი ძლიერ არის დაზიანებული, მომტვერული აქვს მნიშვნელოვანი ფრაგმენტი. მეორე, შუა წარწერა, 32-სტრიქონიანია. იკითხება მარჯვნიდან მარცხნივ და შესრულებულია ე.წ. დემოტური (სახალხო) დამწერლობით. ეს დამწერლობა ეგვიპტეში გამოიყენებოდა ძვ.წ. 800 — ახ.წ. 200 წწ-ში. მესამე, 54-სტრიქონიანი წარწერა ბერძნულ ენაზე, არქაული ბერძნულით არის შესრულებული. მასში ნათქვამია, რომ ტრილინგვა შესრულებულია „წმინდა“, „სახალხო“ და ელინური დამწერლობებით. მეცნიერებმა პირველად „სახალხო“ დამწერლობის გაშიფვრა სცადეს, ვინაიდან იგი ნაკლებად იყო დაზიანებული და თავისი გრაფიკული მოხაზულობით საკმარისად მსგავსებს ამჟღავნებდა სხვა ცნობილ აღმოსავლურ დამწერლობებთან. პირველი საყურადღებო მცდელობა ჰქონდა ცნობილ ფრანგ აღმოსავლეთმცოდნეს სილვესტრ დე სასის, რომელიც შეეცადა, დემოტურ ვერსიაში ეპოვა ბერძნულში მოხსენიებული საკუთარი სახელები, პტოლემეაოსი და ეპიფანე. ფარგლით შეიარაღებულმა დე სასიმ მართლაც გამოთვალა ამ სახელების ადგილი დემოტურში, დაყო ისინი მარცვლებად, მაგრამ ამაზე შორს ვეღარ წაიწია. დე სასის შემდეგ იგივე სცადა კოპტური ენის სპეციალისტმა შუადმა დევიდ ოკერბლადმა. სახელების დამარცვლით მან 16-ასოიანი ანბანი მიიღო, რომლის საშუალებითაც დემოტურის რამდენიმე სიტყვის ამოცნობა შეძლო.

ძველევგებიტურში ხმოვნები არ იწერებო-

და. ჯერ კიდევ დე სასისა და ოკერბლადს მი-
 აზნდათ, რომ დემოტური დამწერლობა ანბან-
 ური იყო. სწორედ ამ დროს გამოვიდა ასპა-
 რეზზე ფრანგი მეცნიერი ჟან ფრანსუა შამ-
 პოლიონი. 16 წლის ასაკში იგი ფლობდა ყვე-
 ლა მნიშვნელოვან აღმოსავლურ ენას. 18
 წლის ასაკში ის მეცნიერებათა აკადემიის წევ-
 რად აირჩიეს... პირველ ყოვლისა, მან სწორად
 ამოიკითხა დემოტური ნიშნების უმრავლესო-
 ბა. შემდეგ ეტაპზე დაადგინა, რომ ეგვიპტეში
 იყენებდნენ არა მარტო ეროგლიფურსა და
 დემოტურ დამწერლობებს, არამედ ეროგლი-
 ფიკის სწრაფწერას, ე.წ. ჰიერატიულ დამწერ-
 ლობას, რომელიც ძირითადად პაპირუსზე სა-
 წერად გამოიყენებოდა, განსხვავებით მონუ-
 მენტებსა და ობელისკებზე ამოტვიფრული
 ეროგლიფებისგან. შამპოლიონმა იმდენად
 შეისწავლა სამივე დამწერლობა, რომ შეეძლო
 დემოტური ტექსტის ჰიერატიულზე გადატა-
 ნა, ხოლო ამ უკანასკნელის ეროგლიფებით
 გამოსახვა.

„როზეტას ქვის“ ტექსტის ბერძნული ვა-
 რიანტის სიტყვების რაოდენობის (486) დათ-
 ვლის შემდეგ მან იგი შეუსატყვისა 1419 ე-
 როგლიფს და სწორად ივარაუდა, რომ ე-
 როგლიფებს არ შეიძლებოდა ჰქონოდათ იდე-
 ოგრამული მნიშვნელობანი. ეგვიპტურ წერა-
 ში გამოიყენებოდა მოგრძო კონტურებით ტექ-
 სტის შემოფარგვლა, ქვემოდან ჰორიზონტა-
 ლური ხაზით — კარტუში. ის ტექსტში სამე-
 ფო სახელზე მიანიშნებს. შამპოლიონი მიხ-
 ვდა, რომ კარტუშებში სახელები ფონეტიკუ-
 რი პრინციპით უნდა წაკითხულიყო. მარ-
 თლაც, მან პტოლემეოსის სახელის შემცვე-
 ლი კარტუში წაიკითხა, როგორც „პტოლ-
 მის“. ერთ-ერთი დემოტური ტექსტიდან შამ-
 პოლიონმა იცოდა, როგორ იწერებოდა სახე-
 ლი კლეოპატრა. მან ვარაუდით დაწერა ე-
 როგლიფებით ეს სახელი და როდესაც 1822
 წელს ხელთ ჩაუვარდა ჯოვანი ბატისტა ბელ-
 ცონის, ცნობილი იტალიელი მოგზაურის ჩა-
 ნახატთაგანი, შეამჩნია, რომ ერთ-ერთ ობე-
 ლისკზე გამოსახულ კარტუშში სახელი კლე-
 ოპატრა ზუსტად იმ ეროგლიფებით იყო
 ამოტვიფრული, როგორითაც ეს მან ივარაუ-
 და. ეს უდიდესი აღმოჩენა გახლდათ.

ამის შემდეგ შამპოლიონი უკვე ადვილად
 კითხულობდა ისეთ ბერძნულ-რომაულ სახე-
 ლებს, როგორებიცაა ალექსანდრე, დომიციანე,
 ტრაიანე, ტიბერიუსი და სხვ. ამასთანავე,
 მას არ ჰქონდა წაკითხული არც ერთი წმინ-



ეროგლიფები, რომლებიც ანბანურ ასო-ნიშნებს შეესაბამება



ΠΤΟΛΕΜΑΙΟΣ

პირველი
 წარწერები,
 რომლებიც
 შამპოლიონმა
 ამოიკითხა



ΚΛΕΟΠΑΤΡΑ

და ეგვიპტური სახელი, რის გამოც შეცდო-
 მით დაასკენა, რომ ბგერითი ნიშნებით ეგვიპ-
 ტელები მხოლოდ უცხოურ სახელებს წერ-
 დნენ, მაგრამ 1822 წლის 14 სექტემბერს მან
 წაიკითხა ორი კარტუში, რომლებშიც მოიხ-
 სენიებოდნენ ეგვიპტის უდიდესი მეფეები რამ-
 ზესი და თუთმოსი. სწორედ ეს დღეა მიჩნეუ-
 ლი ეგვიპტოლოგიის, როგორც მეცნიერების
 დაბადების ჰუმბარტ თარიღად. სიცოცხლის
 ბოლო წლებში შამპოლიონმა ეგვიპტეში
 იმოგზაურა. ყველა დაინტერესებული იყო
 „ენახა კაცი, რომელიც კითხულობდა ძველ
 ქვებზე ამოტვიფრულ წარწერებს“.

ერეკლე ასტახიშვილი

აგუარუნას ტომის ინდიელთა წარსულზე ცოტა რამ არის ცნობილი. კერძო ენაზე „აგუარუნა“ ნიშნავს „წყლის ადაშიანს“. პერუს ძველი მცხოვრებნი — ინკები, როგორც ჩანს, ტყუილად არ უწოდებდნენ ასე. მათთვის ალბათ ცნობილი იყო აგუარუნას ინდიელთა უნარი — იცხოვრონ მშვიდობით და შეთანხმებით წყალთან, მდინარესთან.



„წყლის ადაშიანები“

აგუარუნას ტომის ინდიელები შემთხვევით არ სცემენ თავყანს წყალს. მდინარე მათთვის არსებობის ძირითადი წყაროა. ისინი არცთუ ბევრნი არიან, დაახლოებით 12 ათასამდე. ტომი ცხოვრობს ტყეში, წინაპართა კანონებით, არაერთი კონტაქტი არ აქვთ გარემომცველ სამყაროსთან. როგორც ძველად, დაკავშირების ძირითადი საშუალება თანატომელთა შორის არის მდინარე. მათთვის მდინარე არის

გზა, ფოსტა, ტელეფონი და ამასთანავე — საკვების ძირითადი წყარო.

მდინარეებში მრავალნაირი თევზია, უამრავი კუ და სამხრეთამერიკული ნიანგი. მდინარესთან დასარწყულებლად მოდიან ტაპირები, გარეული ტახები და თხები. აგუარუნას ხალხთა შორის აუცილებლად, ლამის წმიდათაწმიდად მიიჩნევა თევზაობისა და ნადირობის ხელოვნების შესწავლა, ცურვის ცოდნა, კანოეს (მოკლენიზიანი გრძელი ნავი) მართვა, რომელიც ხისგანაა გამოთლილი.

აგუარუნას ინდიელები ზედმიწევნით ამტანები არიან. შეუძლიათ რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში იცურონ მდინარეზე დინების საწინააღმდეგოდ და ოდნავადაც არ დაიღალონ. არაჩვეულებრივად ყვინთავენ და დიდხანს ძლებენ წყლის ქვეშ.

აგუარუნას ტომის წეს-ჩვეულებები საუკუნეობით არ იცვლებოდა. ოჯახში მამაკაცი ითვლება უფროსად. მან უნდა იპოვოს მოხერხებული ადგილი, გაჩეხოს მცენარეულობა, დაწვას და ნათესებისთვის მოამზადოს ნიადგი, მოამარაგოს ოჯახი ახალი თევზითა და



ნანადირევით, დაამზადოს ბადეები, სხვადასხვაგვარი საყოფაცხოვრებო მოწყობილობა, მშვილდი, ისრები, შუბები და ათასი სხვა წერილმანი.

აგუარუნას მამაკაცები სანაქებო ხუროები და მშენებლები არიან. ისინი საცხოვრებლებს ამადლებულ ადგილას აგებენ. სამენ მასალად იმას იყენებენ, რასაც ბუნება აძლევთ: ხის ტოტებს, ღეროებს, ბამბუკს, ლერწმს, პალმის ფოთლებს, თივას... ქოხი ისე იგება, რომ მასში წლის ნებისმიერ დროს სიგრილე იყოს. სიცხემ რომ არ შეაწუხოს, სახლს ხიმინჯებზე დგამენ. ოთახები ისეა განლაგებული, რომ ყველა მათგანი ნიავედება. საცხოვრებელი კარგად არის დაცული წვიმისგან.

აგუარუნას მამაკაცები ფეიქრები და მკურავებიც არიან. ქალები სახლსა და ბავშვებზე ზრუნავენ, თუმცა მათ აღზრდას ოჯახის მამა უძღვება. მამაკაცების დამუშავებულ ნაკვეთზე ქალებს მოჰყავთ სხვადასხვა სახის ძირხვეწა, ბანანი, სიმინდი, ციტრუსი, უვლიან შინაურ პირუტყვსა და ფრინველს, ამზადებენ თხის ჭურჭელს.

აგუარუნას ინდიელებს სწამთ იდუმალი სულების, ბუნების ძლევამოსილი ძალების. მათი ძირითადი ღვთაებები მთვარე და მზეა. სჯერათ, რომ არსებობს კარგი და ცუდი ღმერთები. მათვე მიაწერენ სიხარულსა და დარდს, გამარჯვებასა და დამარცხებას.

„წყლის ადამიანები“ ფაქიზად იცავენ წინაპართა ადამიანებსა და ტრადიციებს. სადამოობით, სამუშაო დღის მერე, მოხუცები და ახალგაზრდები იკრიბებიან და წრიულად სხდებიან. უფროსები ყვებიან მამებისა და ბაბუე-



ბისგან გაგონილ ამბებს. მათი ძირითადი მიზანია — ახალგაზრდობამ იცოდეს წარსული.

აგუარუნას ინდიელები მაღალი და მოძრაი ხალხია. მამაკაცები კუბრივით შავ, მშხინავ თმას კეფასთან იკრავენ, ქალები გაშლილი თმით დადიან და სხვა ტომელებისგან განსხვავებით, სამკაულებს არ ატარებენ.

**ნოდარ ელიზბარაშვილი
ლია მაჭავარიანი**



ედუარდ დეზა-პონსანი. „დილა ლუკრის კარიბჭესთან“. XIX ს.



ბახთოძეს ლაშა

საფრანგეთის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი და სამარცხვინო ფურცელი — „ბართლომეს ლაშა“, იმ რელიგიური დაპირისპირების შედეგი იყო, რომელმაც თავი იჩინა XVI საუკუნის დასაწყისის საფრანგეთში.

ამ საუკუნის პირველი ნახევარი ქვეყნის პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური წინსვლით აღინიშნა. საფრანგეთის მეფეები ებრძვიან ესპანეთის მეფეებს ევროპაში ტერიტორიების გადანაწილებისთვის; იბრძვიან იტალიაში, ცდილობენ მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი გავლენა და სხვ.

იტალიასა და მის კულტურასთან დაახლოებამ ფრანგები აღორძინებისეულ სამყაროს აზიარა. საფრანგეთში გზა გაიხსნა ახალი იდეებისა და ახლებური მსოფლმხედველობისთვის. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ცვლილებებს რელიგიურ სამყაროშიც.

კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებულმა მოძრაობამ (პროტესტანტობამ) საფრანგეთში XVI საუკუნის 20-30-იან წლებში შეადგინა. ფრანგი პროტესტანტები ძირითადად კალ-

ვინის მიმდევრები იყვნენ (საფრანგეთში მათ ჰუგენოტები ეწოდათ). ფრანგი პროტესტანტი მოღვაწე ჟან კალვინი (1509-1564 წწ.), რომელსაც ჟენეველ პაპს უწოდებდნენ (რადგან ცხოვრების დიდი ნაწილი ჟენევაში გაატარა), ყველაფრის წინანსწარგანსაზღვრულობას, სამყაროს არსებობაში ღვთის ჩაურევლობასა და საქმეში (უფრო ფულის დაგროვებაში) წარმატების მიღწევის აუცილებლობას ქადაგებდა.

ჰუგენოტები, ძირითადად, საფრანგეთის სამ-

ხრეთის ქალაქების შეძლებული მოსახლეობისა და თავად-აზნაურთა წარმომადგენლები იყვნენ. ისინი ხშირად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას მეფისა და რასაკვირველია, კათოლიკური ეკლესიისადმი, რომელიც მეფის მთავარ იდეოლოგიურ დასაყრდენს წარმოადგენდა.

რელიგიურ ნიადაგზე შეტაკებები და ხოცვა-ჟლეტა საფრანგეთში „ბართლომეს დამემდეც“ ხდებოდა, განსაკუთრებით რელიგიური ომების პირველი პერიოდიდან (1562-1572 წწ.) მოყოლებული. კათოლიკეებს აღიზიანებდათ „მწვალელების“ მომრავლება, მათი სიმტკიცე და წარმატება. რელიგიური განსხვავებულობის საბაბით ერთმანეთს დიდი საგვარეულოებიც უპირისპირდებოდნენ. კათოლიკეთა ბანაკში გამორჩეული ადგილი ეჭირა გიზებს, ხოლო პროტესტანტებში — კოლინებსა და ბურბონებს.

ჰუგენოტთა გამოჩენილი მეთაური გახდა ადმირალი გასპარ დე კოლინი, უბრალოებითა და პატიოსნებით გამორჩეული ჰუგენოტი. იგი ენერგიულად იცავდა პროტესტანტების ინტერესებს თავის სამშობლოში.

კათოლიკეთა შორის კი ძალაუფლება აიღეს ფრანსუა (სამხედრო მმართველობა) და შარლ (სამოქალაქო მმართველობა) გიზებმა. ისინი მეფე ფრანცისკ მეორის მცირეწლოვნების მომიჯნავეებით მართავდნენ ქვეყანას (გიზები ბიძებად ეკუთვნოდნენ ფრანცისკ მეორის მეუღლეს, შოტლანდიელ დედოფალ მარიამს). ეს კი ძალიან აშინებდა ფრანცისკ მეორის დედას, ეკატერინე მედიჩის, რომელმაც, გიზების საპირისპიროდ, სამეფო კართან ჰუგენოტთა დაახლოება გადაწყვიტა.

1560 წელს ფრანცისკ მეორე გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა მისი ძმა შარლ მეცხრე, რომელიც ასევე მცირეწლოვანი გახლდათ. სამეფოს მმართველობა ხელში აიღო დედოფალმა ეკატერინე მედიჩიმ. მან დაიახლოვა გასპარ დე კოლინი. კოლინიმ მეფეს წარუდგინა პროექტი, რომელშიც ასახული იყო კოლინის საგარეო-პოლიტიკური გეგმები (და არა მხოლოდ ეს): ნიდერლანდების საფრანგეთისთვის შემოერთება, ესპანელთა საბოლოო დამარცხება (თურქების დახმარებით), ამერიკაში ფრანგ ჰუგენოტთა კოლონიის დაარსება და სხვ. მაგრამ მეფემ კოლინის გულმხურვალე ინციატივებს წაუყრუა.

ჰუგენოტებისადმი საფრანგეთის სამეფო კარის მოჩვენებითი კეთილგანწყობის მწვერვალი იყო ეკატერინე მედიჩის სურვილი, რომ-



ადმირალი გასპარ დე კოლინი

ლის მიხედვითაც შარლ მეცხრის და მარგარიტა უნდა დაექორწინებინათ ჰუგენოტთა ერთ-ერთ მეთაურზე, ნავარულ ჰერცოგ ჰენრისზე. ეკატერინემ პაპისგან ლოცვა-კურთხევა, რაღა თქმა უნდა, ვერ მიიღო, ამიტომ ჯვრისწერაზე ძლივს დაითანხმა კარდინალი შარლ ბურბონი (აღბათ ერთადერთი კათოლიკე ბურბონი).

ჰენრიხისა და მარგარიტას შეუღლება 1572 წლის 18 აგვისტოს იხვემეს. პარიზში თავი მოიყარეს რჩეულმა ჰუგენოტმა არისტოკრატებმა. გარეგნულად, ჯერჯერობით, ყველა სიმშვიდეს ინარჩუნებდა. სინამდვილეში კათოლიკე პარიზელთა გაღიზიანებას საზღვარი არ ჰქონდა. მათ გაბოროტებას იწყევდა „პროვინციელებისა“ და „მწვალელების“ სიამაყე, გამოძწვევი საქციელი და საერთოდ მა-

მეფე შარლ მეცხრე





თი არსებობა. დედოფალ ეკატერინე მედიჩისა და შარლ მეცხრეს ჰუგენოტთა ძლიერების საბოლოო დასამარება გადაწყვიტათ. მეფის გადაწყვეტილებაზე, ეკატერინესთან ერთად, იმოქმედეს მისმა იტალიელმა მრჩეველებმა ალბერ დე გონდიმ და ლუდოვიკო დი გონზაგამ, თუმცა ეკატერინეს (და არც ალბათ მეფეს) სულაც არ სურდა მასობრივი ზოცვა-ფლეთის მოწყობა, მათი სურვილი იყო ჰუგენოტური მოძრაობის მოთავთა განადგურება.

1572 წლის 24 აგვისტოს ღამისთვის გააფრთხილეს პარიზის მამასახლისი, უბნების უფროსები, ჯარისკაცები. ჰუგენოტთა ცნობა ადვილი იყო. მათ ძირითადად შვიი სამოსი ეცვათ. მაინც თითოეული სახლი, სადაც ჰუგენოტები ცხოვრობდნენ, თეთრი ჯვრებით აღნიშნეს. გაბოროტებული გიზები, თავიანთ მომ-

ხრეებთან ერთად, სულმოუთქმელად ელოდნენ შურისძიებას.

24 აგვისტო წმინდა ბართლომეს დღესასწაული იყო. ასე, ღამის ორსა და ოთხ საათს შორის სენ-ფერმენის სამრეკლოდან ზარის რეკვის ხმა გაისმა. მას თითქმის ყველა სხვა ტაძრის ზარი გამოეხმაურა. ეს მასობრივ მკვლელობათა დაწყების ნიშანი იყო. გამძვინვარებულმა ფანატიკოსებმაც არ დაყოვნეს. კათოლიკეები ჰუგენოტებს შინ უვარდებოდნენ, მძინარეებს ზოცავდნენ, შემდეგ მოკლულებს ძარცვავდნენ, მიჰქონდათ ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლებოდა. ერთ-ერთი პირველი ამ სასაკლავოს ადმირალი კოლინი ემსხვერპლა. იგი სახლშივე მოკლეს, მისი ცხედარი ფანჯრიდან ეზოში გადააგდეს. გამოჩენილი ჰუგენოტი არისტოკრატებიდან დაილუპნენ ფრანსუა-



ჰენრიხ
ნაუარული
(ბურბონი)



მარგარიტა,
ჰენრიხ
ნაუარულის
მეუღლე

◀ ფრანსუა დიუბუას ტილო „მკვლელობა წმინდა ბართლომეს დღეს“

ჟან-ჟუვერე დე ბარბიე, გაიო დე კრიუსელი, ბერნარ-როჟე დე კომენჟი, ბრიუნკელის ვიკონტი, ჟან როჟე დე კომენჟი, გრაფი ფრანსუა დე ლაროშფუკო, ბარონი არმან დე კლერმონი, ფილოსოფოსი ჰუმანისტი პიერ დე ლარამე და მრავალი სხვა. ჰენრიხ ნაუარულმა თავს იმით უშველა, რომ მაშინვე კათოლიკობა მიიღო. ქაოსმა ისეთ საზღვრებს მიაღწია, რომ ნებისმიერს შეეძლო მოეკლა ნებისმიერი (მევალე, ცოლი, სიდედრი, ზოგადად, არასასურველი ადამიანი) და მოკლული ჰუმანოტებისთვის „მიეთვალა“. არაფერ იცის, ღამეული კომპარი რამდენ ხანს გაგრძელდებოდა, მეფეს რომ მისი შეწყვეტა არ ებრძანა.

პარიზში იმ ღამეს ხუთი ათასამდე კაცი დაიღუპა. აგრესია ჰუმანოტებისადმი მომდევნო დღეებში მთელ საფრანგეთში გაგრძელ-

და. ხოცვა-ჟლეტას ოცდაათი ათასამდე კაცი ემსხვერპლა.

ბართლომეს ღამემ ჰუმანოტთა საბოლოოდ დასამარება ვერ მოახერხა. პირიქით, ჰუმანოტებმა ბრძოლა განაგრძეს და რელიგიური ომები საფრანგეთში კვლავ განახლდა.

ბართლომეს ღამის ტრაგედიას უარყოფითი რეაქცია მოჰყვა ევროპის სხვა ქვეყნებში. გაეკვირდებათ და იმ ღამეს დატრიალებული ამბები დაგმო რუსეთის მეფემ ივანე მრისხანემ (თუმცა თავის ქვეყანაში არანაკლებს აწეობდა).

ბართლომეს ღამე აისახა მხატვრობაში, ლიტერატურაშიც. ამ ტრაგედიის ამსახველი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია ალექსანდრე დიუმას „დედოფალი მარგო“ და პროსპერ მერიმეს „შარლ მეცხრის მეფობის ქრონიკა“.

შოთა აბატიშვილი

უსწოზი მესენატი

ჩეთევან იაშვილი
ნახატების უძლიერესი
ხოლმესი საქართველოს
უსწოზი...

„და გვეყვს ქეთევანი — არც დედოფალი, არც წამებული, დიდი ბუნების ქალბატონი, ქველმოქმედი, საამაყო მამულიშვილი — მადლობა და დიდება მას! სამშობლო, გვიძრავლე ასეთი მოამაგენი!“ — ეს გულთბილი სიტყვები ქეთევან იაშვილის კეთილშობილური საქციელით მოწიბლულ, მისი სურათების კოლექციის ნახვით აღფრთოვანებულ პედაგოგს ეკუთვნის.



დღეს თელავში სტუმრად მოსული ისე როგორ წავა აქედან, თუ ქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობასთან ერთად, ქეთევან იაშვილის სურათების გალერეა არ დაათვალიერა.

აქ თავმოყრილია ჩვენი ეპოქისა თუ წარსულის გამოჩენილ მხატვართა ნამუშევრები, ქალბატონ ქეთევანს რომ მთელი ცხოვრება უგროვებია და თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისთვის საჩუქრად გადაუცია. ეს კი, ბუნებრივია, არ გაუკვირდება იმას, ვინც ქალბატონ ქეთევანს იცნობდა, რადგანაც მისი ნათქვამიც უსომება: „ჩემი ცხოვრების მთავარ აზრს სხვათა გახარებაში ვხედავ“...

სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა. მხატვრობისადმი გაუნელელებელი ინტერესი და სიყვარული თავისებურად გამოხატა — საკუთარი დანაზოგით სურათებს იძენდა.

პირველი ნახატი იყო წარმოშობით ფრანგი ბატალისტი მხატვრის, ოდესაში დაბადებული ფრანც ალექსანდრეს ძე რუბოს (1856-1929) — „გიმრის იერიში, აულ ღუნების აღება“.

ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე... მსოფლიო ფერწერის ნიმუშებმა ზღაპრულ სამყაროს დაამსგავსეს ქეთევანის ბინა და მასთან, როგორც ექიმ-კოსმეტოლოგთან სამკურნალოდ მოსულნი იმაზე მეტხანს ჩერდე-

ბოდნენ, ვიდრე ეს საჭირო იყო. განა შეიძლება გულგრილად დაეტოვებინათ ქართული, რუსული თუ ევროპული მხატვრობის აღიარებულ ოსტატთა შედეგები?

სიმშვიდე და სითბო იღვრება კონსტანტინე მაკოვსკის „ოჯახური პორტრეტიდან“, თითქოს თანაგრძნობას ითხოვს იაკობინელებთან ტყვედმყოფი ლუდოიკო XVII კარლ თეოდორ ფონ პილოტის სურათიდან, ელენე ახვლედიანის ნახატებში ძველი თელავი იწონებს თავს და ვინ მოთვლის, რამდენი მნახველი აღუფრთოვანებია მის ბინაში თავმოყრილ ლადო გუდიაშვილის, ირაკლი თოიძის, ივან კრამსკოის, ივან აივაზოვსკის, მიხაი ზიჩის, ალბერტ კეიპის, კოსტინი კარლოს, ბრუმელ ნარვილის, კარლ პილოტისა და სხვა ევროპელ ოსტატთა მიერ შესრულებულ ჟანრულ და პორტრეტულ ნამუშევრებს. თითოეულ მათგანს თავისი ისტორია აქვს ნახატის ავტორის, შესრულებისა და შექმნის თვალსაზრისით.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ უნიკალური სურათების გალერეას ამშვენებს ფრანც რუბოს ცნობილი ნახატი, რომელიც ქალბატონმა ქეთევანმა 1930 წელს შეიძინა და თავის კოლექციასაც ამით დაუდო სათავე. საგულისხმოა, რომ დაღესტან-ჩეჩნეთის იმამ შამილის წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლაში მო-

ნაწილებდა ქეთევან იაშვილის მამა, რომელიც თავის შვილებს ამ ბრძოლის შესახებ ხშირად უყვებოდა.

ქეთევან იაშვილის გალერეაში ყურადღებას იპყრობს ცნობილი პოლანდიელი მხატვრის, ალბერტ კეიპის (1620-1691) ნახატი „ძროხები წყალს სვამენ“. ცნობილი იყო ამ ნახატის კიდევ ორი ვარიანტი „ნახირის“ სახელწოდებით, რომელთაგან ერთი ინახება ბუდაპეშტის სახვითი ხელოვნების მუზეუმში, ხოლო მეორე — ალექსანდრე პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში მოსკოვში.

გალერეას ამშვენებს ცნობილი ქართველი მხატვრის, გიგო გაბაშვილის (1862-1936) სამი ორიგინალი: „ნატურმორტი“, „ალავერდი“ და „აღმოსავლეთის ბაზარი“. აქედან „ნატურმორტი“ მხატვარს უზრუნველყოფდა ექიმ ივანე გომართელისთვის, რომლის შთამომავალთაგანაც სურათი ქეთევან იაშვილმა შეიძინა.

ოდესაში მყოფმა ქეთევან იაშვილმა და მისმა მეუღლემ ერთ კერძო ღუქანში შეინაწესეს, რომ მაგიდაზე სუფრად გადაფენილი იყო



პატრისტულ ამ.

1977 წლის აპრილის, 12 საათზე, ქ. თელავში სახვითოლ გაიხსნება თელავის სახატო მოქალაქის

მთავან შირაპის ასულ იაშვილის

მიერ თელავის რაიონისათვის გადმოცემული მხატვრული ნამუშევრების კოლექციის ბაზაზე შეკმნილი სამხატვრო გალერეა.

გ თ ს ო ე თ დ ა ე ს წ რ ო თ.

თელავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილება

მოსაწვევი ქეთევან იაშვილის სახელობის სამხატვრო გალერეის გახსნაზე

*ქეთევან იაშვილი (მარცხნიდან პირველი),
შეხვედრა თელაველ პედაგოგებთან*





მეფე ლუდოიკო XVII იაკობინელთა ტყვეობაში, კარლ პილოტი (1826-86)

საინტერესო ფერწერული ტილო... მათ მედუქნეს სთხოვეს, სურათი მათთვის დაეთმო, რის სანაცვლოდაც ახალი სუფრა და 50 რუბლი შესთავაზეს. შეთავაზებას მედუქნე სიხარულით დათანხმდა. ასე შეემატა ქეთევან იაშვილის კოლექციას გერმანელი მხატვრის, კარლ პილოტის „მეფე ლუდოიკო XVII იაკობინელთა ტყვეობაში“.

ქეთევანი თავის მიერ შექმნილ ნახატებს შვილობილებს უწოდებდა. დაუზარებლად უხსნიდა დაინტერესებულ სტუმარს, რომელი სად, როგორ და როდის შეიძინა... გრძნობდა, როგორ უჭირდა მნახველს მის სურათებთან განშორება. მეტიც, ქეთევანმა იწამა თავისი განძის სასწაულმოქმედი ძალა და ასე თანდათანობით მივიდა იმ დასკვნამდე, სხვებაც ეზიარებინა ხელოვნების ნიმუშების ხილვით გამოწვეული სიხარულისთვის. — გაუჩაწილო ადამიანებს შენი სიხარული, მოჰგვარო მათ ბედნიერება, — აი, რა სურვილი გამიჩნდა... — წერს იგი.

შშობლიურ კუთხეში უკეთეს ადგილს სად მოტებინდა თავისი კოლექციისთვის. ასე გად-

მონაცვლა მშვენიერების სამყარომ თბილისური ბინიდან თელავის მუხეუმში, რათა ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველასთვის, ვისაც ხელოვნება უყვარს. მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს ამ ღირსეული მანდილოსნის მოგონებებისა და ზოგიერთი ბიოგრაფიული დეტალის გაცნობა, რომელსაც გთავაზობთ მისივე ვრცელი ავტობიოგრაფიიდან (ხელნაწერი დაცულია ჩვენთან):

„ჩემი წინაპრები რაჭიდან, სოფელ სომიწოდან გადმოსულან კახეთში დიდი ხნის წინ. დასახლებულან ურიათუბანში (ამჟამად სოფელი ვაზისუბანი. — ავტ.). მამას მანაველი ქალი შეურთავს, გვარად მახარობლიძე და სოფელ შალაურში დასახლებულა, მაგრამ მალე დაქვრივებულა. დაერჩენილვართ ობლები სამი და, უფროსი თოთხმეტი წლის, შუათანა — რვისა და მე — სამი წლის.

მამას მარტოს გაძნელება ჩვენი მოვლაპატრონობა და გადაუწყვეტია ცოლის შერთვა. ისეთი ქალი შეურჩევია, ჩვენ რომ შვილებით ვყვარებოდით და მართლაც ასე მოხ-

და. მე დედა არ მახსოვდა და იგი ყველას მერჩივნა. მასაც, როგორც ყველაზე პატარა, გამორჩეულად ვუყვარდი...

შვიდი წლის ვიქნებოდი, ტოლებთან ერთად მდინარეში ვჭყუმპალაობდი, როცა მეზობლის ქალმა მკითხა, დედინაცვალი როგორ გაქცევაო.

ძალიან მეწყინა, — დედინაცვალი როდის მყავს-მეთქი?..

ტირილით გავიქეცი შინ და დედას შევჩიველუ. მან გულში ჩამიკრა, — ეგ როგორ დაუჯერე, შენ ხომ ჩემი ღვიძლი შვილი ხარ და მე კიდევ შენი ალალი დედაო, — თვალცრემლიანი მამშვიდებდა...

ამ შემთხვევამ გულში მაინც დადი დამიტოვა, თუმცა ჩვენს დამოკიდებულებაში არაფერი შეცვლილა. ახლაც მწყინს, მას დედინაცვლად რომ მოვისხენიებ“.

ქეთევანის მამა — მერაბ იაშვილი მშრომელი კაცი ყოფილა, ამასთან მკაცრი და თავმოყვარე. ქალიშვილების პატრონს სულ ეშინოდა — წინდაუხედავად არ მოქცეულიყვნენ. „ჩვენც მისი დიდი რიდი გვქონდა, თქვენობით ველაპარაკებოდით. მის დაუკითხავად ნაბიჯს



საგამოფენო დარბაზში

არ გადაუდგამდით. მამას სოფელშიც დიდ პატივის სცემდნენ, მის სიტყვას ანგარიშს უწყენდნენ. სოფელში ოჯახი არ იყო, რომ მისთვის შვილი არ მოენათვლინებინა და მთელი სოფელი ნათლია მერაბს ეძახდაო“.

ქეთევანი 1883 წელს დაიბადა. 8 წლისას მამამ წერა-კითხვის სწავლა დააწყებინა, შემდეგ წაიყვანა თელავში და საცხოვრებლად უფროს დებთან ერთად თელაველი საზოგადო მოღვაწის, ვანო პაატაშვილის ოჯახში მოაწყო. აქვე ემზადებოდა თელავის წმინდა ნინოს სასწავლებელში შესასვლელად.

ახლანდელ დროს რომ ვადარებ, გული

ზღვის სანაპირო, ივან აივაზოვსკი (1817-1900)



*„ქალიშვილის პორტრეტი“
კტიმოფევი (1835-1914)*



*ანტიკვარული
ტუმბო,
ქეთევან
იაშვილის
პირადი
ნიეთებიდან*



მტკიცა, — იგონებდა ქალბატონი ქეთევანი, — სად იყო ამდენი გასართობი, ასეთი თავისუფლება... თუმცა, მაინც ვახერხებდით მოწყენილობისგან თავის დაღწევას. ზაფხულის არდადეგებს ვაზისუბანსა და შალაურში ვატარებდით. ჩვენთან ბევრი ამხანაგი მოდიოდა, ვმართავდით წარმოდგენებს. მასსოვს, ერთხელ შალაურში დიდი მარანი ხალხით გაივსო. დაუდგით პიესა რაფიელ ერისთავისა. სოფლელები ძალიან კმაყოფილები დარჩნენ და გეთხოვნენ კიდევ დაგვედგა რამე.

1963 წლიდან მოყოლებული, 14 წლის განმავლობაში ქეთევან იაშვილმა თელავის მუზეუმს თავისი ფერწერული ტილოების კოლექციის უმეტესი ნაწილი გადასცა.

1977 წლის 23 აპრილი კი ზეიმის დღედ იქცა თელაველებისთვის — ამაგდარმა ქალმა მათ საჩუქრად უძღვნა მთელი თავისი უნიკალური კოლექცია. მასში მხოლოდ ფერწერული ტილოები არ გვხვდება. აქ არის ქალბატონი ქეთევანის კოსმეტოლოგიური კაბინეტის მოწყობილობა, XIX საუკუნის ავეჯის უნიკალური ნიმუშები, მარმარილოში გამოკვეთილი ძეგლები, ჟან ანტუან პუდონის (1741-1828) „ვენერა“, ბოპაფელდის „რომის ხედები“, მინიატიურული მოზაიკის ნიმუშები, საწერი მაგიდა, უცნობი ოსტატის ხელით შესრულებული გობელენი „მამაკაცი ძაღლებით“ და სხვ.

ქეთევან იაშვილის გალერეის ერთი ოთახი დათმობილი აქვს ცნობილი ქართველი მხატ-

*ქეთევან იაშვილის კოსმეტოლოგიური
კაბინეტის მოწყობილობა*



ჩემი ცხოვრების მიზნად ხალხის სამსახური დავისახე.

უბედნიერეს ადამიანად ჩავთვლი ჩემს თავს, თუ ეს წრფელი გულით მიძღვნილი საჩუქარი ოდნავ მაინც აღმოჩნდება მშობლიური ხალხისადმი იმ დიდი სიყვარულის მაჩვენებელი, რომელიც მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში ძალას მშატებდა, მამხნევებდა, მასულდგმულეებდა.

ქეთევან იაშვილი



„გლეხის პორტრეტი“,
1898, ნ.გროტი



„ვიმპრის იერიში, აულ ღუნების აღება“, ფრანც რუბო (1856-1929)



„მოხუცი მეზღვაური“, ს. დელიუკი



„კავკასიური პეიზაჟი“, პაულ ფონ ფრანკენი (1818-1884)

ქეთევან იაშვილი: — *ზშირად ვიმეორებ ვიქტორ ჰიუგოს სიტყვებს: „მე მიყვარს პოპულარობა, ეს ბედნიერებაა, მაგრამ მე მინდა სასარგებლო ვიყო, ეს მოვალეობაა“...*

ვრის, თელაველი ჯემალ ხუციშვილის ნახატებს. ეს ნახატები ავტორმა გალერეას უსახსოვრა. იქვე დაცულია ქართველი და უცხოელი მხატვრების ფერწერული ტილოები და მხატვრული ღირებულების მქონე ნივთები.

თელაველებმა უდიდესი სიყვარული გამოუცხადეს ღირსეულ მამულიშვილს, ყვაილეების ზღვაში ჩაძირეს ძვირფასი სტუმარი და თელავის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

ბედნიერებისგან თავბრუდახვეული ქალბატონი ქეთევანი თავის დღიურში ჩაწერს: „ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო ის ზეიმი და პატივისცემა, რომლითაც კახელები გაგვიმასპინძლდნენ გალერეის გახსნის დღეს მეც და ჩემს სტუმრებსაც. იშვიათი სილამაზით ჩატარდა ეს დღე. უამრავი ხალხი დაესწრო ამ ზეიმს...“

მოხარული ვარ, რომ ეს განძი ჩაჰბარდა შესაფერის ადგილს, სადაც დიდი ყურადღებით მოუკლიან, გაუფრთხილდებიან და სიყვარულით ჩააბარებენ მომავალ თაობებს“.

რაღა გვეთქმის მადლობის მეტი ამაგდარი ქალბატონის ხსოვნისადმი, რომელმაც თავისი ხანგრძლივი, ხალხის სამსახურში გალერეული სიცოცხლე 1980 წელს დაასრულა და კახთმეფეთა სასახლის ეზოში ჰპოვა განსასვენებელი. მაგრამ ასეთი ადამიანები ხომ დავიწყებას არ ეძლევიან.

რამდენს დახმარებია უანგაროდ ქალბატონი ქეთევანი, რამდენი კეთილად გამხსენებელი დაუტოვებია ამქვეყნად...

„თავს ბედნიერად ვთვლი, — ამბობდა ქალბატონი ქეთევანი, — რადგან მწამს, არაფერი შეედრება ქვეყნად იმ გრძნობას, როცა იცი, რომ ადამიანებისათვის სასარგებლო, საჭირო ხარ... ამიტომ ზშირად ვიმეორებ ვიქტორ ჰიუგოს სიტყვებს: „მე მიყვარს პოპულარობა, ეს ბედნიერებაა, მაგრამ მე მინდა სასარგებლო ვიყო, ეს მოვალეობაა“.


ქეთევან იაშვილმა თავადაც ასეთი შეგნებით იცხოვრა...

მარიანე ზოგზანიძე
ბიორგანი ჯავახიშვილი



„მეთორმეტე საუკუნე“, 1979, ლადო გუდიაშვილი

დიდი მხატვრის მიერ შესრულებული მიძღვნის წარწერა ქეთევან იაშვილისადმი





ეკლესია და სახელმწიფო

უკანასკნელ ხანს დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია საქართველოს პარლამენტის მიერ 2011 წლის 5 ივლისს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა. უფრო მართებული ვიქნებით თუ ვიტყვი, რომ საზოგადოების აღშფოთება იმან კი არ გამოიწვია, რომ საკანონმდებლო ორგანომ საქართველოში მოქმედ რელიგიურ გაერთიანებებს უფლება მისცა, დარეგისტრირდნენ როგორც საჯარო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები (ამიერიდან, რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციას განახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო). არა, ეს თუმა დიდი ხანია მზადდებოდა და ბოლოს და ბოლოს, მისი მიღების ჟამიც დადგა. სამწუხაროდ, მაჟანს სურდა, საკითხი ისე წარმოეჩინა, თითქოს ქარ-

თული სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია ამას აპროტესტებდა. არამც და არამც, და ეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა რამდენჯერმე აღნიშნა. საქმე ის გახლდათ, რომ ქართველმა კანონმდებლებმა გადაწყვეტილება ისე მიიღეს, ერთხელაც არ შეუთანხმებიათ (არც უკითხავთ!) თავიანთი პოზიცია სხვადასხვა რელიგიის აღმსარებელთათვის, არაფერს ვამბობ საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდზე. მეორე და ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში რელიგიის სფეროს მოწესრიგებას, აბსოლუტურად გაუმჭვირვალედ მიმდინარეობს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა,

უწმიდესი და უნეტარესი ილია II სწორედ იმას ითხოვდა, რომ ეს საკითხი საზოგადოებრივი განხილვის საგნად ქცეულიყო.

მიღებულ კანონში უამრავი ლაფსუსია და „ბოლშევიკური ტემპებით“ რომ არ ეჩქარათ კანონმდებლებს, სამოქალაქო კოდექსში შესატანი ცვლილებები გაცილებით დახვეწილი და სრულყოფილი იქნებოდა. ახლა კი მალე ამ ცვლილებების შესწორებას წარმოგვიდგენენ, შემდეგ — შესწორების შესწორებას და ა.შ.

საბოლოოდ, ხელისუფლებასა და საპატრიარქოს შორის აზრთა სხვაობას წერტილი ისევ ეკლესიამ დაუსვა და საკითხი სახელმწიფოებრივ ჭრილში გადაწვევითა. სინოდის განჩინებით სახელმწიფოს ეთხოვა:

„ა) მომავალში რელიგიასთან დაკავშირებული კანონპროექტებისა და სხვა ანალოგიური საკითხების განხილვისას წინასწარი კონსულტაციები გაიმართოს საქართველოს საპატრიარქოსთან, რათა, აღნიშნული თემის სიფაქიზიდან და სპეციფიკურობიდან გამომდინარე, თავიდან იქნას აცილებული შესაძლო გართულებები.

ბ) დაიწოს სამთავრობო მოლაპარაკებები ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს საპატრიარქოს ეპარქიების სტატუსსა და ქონებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

გ) სახელმწიფომ გაააქტიუროს თავისი საქმიანობა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული ეროვნული და სულიერი კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით“.

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა მეტად საფრთხილო თემაა და მისი მოწესრიგებისას სიჩქარე არ ეგების. მით უმეტეს,

საქმე გვაქვს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში განსაკუთრებული როლი მიუძღვის. მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის იყო ჩვენი სახელმწიფოებრიობის საძირკველი. საუკუნეთა განმავლობაში, ყველაზე მძიმე ჟამსაც კი დარაჯად ედგა საქართველოსა და ქართველთა ეროვნულ თვითშეგნებას.


ქრისტიანობას, აღმსარებლობასთან ერთად, დიდი პოლიტიკური მისია ეკისრებოდა. საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრებამ უფრო ინტენსიური გახადა კავშირები ევროპის ქრისტიანულ სამყაროსთან.

ქრისტიანობა მთელი სისტემაა კულტურული ფასეულობებისა. IV საუკუნეში ქართლის მეფის, მირიანის გადაწყვეტილება, თანამედროვე პოლიტიკური ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, ნიშნავდა საქართველოს ევროპულ კულტურულ სივრცეში ინტეგრაციას. ქართველობამ გამოკვეთილად პროდასავლური ორიენტაცია აირჩია და დაშორდა აღმოსავლურ ზოროასტრულ სამყაროს. ათას ხუთას წელიწადს ქრისტიანობა იმ კანდელს წარმოადგენდა, რომელიც ჩვენში გზას უკაფავდა დასავლური კულტურის სხივებს. და თუ ჩვენ საუკუნეთა განმავლობაში ევროპულ ცივილიზაციას ვიყავით ნაზიარები და პოლიტიკურად ევროპისკენ ვიცქირებოდით, ესეც დიდწილად ქრისტიანობის დამსახურება იყო.

ქართველ ხალხს გამუდმებულად ლოცვა, შრომა და ბრძოლა უწევდა. უთვალავ მტერთან დაპირისპირებამ აბჯარი შემოგვაცვითა და დაგვიმსხვრია. მსოფლიო იმპერიებთან ჭიდილში განვლეს საუკუნეებმა და ათასწლეულებმა. ათასი რჯულის დამპყრობელი ცდილობდა ქარ-

ვარძის სამონასტრო კომპლექსი





ტბეთის ოთხთავი.
გადაწერილია XII საუკუნეში

თველთა განცალკევებას, განადგურებასა და კავკასიის სტრატეგიული და მდიდარი რეგიონის ხელში ჩაგდებას. არაბებსა თუ ბიზანტიელებს, ირანელებსა თუ ოსმალ-თურქებს ჩვენი სამშობლოს დანაწევრება თავიანთი პრაგმატული პოლიტიკის ნაწილად მიაჩნდათ. რამ გადაგვარჩინა და რამ გამოგვატარა მრავალსაუკუნოვან ქართველებში? პასუხის გაცემა ამ შეკითხვაზე ადვილია — ჩვენმა რწმენამ. მართლაც, მუსლიმურ სახელმწიფოთა გარემოცვაში მოქცეული საქართველოსთვის ქრისტიანობა მხოლოდ აღმსარებლობა არ გახლდათ. იგი ციხედელად შემოვლებოდა ქვეყანას და ყველაზე დიდ, დაუძლეველ ხანდაკს წარმოადგენდა

მტერთათვის. სწორედ ამიტომაც მტერი უპირველესად ჩვენი რწმენის წინააღმდეგ ილაშქრებდა. ძნელად თუ მოიძებნება მსოფლიოში მეორე ერი, რწმენისთვის წამებული ამდენი წმინდანი ჰყავდეს. ევროპელები საგანგებოდ აღნიშნავდნენ, რომ ისლამურ აღმოსავლეთში საქართველო ქრისტიანობის ერთ-ერთი ქედნაუნრელი დამცველი იყო. აკრის ეპისკოპოსი იაკობ დე ვიტრი XIII საუკუნეში ქართველთა შესახებ წერდა: „გარდა ამისა, აღმოსავლეთის მხარეში ძალიან მეომარი სხვა ქრისტიანი ხალხიც ცხოვრობს, ბრძოლაში გამობრძმედილი, მამაცი, ძლიერი, უზარმაზარი ლაშქრის პატრონი. სარკინოზებისთვის ძალიან საშიში არი-



ანგელოზი. ვინწების ფრესკა

ან, სპარსელებისთვის, მიდიელებისა და ასირიელებისთვისაც, რომელთა შორის ცხოვრობენ; ყოველი მხრიდან ურწმუნოებით გარშემორტყემული, ძალიან ხშირად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში ჩაბმულან მათთან. ამ ხალხებს გეორგიანებს უწოდებენ იმიტომ, რომ წმინდა გიორგი ჰყავთ მფარველად და დამცველად ურწმუნო ტომებთან ბრძოლაში“. მუსლიმებიც კი იძულებულნი იყვნენ, ელიარებიანათ ქართველთა განსაკუთრებული ერთგულება ქრისტიანული რელიგიისადმი. ცივილიზაციის თანამედროვე მკვლევრები (მაგალითად, სემიუელ ჰანტიგტონი) ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ, რომ რელიგია უფრო მკვეთრად მიჯნავს ადამიანებს, ვიდრე ეთნიკური კუთვნილება, და რომ რელიგიური ერთობა გაცილებით ადვილად აყალიბებს ცივილიზაციის საერთო ნიშნებს, ვიდრე სხვა რომელიმე ფაქტორი. ამ-

დენად, გაქრისტიანების შემდეგ საქართველო საბოლოოდ გაემიჯნა ჯერ ცეცხლთაყვანისმცემლურ, ხოლო შემდეგ ისლამურ აღმოსავლეთს.

ქართველური ტომების რელიგიური მთლიანობა იყო ის ბალაგარი, რომელმაც საუკუნეებით შეადუღა ჩვენი ერის ერთობა. ყოველივე ამან კი ქართულ სამოციქულო ეკლესიას უდიდესი პოლიტიკური მისია შესძინა. სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულად დაშლილი საქართველო ეკლესიურად მაინც ინარჩუნებდა ერთიანობას. ეს მომენტი განსაკუთრებით აქტუალური გახდა ერთიანი საქართველოს შექმნისას. ნიშანდობლივია, რომ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი ჯერ კიდევ გაერთიანებამდე (XI საუკუნის 20-იან წლებში) მამულებს ფლობდა ტაო-კლარჯეთში, შავშეთში, კოლა-არტანუში, სამცხე-ჯავახეთში, ქართლში, კახეთში, ჰერეთში. ეკლესიურად ეს ერთიანი სივრცე იყო, პოლიტიკურად კი რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიას წარმოადგენდა, მათ შორის რამდენიმე პროვინცია თვით ბიზანტიის იმპერიასაც ჰქონდა მიტაცებული. მოგვიანებით, დავით IV აღმაშენებლის დროს, ახალი ქართული სახელმწიფოს საზღვრები თითქმის მთლიანად მოიცავდა სამხრეთ კავკასიას, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ მაგალითად შირვანის შენარჩუნება საქართველოს საზღვრებში ვერ მოხერხდა. დემეტრე I იძულებული გახდა, იქ კვლავ აღედგინა სამეფო ხელისუფლება. ამის მიზეზი ის იყო, რომ შირვანი, როგორც ისლამური ქვეყანა, რელიგიურად, მენტალურად აბსოლუტურად სხვა ცივილიზაციას ეკუთვნოდა და მისი ქართულ სამყაროში მოქცევა რთული იყო. სამაგიეროდ, კახეთ-ჰერეთის, ტაშირ-ძორაგეტის, თბილისის საამიროს ინტეგრაცია ერთიანი ქვეყნის წიაღში შედარებით უმტკივნეულოდ წარიმართა.

გვიან შუა საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს, მესხეთის გამოყოფისთანავე ადგილობრივი ხელისუფალნი ხელს უწყობდნენ ეკლესიურ სეპარატიზმს. ამის კარგი მაგალითია ყვარყვარე II ათაბაგის პოლიტიკა. XV საუკუნის შუა ხანებში ქართველ მეფე-მთავრებს შორის დაპირისპირებამ მწვავე ხასიათი მიიღო. ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდა სამცხე-საათაბაგოს მმართველი, „საქართველოს დაუძინებელი მტერი“ ყვარყვარე II. იგი გემჯანობიერად ცდილობდა თავისი სამფლობელოს დედასამშობლოსგან

მოწყვეტას. მან ქვეყნის როგორც პოლიტიკურ, ასევე საეკლესიო ერთიანობაში შეიტანა ბზარი. ყვარყვარეს დროს მესხეთში არსებული ეპარქიები საქართველოს ეკლესიის შემადგენლობიდან გამოვიდნენ. ამბიციურმა და ამპარტაუნობაში ჩაყარდნილმა ათაბაგმა საეკლესიო მიწების მიტაცებაც დაიწყო. საქართველოს კათოლიკოსის, დავითის გაბედული ნაბიჯის წყალობით დედაეკლესიის ერთიანობა შენარჩუნდა, მაგრამ მცხეთის საკათალიკოსოს გავლენა მაინც მნიშვნელოვნად შესუსტდა სამცხე-საათაბაგოში, რამაც საბოლოოდ ამ მხარის დაკარგვაც განაპირობა.

...საქართველოს ეკლესია ყოველთვის იდგა ქვეყნის ერთიანობის სადარაჯოზე. უკანასკნელ დროს განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ ცხადყო და დაადასტურა ეს ფაქტი. რუსეთი, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობას ცნობს, იძულებულია აღიაროს ეს ტერიტორია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ.

ისევე როგორც შუა საუკუნეებში, დღესაც საქართველოს დედაეკლესია ბიძგის მიმცემია ქართული კულტურის, ხელოვნების განვითარებისა. მაშინ როცა საქართველოს საზღვრებს მონღოლთა, ირანელთა, თურქთა მარბიელნი მოაწყდნენ და ჩვენი ქვეყანა სათარეშოდ აქციეს, ჩვენი ეკლესია დარაჯად დაუდგა ქართველთა თვითშეგნებას. მტერი მარტოოდენ ხმლით როდი მოიწვედა ალაზნისა თუ მტკვრის, ჭოროხის, რიონისა თუ ენგურის ჭალებსკენ, არამედ ახორციელებდა იდეოლოგიურ ექსპანსიას, უპირველესად, ისლამის გავრცელებითა და იმ ფასეულობათა ჩვენში დამკვიდრებით, რომელიც სრულიად უცხო იყო ქართველი კაცის ბუნებისთვის. ჩვენი ერისთვის ასეთმა გადამწყვეტმა მომენტებმა საქართველოს დედაეკლესია ქართული კულტურის, საუკუნეებით არსებული ადათ-წესების, ცხოვრების ნირის ქედნაუნრელ დამცველად აქცია. სწორედ ქრისტიანობამ გვიხსნა ეროვნული და კულტურული გადაჯიშებისგან.

მილენიუმის მიჯნაზე ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საფუძვლადაც ჩვენი რწმენა უნდა იქცეს. სწორედ ამაზე მიუთითებდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, როცა ბრძანებდა: „საქართველო ეკებს



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II

თავის დასაყრდენს. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ეს საყრდენი ძლიერია იმ შემთხვევაში, თუ ერი არის მრავალრიცხოვანი, ზოგიერთი ფიქრობს, რომ სახელმწიფო ძლიერია მაშინ, თუ მას გააჩნია ძლიერი შეიარაღებული ძალები. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ძლიერია ერი იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია დიდი მეცნიერება და მაღალი კულტურა. ეს ყველაფერი საჭიროა, აუცილებელია, მაგრამ პირველი და აუცილებელი არის ერის სულიერი ძლიერება. აი, სწორედ ამისთვის ვართ მოწოდებულნი და ამით ვიწყებთ ჩვენი ერის განმტკიცებას... ეს სულიერი ძლიერება და ქვეყნის გამძლიანება განუყოფელია“. ერის სულიერი მწყემსმთავრის პოზიცია სამოქმედო პოსტულატია ქართველობისთვის. მხოლოდ ასე შეძლებს საზოგადოება ახალი ქართული სახელმწიფოს აშენებას.

ჯაბა სამუშია

„საქართველოს სამეფოს“ გერბი

კარბალ დაპიწყებული ძველი



ბაგრატიონთა გერბი 1785 წლის ერეკლე II-ის სიგელში

„საქართველოს სამეფოს“ გერბი არაერთხელ გამხდარა განსჯის საგანი. მის შესახებ დიდძალი ინფორმაცია მოიპოვება. ამის მიუხედავად, არსებობს რამდენიმე ნიუანსი, რომელთა წინ წამოწევაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად დააზუსტებს საკითხს.

ქართველი საზოგადოების ინდიფერენტული დამოკიდებულება განსაკუთრებით გამოძვლავნდა საქართველოს სახელმწიფო გერბის პროექტის განხილვისას. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ავტორებმა ისტორიულად და ჰერალდიკის წესების თანახმად საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთეს პროექტის ავტორიზაცია, პარლამენტარებმა და როგორც ჩანს, საზოგადოებამაც სათანადო ყურადღება არ მიაქციეს სახელმწიფოს მომავალი სიმბოლოს განსაკუთრებულ პოლიტიკურ მნიშვნელობას.

მივყვეთ პროექტის აღწერილობას:

2004 წლის მაისში საქართველოს პარლამენტში მოეწყო არქიტექტორ მამუკა ღონღაძის მიერ შემუშავებული სახელმწიფო გერბის პროექტის პრეზენტაცია.

სახელმწიფო გერბის პროექტი, ბაგრატიონთა დინასტიის სიმბოლიკაზე დაყრდნობით (სურ. 1)



აღწერილობაში აღნიშნულია: ავტორმა საფუძვლად აიღო ბაგრატიონთა დინასტიის სიმბოლიკა (სურ. 1).

✓ ცენტრალურ ფარზე გამოსახული იყო უფლის კვართი, რომელიც ევროპულ სიმბოლიკაში მონანიებას, ებრაულში მწუხარებას, აღმოსავლეთის ქრისტიანებში კი ასკეტიზმსა და გამოცდისთვის მზაობას აღნიშნავს;

✓ მარცხენა ზედა და მარჯვენა ქვედა ფარებზე გამოსახულია წმინდა გიორგი, რადგან საქართველოში ამ წმინდანის დღეს ორჯერ აღნიშნავენო (გაუგებარია!);

✓ მარჯვენა ზედა (ანუ მეორე) ფარზე გამოსახული იყო „ორ ისარგაყრილი ცეცხლის-მფრქვეველი მთა“. ზოგიერთ გამოსახულებაზე ეს მთა ზღვაზე დგას, ზოგან ცეცხლის ალუბი ამომავალი მზის სხივების ფორმისაა. სამწუხაროდ, ამ გამოსახულების ზუსტი ჰერალდიკური განმარტება არც ერთ აღწერილობასა თუ ნაშრომს არ ახლავს. მხოლოდ ჰერალდიკოსი დავით კლდიაშვილი შეეცადა მის ახსნას. მისი აზრით, ქართული სახელმწიფოს მეორე გერბი ამირანის (პრომეთეს) სიმბოლური გამოსახულებაა და იფერაის წარმოადგენს. ის გარემოება, რომ კაცობრიობის უძველესი აღმოჩენა, ცეცხლი, სწორედ კავკასიასთან, ე.ი. იბერიასთან იყო დაკავშირებული, შესანიშნავად იცოდნენ ქართველმა მეფეებმაც და, ბუნებრივია, ისინი ცეცხლის მომტანი ამირანის სიმბოლოსაც გამოიყენებდნენო.

ჩვენი აზრით, ამ ახსნაში იგნორირებულია



პარლამენტის მიერ დამტკიცებული გერბი (სურ. 2)

ჰერალდიკური კანონები. ნაგულისხმები გამოსახულების ნებისმიერი სიმბოლო უკავშირდება ქრისტიანულ სიმბოლიკას: შზე („შზე ხსნისა“, „შზე სიმართლისა“, გადაჯვარედინებული ისრები, შუბები ან თუნდაც ბუნიკები — რაინდულ შემართებას, ღვთისმოსაობას, ტერიტორიების დაცვისა და ერთგული სამსახურისთვის მზაობას აღნიშნავს; სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება ნიშნავდეს ჯვარსაც და სამყაროს ოთხ კუთხესაც. მთა (სამკუთხედი) სამების გრაფიკულ გამოსახულებად მიიჩნევა და სხვ.

✓ მარცხენა ქვედა (მესამე) ფარზე სტილიზებული არწივის კლანჭებში მოქცეული ვერძია — ოქროს საწმისის გამომხატველი ემბლემა. როგორც ჩანს, ეს გამოსახულება პროექტის ავტორმა აიღო 1870 წელს ქალაქ ქუთაისისთვის შედგენილი გერბიდან.

✓ ანსამბლს თავზე ადგას სამეფო გვირგვინი.

ხანგრძლივი დებატების შემდეგ პარლამენტმა დაამტკიცა გერბი, რომელზეც მხოლოდ ერთი ფარია ურჩხულის განმეგმირავე წმინდანის გამოსახულებით (სურ. 2).

ჩვენი აზრით, ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ უმართებულოდ თქვა უარი ისტორიულად კუთვნილ, ჰერალდიკურად კი რუსთაგან შემონახულ რეგიონში ქართველთა უპირატესობის დამადასტურებელ სახელმწიფო სიმბოლიკაზე. მკვლევარი თორნიკე ასათიანი აღნიშნავს: „ზოგადად გერბი („საქართველოს სამეფოს“) თავისი მრავალსახონებით, უნიკალური და ძლიერ საინტერესოა ქართული ჰერალდიკისთვის. იგი თავისუფლად გამოდგებოდა „პრეტენზიის“ ან ვთქვათ, საქართვე-

ლოს იმპერიის, ასეთი რომ არსებულიყო, გერბად“.

სამწუხაროა ისიც, რომ დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში არა გვაქვს „საქართველოს სამეფოს“ გერბის, მისი ყველა ატრიბუტის სათანადო განმარტება.

აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა განვიხილოთ რამდენიმე საკითხი: „საქართველოს სამეფოს“ გერბის თითოეული ატრიბუტის სახელწოდება და წარმომავლობა; ცალკეული ატრიბუტის „საქართველოს გერბში“ ჩართვის, თვით „საქართველოს გერბის“ რუსეთის იმპერიის გერბში მოხვედრისა და განვითარების ისტორია.

მიეყვით თანამიმდევრულად: აღწერილობაში ვკითხულობთ, რომ რუსეთის იმპერიის დიდი სახელმწიფო გერბის ესკიზი პირველად შემუშავდა პაულე პირველის დროს (სურ. 3), მაგრამ გადაამუშავებული სახით გამოქვეყნდა 1856 და 1883 წლებში. საქართველოს სამეფოს გერბი, რომელიც მეექვსე ნომრადაა რუსეთის იმპერიაში შემავალი სხვა სამეფოთა გერბებს შორის, შედგებოდა შემდეგი ნაწილებისგან (სურ. 4-5):


ცენტრალურ, მცირე ფარზე — საქართველოს გერბზე ოქროსფერ ფონზე გამოსახულია შავ ცხენზე ამხედრებული მხედარი (წმინ-

პაულე პირველის დროს შემუშავებული რუსეთის იმპერიის დიდი სახელმწიფო გერბის ესკიზი (სურ. 3)





(სურ. 4-5)



და გიორგი), ლაჟვარდოვანი აღკაზმულობით, მკერდზე ოქროს ჯვრით, რომელიც ანადგურებს მწვანე, შავფერთიან ურჩხულს. პირველ ნაწილში განთავსებულია იბერიის (ივერიის) გერბი — წითელ ფარზე გაჭენებული ვერცხლისფერი ცხენი, კუთხეებში გამოსახულია რვაკუთხეობანი ვარსკვლავები; მეორე ფარზე ქართლის გერბია — ცეცხლის მფრქვეველი მთა, რომელიც „განგმირულია“ შავი ფერის ისრებით. ისრის პირები ცისკენაა მიმართული; მესამე ნაწილი ყაბარდოს მიწების აღმნიშვნელია: მეოთხე ფარზე სომხეთის გერბია და ბოლოს — ოქროსფერ ფარზე ჩერქეზთა და სხვა მთიულ მთავართა (იგულისხმება დადესტნელი მმართველები) გერბია გამოსახული.

ამრიგად, ჩვენ გვაქვს სხვადასხვა კონტექსტში გამოყენებული ქართველთა შემდეგი ეთნონიმები:

Грузия — საქართველო; Иверия — ივერია/იბერია; Карталиния — ქართლი.



Грузия



Иверия



Карталиния

XIX საუკუნეში შედგენილ გერბში რეალური სურათი იმპერიისთვის საჭირო მოდელით არის შეცვლილი. სამწუხაროა, რომ ქართველ მკვლევრებსაც გამოჩნათ ეს „სახეცვლილება“: დასახელებული ტერმინებიდან რუს მეფეთა ტიტულატურაში პირველი Иверия შევიდა 1587 წლის 28 სექტემბერს კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის მიერ ფიცის წიგნის მიღების შემდეგ. სწორედ ამის გამო მიიჩნევენ ივერია/იბერიას კახეთად, მაგრამ ეს აზრი დაზუსტებას მოითხოვს.

მეცნიერის, ბატონიშვილ თეიმურაზ დავითის ძის განმარტებით: „ივერია წოდება სრულიად ყოველსა გიორგიისა ქვეყანასა ნიშნავს, ე.ი. ყოველსა ზემოსა და ქვემოსა საქართველოსა.“

ბუნებითად განმსჯელობა სახელისა ამის გვასწავებს ჩვენ ნამდვილ საკმაოსა ჭეშმარიტისა აღმოჩინებასა. (ესე იგი) ოდესცა ადგილნი ზემოისა და ქვემოისა ივერიისანი იყვნეს ერთსა მპყრობელობასა ქვემ ერთისა ხელმწიფისასა, ესე იგი ერთ საშეფოდ მაშინდელთა უკვე მოთხრობათა და წერილთა შინა წყალობის სიგელთ არა მოიხსენების ესეგვარად „ჩვენ მეფემან მპყრობელმან ყოვლისა ივერიისამან“ და ანუ განყოფისა ივერიისა, ესე იგი ჩვენ მეფემან სრულად ქართველთა და აფხაზთა მპყრობელმან...

ამა მიზეზითა უფრო ცხად არს, რომელ ყოველსა მას ქვეყანასა ივერია ეკუთვნის საკუთრად ვინაიდგან განიყო რა ქვეყანანი გიორგისა, ესე იგი ივერიისა სხვად და სხვად სამეფოებად და სამთავროებად, მაშინ ივერია წოდება თითქმის უჩინ იქმნა და ერთსა ნაწილსა ივერიისასა ეწოდა ქართლის სამეფო, მეორესა — კახეთის სამეფო, მესამესა იმერეთის სამეფო, მეოთხესა — სამთავრო საათაბაგო, მეგრელებისა სამთავრო, აფხაზთა სამთავრო, გურია და სხვანი ზემოისა საქართველოსა. ადგილნი სხვად და სხვად სამთავროებად, გინა სახანოებად, ესე იგი შირვანად, დარუბანდად, ავარად, ყუბად, ბაქუდ, ყუბანად, განჯად, ყარაბაღად და სხვა და სხვად წერილს სამთავროებად გარდაიქცეს, მაშინ იწყეს ყოველთა თვითოეულისა ნაწილსა ერთა თვის თვისთა სახელთა წოდება და ივერიად წოდება კინდა და სრულიად დაივიწყეს“.

თეიმურაზ ბაგრატიონისეული განმარტება ისტორიული სინამდვილის ყველაზე თანამიმდევრული და ზუსტი ასახვაა. კახელ ბაგრატიონთა (ზოგადად ქართული სამეფო საგვარეულოსა თუ სულაც ქართველთა) ამგვარი ხედვა რუსეთში ურთიერთობების პირველი დღეებიდან ხდება ცნობილი. მათ ძალიან კარგად იციან, რას გულისხმობს ივერია.

თეიმურაზ ბაგრატიონის ზემოთ მოტანილ ვრცელ განმარტებას რომ დაეურთოთ გეორ-

გიევსკის ტრაქტატში დაცული რუს იმპერატორთა ტიტული: „...ხელმწიფე ივერიისა ქვეყანისა, ქართლისა და საქართველოსა თავადთა და ყაბარდოს ქუეყანისა და მთიულთა თავადთა და სხუათა მემკვიდრე ხელმწიფე“, მაშინ ცხადი გახდება, რომ ივერია არა მარტო საქართველოს მიწების ფლობას, არამედ საერთოდ „ნიკოფსიდიან დარუბანდამდის და ოვსეთიდან არეგაწამდის“ ტერიტორიებს გულისხმობს, ხოლო შუბ თუ ისარგავრილი ცეცხლისმფრქვეველი მთა (დამორჩილებული თუ ნათელღებული კავკასია?) სწორედაც „კავკასის მთას“ უნდა აღნიშნავდეს. ამ სახით არის დაფიქსირებული ეს სიმბოლო XVII საუკუნის შუა ხანებში ალექსი მიხეილის ძის „ტიტულარნიკში“ (სურ.: 6, 7, 8, 9, 10).

იმავე წყაროში კავკასიურ წარმონაქმნთა აღმნიშვნელად კიდევ ოთხი გერბია შესული: საქართველოსა და ქართლის (წმინდა გიორგი), მთელი ჩრდილოეთი მხარის, ჩერქეზთა და სხვა მთიელთა და ყაბარდოელთა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად სახელმწიფო გერბში სიმბოლო „საქართველოსა“ აღნიშნავდა კახეთს.

აქვე შევნიშნავთ, რომ „ტიტულარნიკში“ მოცემულ ყველა გერბს (მოსკოვის, კიევის, ნოვგოროდის, ვიატკის...) საფუძვლად უდევს ისტორიული ტრადიცია. მათ დადასტურებას ეპოულობთ სხვადასხვა მხარეთა და ქალაქ-

ივერია/იზერია — ИВЕРИЯ

(სურ.: 6, 7, 8, 9, 10)



ქართლი/საქართველო
Карталиния/Грузия



ყაბარდოელი მიწების
Кабардинских земель



ჩერქეზთა, სხვა მთიელ მთავართა და მთელი ჩრდილოს მხრის ხელმწიფე
Черкаских, других горских князей и вся Северная Страны
Повелитель



თა შესახებ არსებულ წყაროებში (მინიატიურები, მონეტები...). აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კავკასიის გერბების შედგენისას ავტორი(ები) სარგებლობდა მის ხელთ არსებული ნიმუშებით. გარდა ამისა, „ტიტულარნიკის“ გერბები დასტურდება ავსტრიელი ელჩის იოჰან გეორგ კორბის დღიურში. არის მცირედი განსხვავება. მაგალითად, კორბის დღიურში ვერ მოხვდა ლიტვის დიდი სამთავროს გერბი, ხოლო კავკასიის გერბებიდან „ჩრდილოეთის ქვეყნების მბრძანებლის“ გერბზე შეცდომით არის მიწერილი Seweia, მთარგმნელსა და გამოცემელს კი შეცდომით მიუწერია Свейя — რაც რუსულში შეედღოს აღნიშნავდა.

მოგვიანებით, უკვე დიდი სახელმწიფო გერბის შედგენისას, ამ რეალობამ სახე იცვალა: ივერიის გერბად იქცა ჩერქეზთა და სხვა მთიელ მთავართა გერბი (გაჭენებული ვერცხლისფერი მერანი), ქართლის გერბად კი გამოაცხადეს ივერიის (ანუ კავკასიის) მთის სიმბოლო. ეს შეიძლება გავიგოთ ასე, რომ ქართლი იქცა დამორჩილებული კავკასიის ცენტრად (ყოველთვის ასე იყო!).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართული სიმბოლიკის ყველაზე მართებული ვარიანტი სწორედ „ტიტულარნიკში“ მოცემული. რაც შეეხება „ქართველთა სამეფო გერბზე“ სხვა ქართულ სამეფო-სამთავროთა ატრიბუტიკის არარსებო-

ბას, ეს ფაქტი უნდა აგხსნათ ისე, რომ რუსეთმა მოახდინა საკითხის ტრანსფორმაცია და ტერმინი Грузия გამოიყენა, როგორც ქართველთა საერთო სახელი.

ამრიგად, იბერიის, იგივე საქართველოს სამეფოს გერბი ერთიანობისა და ძლიერების ხანაში (XI-XIVსს.) ქართულ სინამდვილეში წარმოქმნილი და განმტკიცებული პოლიტიკური ფორმულის გრაფიკული გამოხატულებაა, რომელიც შევიდა რუსეთის იმპერიის გერბში.

რუსეთის გერბში ჩართულ საქართველოს სამეფოს გერბს, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ერთიან კავკასიას გამოხატავდა, აკვირგვინებს ამ ერთობის გამოხატულება — საქართველოს (ივერიის) გვირგვინი.

მართალია, ამ გვირგვინის საბოლოო ვარიანტი პავლე პირველის ბრძანებით დამზადდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ტერემენ-ლიხტისეული ვარიანტი რეალობას არ ეფუძნებოდა. აქვე მოვიტანთ გვირგვინების არსებული გამოსახულებების უკვე კარგად ცნობილ რამდენიმე ნიმუშს:

აქედან პირველი XVI საუკუნისაა და იმერეთიდანაა, მეორე ამშვენებს 1709 წელს თბილისის სტამბაში დაბეჭდილ სამოციქულოს, მესამე უზის გეორგიევსკის ტრაქტატის ტექსტს და მეოთხეც — 1800-1801 წლებისაა. თუ დავაკვირდებით, გვირგვინის ფორმა ყველგან იდენტურია (სურ. 11).

დასასრულ, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის დიდ სახელმწიფო გერბში ჩართული საქართველოს (იმავე იბერიის/ივერიის) გერბი ოდნავ სახეცვლილი, მაგრამ, ჩვენი აზრით, მაინც ქართული სინამდვილიდან აღებული ფორმა უნდა იყოს.

ბიოგრაფიული



(სურ. 11)

„ისტორიანი“

საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის ნაცნობი და უცნობი ფაქტები, პიროვნებები, მოვლენები-ახალი კუთხით!



თოქოვუს ავტორი და წამყვანი ჯაბა სამუშია

ჩვენთვის გაზუდადებული თემები არ არსებობს!



უსვინათ!

FM 103.9

www.palitratv.ge


უყურეთ!



ყოველ საშუაგათს
16.00 სთ-ზე
განმეორებით კვირას
17.00 სთ-ზე

დასჯის ფორმები ძველ საქართველოში

ქართულმა წერილობითმა ძეგლებმა შემოგვინახეს ცნობები ქვეყანაში ადამიანის დასჯის სხვადასხვა ფორმის შესახებ. ძველ საქართველოში დასჯის ორგვარი ფორმა გამოიყენებოდა: ფიზიკური და გამაწბილებელი სასჯელი.



ამირანი

ვარსკენის მიერ შუშანიკის საპყრობილეში ჩასმის ცალკეული დეტალის აღწერისას ჩანს, რომ საპყრობილეში მოთავსებულს სჯიდნენ ქედზე ჯაჭვის დადებითა და ფეხებზე ბორკილის შებმით. შუშანიკს „ჯაჭვ იგი, რომელ ედვა ქედსა მისა ზედა, ვგრეთვე ედვა, დაკბეჭდა ურჩულომან ვარსკენ“ — გადმოგვცემს იაკობ ხუცესი. ჩორს წასულ პიტიახშს პერეთის საზღვარზე წამოეწევა მისი ძმა ჯოჯიკი „და ევედრებოდა მას ფრიად, რაითამცა ბრძანა საკრეულთა მათგან განტყევაბი მისი“. ჯოჯიკის დიდი ზეწენის შემდეგ ვარსკენმა „ბრძანა განტყევაბი საკრეულთაგან ოდენ. და ვითარ მოვიდა ჯოჯიკ, აღჰხადა ჯაჭვი იგი ქედსა მისსა, ხოლო ბორკილთაი არა თავს-იდვა წმიდამან შუშანიკ“. მოგვიანებით ამ ბორკილის გამო ეპისკოპოსნი და აზნაურნი ევედრებიან შუშანიკს, „რაითა ბორკილი იგი ფერხთაი ბრძანოს საცოდ და ნაკურთხეუად ყოველთათვის“. აქ ჩვენ გვაქვს ერთ-ერთი უძველესი დადასტურება წმინდანის კულტის გამოვლინებისა, როდესაც მის მიერ ნაქონი ნივთები ამ შემთხვევაში მისი წამების იარაღი, მიჩნეულია როგორც სასწაულმოქმედი, მცველი და მაკურთხებელი ყოველთა.

ქედზე ჯაჭვის დადება და ფეხებზე ბორკილის შებმა, როგორც დასჯის ერთ-ერთი ფორმა, ასევე გვხვდება „ეესტათი მცხეთელის მარტვილობაში“. საერთოდ ეს ნაწარმოები გამოირჩევა დასჯის სხვადასხვა ფორმის აღწერით, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ.

ნაწარმოებში აღნიშნულია, რომ ეესტათი და სხვა მისი თანამზრახველები, რომლებიც ქრისტიანობაზე მოიქცნენ, მიიყვანეს მსაჯულ-

თან, ხოლო მან „უბრძანა მსახურთა თვისთა პირსა ცემა ნეტართა მათ და გარე განყვანება ყოველთა და უბრძანა: და ჰყენეთ მაგათ თავი და წუერი და განუხურიტენით მაგათ ცხვირნი და ჯაჭვ დასდევით ქედსა მაგათსა და ბორკილნი შეუსხენით ფერხთა, და შესხენით ეგენი საპყრობილესა“.

ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა ადამიანთა ჯაჭვით დაბმა, როგორც მართლმსაჯულების აღსრულების ერთ-ერთი ფორმა და, მასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული ფაქტორები.

ჯაჭვით ადამიანთა დაბმის შესახებ ქართულმა ეთნოგრაფიულმა ყოფამ მრავალი ფაქტი შემოგვინახა. აღსანიშნავია, რომ ადამიანთა დასაბმელი ჯაჭვები სტრაბონის მიხედვით, ძვ.წ. I საუკუნისთვის ალბანელთა ყოფაშიც დასტურდება. ამ ფაქტის ანალიზის საფუძველზე ივანე ჯავახიშვილმა წარმოადგინა ალბანელთა წარმართული რელიგიისთვის დამახასიათებელი წესები. კერძოდ, ალბანელები თავყანს სცემდნენ მზეს და მთვარეს, რომლის მთავარი ტაძარი, თურმე, იბერიის მახლობლად მდებარეობდა. მეფის შემდეგ ყველაზე პატივსაცემად ითვლებოდა ის, ვინც ტაძარს ემსახურებოდა; იგი განაგებდა ხატის დიდსა და მჭიდროდ დასახლებულ მამულს და ითვლებოდა ხატის ყმების უფროსად. ხატის ყმებს შორის ბევრი ქადაგად დაეცემოდა, წინასწარმეტყველებდა. მათ შორის ბევრი — წი-



წმინდა გიორგის
წამება ურმის
თვალზე. სვანეთი,
ნაკიფარი,
ჯვრავის
ქელესია, 1130 წ.

ნასწარმეტყველებითა და ქადაგებით ზედმეტად გატაცებული, ტყეებში მარტოკა დახეტიალობდა. ქურუმები მათ იჭერდნენ, კისერზე ჯაჭვს დაჰკიდებდნენ და ერთი წლის განმავლობაში ზვარაკად ასუქებდნენ. ხოლო შემდეგ მათ — უკვე ამ გზით მირონცხებულებს, სხვა საღმრთო შესაწირავებთან ერთად ღმერთს შესწირავდნენ.

საერთოდ ჯაჭვს, როგორც მართლმსაჯულების იარაღს ან როგორც რიტუალურ ნივთს, ან კიდევ როგორც სულით ავადმყოფთა სამკურნალო მაგიურ საგანს შორეულ წარსულში მოეპოვება საფუძვლები. მისი სხვადასხვა ფუნქცია მითებსა და თქმულებებშიც აისახა.

მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილი მითში ამირანის შესახებ, სომხურ გადმოცემაში მეფე არტავაზდის შესახებ და სხვ. ეს გადმოცემები, როგორც ვიცით, გვაუწყებენ, რომ როგორც ამირანი, ისე არტავაზდი ღვთის წინაშე ურჩობისთვის ქედზე იყვნენ მიჯაჭვულნი.

სანამ უშუალოდ დასჯის სხვა ფორმებს შევხებოდეთ, „შუშანიკის წამებაში“ დაცულ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, საინტერესოდ მიგვაჩნია აღნიშნოთ შემდეგი: შუშანიკის ზნეობრივი შეხედულებებისა და მორალური მრწამსის დასახასიათებლად განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ქმრის ასეთ, შეიძლება ითქვას, მდაბიურ სასჯელს (ქედზე ჯაჭვის



ძელსა აღბმა

დადებას და ფეხებზე ბორკილის შებმას, ამასთან, რამდენიმეჯის ცეპასა და მიმორთევას), ის უპირისპირებს ზეციურ სამართალს და იმქვეყნად მოელის მასა და ქმარს შორის სამართლის მოპოვებას: „განვისაჯეთ მე და ვარსქენ პიტიანში მუნ, სადა — იგი არა არს თუაღლებია მსაჯულისა მის მსაჯულთაისი და მეუფისა მის მეუფეთაისა, სადა არა არს რჩევაი მამაკაცისა და დედაკაცისაი. სადა მე და მან სწორი სიტყუაი ვთქუათ წინაშე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“. აქ განსაკუთრებით საყურადღებოა შუშანიკის ამ სიტყვებში გატარებული იდეა მამაკაცისა და დედაკაცის თანაბრად განსჯის (ზეციური სამართლის) არსებობის შესახებ. მისი სიტყვები, გადმოცემული ნაწარმოების ავტორის, იაკობ ხუცესის მიერ „სადა არა არს რჩევაი მამაკაცისა და დედაკაცისაი“, ეხმაურება პავლე მოციქულის სიტყვებს ეპისტოლეში გალატელთა მიმართ: „არა არს ჰურიება, არცა წარმართება, არა არს მონება, არცა აზნაურება. არა არს რჩევა მამაკაცისა და დედაკაცისა, რამეთუ თქუენ

ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესუსი მიერ“. ამრიგად, იდეა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის შესახებ, რომლის დასაბამს საღმრთო წერილში ვპოულობთ და რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის უმაღლესი აყვავების პერიოდში (XII-XIII სს.) წამყვან საზოგადოებრივ შეხედულებას წარმოადგენდა, დასრულებული გამოხატვა „ვეფხისტყაოსანში“ მიიღო, („ლეკვი ლომისა სწორია, ძე იყოს, თუნდა — ზედაი“), ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში ჯერ კიდევ „შუშანიკის წამებაში“ ასახული და შუშანიკის ზემოთ მოყვანილ სიტყვებშიც ჩანს, ოღონდ ამ იდეის განხორციელების შესაძლებლობა გადატანილია იმ ქვეყნად.

„ვესტათი მცხეთელის მარტვილობის“ ზემოთ მოყვანილი ამონაწერიდან, აგრეთვე ამ ნაწარმოების სხვა ადგილებიდან ჩანს, რომ იმ დროს საქართველოში სპარსელთა მიერ, ქედზე ჯაჭვის დადებისა და ბორკილების შებმის გარდა შემოდებული იყო დასჯის სხვა ფორმებიც: თავისა და წვერის დაყუენა (ანუ მოპარსვა), ცხვირის გახვერტა, პირის ცემა. არუნდ გუშნასპმა, ქართლის მარზპანმა, — გადმოგვცემს მარტვილობის ავტორი, — „უბრძანა მსახურთა თვისთა პირისა ცემაი ნეტართა მათ“ — ქრისტიანობაზე მოქცეული სპარსელებისაო.

დამნაშავეის დაპატიმრებას, მის დაჭერასა და ამ მდგომარეობაში ყოფნას, როგორც „ვესტათი მცხეთელის მარტვილობიდან“ ჩანს, „პყრობილებაი“ ქწოდებოდა: „ამისა კაცისა პატიჟი მე არარაი ხელ-მწიფების, არცა აღბმაი ძელსა, არცა პყრობილებაი“, — ამბობს მცხეთის ციხისთავი უსტამი და ვესტათისა და სხვა ქრისტიანობაზე მოქცეულ სპარსელებს თბილისს გაგზავნის.

„კოსტანტი კახის“ მარტვილობიდან კი ჩანს, რომ დამნაშავეს, პატიმარს „საპყრობილეში“ მოათავსებენ. ჯაფარის, თბილისის ამირის, ბრძანებით კოსტანტი ჩასუეს „საპყრობილესა ფიცხელსა“, სადაც მას მიუჩინეს ორი სომეხი ერისთავი, რომლებსაც რჯული (ქრისტიანობა) უარუყვიათ, ემსახურებოდნენ ჯაფარს და ცდილობდნენ კოსტანტის გადაბირებასაც.

საინტერესოა, რომ გარდა ჯაჭვის ქედზე დადებისა, შეპყრობილის რკინის საკრველით შეკვრაც სცოდნიათ. კოსტანტი კახის შესახებ მის მარტვილობაში აღნიშნულია, რომ იგი, „შეკრეს ფიცხელითა საკრველითა რკინისაითა და წარსცეს იგი ქუეყნად ბაბილოვნისა, ქალაქსა, რომელსა ჰრქვან სამარაი“.

„ეკსტატი მცხეთელის მარტვილობიდან“ ისიც ჩანს, რომ დასჯის ერთ-ერთი ფორმა ყოფილა „ძელსა აღბმა“.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი დასჯის ფორმები ფიზიკურ სასჯელს განეკუთვნება. მაგრამ ამასთან ერთად, როგორც იგივე წერილობითი წყაროები მოწმობენ, არსებობდა გამაწბილებელი სასჯელიც — ვირზე შესმა და შეიძლება მასვე მიეკუთვნოთ ზემოთ დასახელებული თავისა და წვერის მოპარსვა.

„შუშანიკის წამებიდან“ ჩანს, რომ ქმრის მიერ ცოლის დასჯის ერთ-ერთი ფორმაა მისი გასახლება. მკვლევართა ერთი ნაწილის შეხედულებით — მისი მშობლების სახლში უკან დაბრუნება. ვარსკენი შუშანიკს ემუქრებოდა თუ „ტაძრად“ (ე.ი. სამთავრო სახლში) არ მოხვალ, „ჩორდ წარგცე შენ ანუ კარად კარაულითა“. გამოდის, რომ ვარსკენი შუშანიკს კარაულით, ე.ი. სახედარზე შესმით გაგზავნას ემუქრებოდა. ნაწარმოების ამ ეპიზოდში მინიშნებულია, შეიძლება ითქვას, დადასტურებულია ჩვენი წარსული ეთნოგრაფიული სინამდვილისთვის ცნობილი ფაქტი — ქმრისგან უარყოფილი ცოლის მშობლების სახლში დაბრუნება სახედარზე შესმით.

ცნობილია, რომ სახედარზე, ანუ ვირზე შესმა ძველ საქართველოში მიღებული იყო, როგორც დასჯის, გამაწბილებელი სასჯელის ერთ-ერთი სახე. ის ცნობილი იყო ბიზანტიელთა ყოფისთვის და ქართული სინამდვილისთვისაც. ასე მაგალითად, ვახტანგ VI-ის სამართლის კრებულში „სამართალი ბერძნულის“ მიხედვით ვირზე შესმა არის დასჯის ერთ-ერთი სახე სხვადასხვა დანაშაულისთვის: მოსამართლის მიერ უსჯულის კანონი სამართლის ქმნისათვის (მუხ. 2), მსაჯულის გინებისათვის (მუხ. 56), წამლის მიცემით დედაკაცის მუცელში შვილის მოკვლისათვის (მუხ. 77) და სხვ. ვირზე შესმას გამაწბილებელ სასჯელად მიიჩნევს აკადემიკოსი ისიდორე დოლიძე. ვირზე უკუღმა შესმა და ასეთი სახით სოფელ-სოფელ ჩამოტარებამ, როგორც ქმრის მოღალატე ცოლის დასჯის, მისი გაწბილების ფორმამ ასახვა პოვა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში.

„პერანგა ქალი უკუღმა შეესვათ ვირზე...

ახლაც მაგონდება იმ ქალის კუნთების თრთოლა, ეტყობოდა, სციოდა, სცხელოდა და იგმირებოდა, აღბათ, ენატრებოდა სიკვდილი, მაგრამ სიკვდილი არსად ჩანდა და მისი ტანჯვა კი ძნელი იყო, ვითარცა სიკვდილი!

იმწამს იგი ათჯერ მოკვდა, ისევ ათჯერ ძალით აცოცხლებდნენ!..

თრთოდნენ ქალის ანგელოზი მხრები და ბრბო კი ტალახსა და საქონლის ფუნას ესროდა თუთრ პერანგზე, რომელსაც თანდათან ფერი ეკარგებოდა — ვკითხულობთ გიორგი ლენინის მოთხრობების კრებულში „ნატურის ხე“.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ სახის სასჯელს ასევე სხვაგანაც ვხვდებით ქართულ წერილობით წყაროებში. კერძოდ XI საუკუნის საისტორიო თხზულებაში „მატიანე ქართლისაში“ აღნიშნულია, რომ ისაკ ტოლობელის ძემ, მესხმა აზნაურმა, „დაიჭირა ხელითა და გასუა ჯორსა ფადლონ — თბლისის ამირა, ამის წინ კი მოთხრობილია, რომ მან გაძარცვა ერთი ფადლონისა და გარდაყარა ისინი ცხენებიდან.

ამრიგად, როგორც ძველი ქართული წერილობითი ძეგლებიდან ჩანს, ძველ საქართველოში გავრცელებული ყოფილა დასჯის შემდეგი ფორმები: 1. ქედზე ჯაჭვის დადება. 2. ფეხებზე ბორკილის შემა. 3. თავისა და წვერის გაპარსვა. 4. ცხვირის გახვერტა. 5. ძელსა აღბმა. 6. პირის ცემა. 7. პერობილება. 8. შეკვრა საკრეველითა რკინისათა. 9. სახედარზე დასმა. 10. გასახლება.

სიკვდილით დასჯის, თავის მოკვეთის, დასახიჩრების შესახებ არაფერს აღვნიშნავთ, თუმცა კი მარტვილობათა წიგნები დასჯის ამგვარ ფაქტებსაც გვაწვდიან.

სოსო ძანტურიშვილი



კადრი
ფილმიდან
„ნატურის ხე“

სამთავისის ტაძარი მხანარეული საფარისგან გაიწმინდა

მეცნიერებმა პროფესიონალი მთამსვლელების დახმარებით სამთავისის ტაძარი მცენარეული საფარისგან გაათავისუფლეს. მთამსვლელები ძველს საგანგებო რეჟიმში, ერთი თვის განმავლობაში თოკებითა და სპეციალური აღჭურვის საშუალებით ასუფთავებდნენ. შედეგად მოყვითალო და მონაცრისფრო-მომწვანო კვადრებით მოპირკეთებულ ტაძარს ბუნებრივი ფერი დაუბრუნდა. სრულად გაიწმინდა ტაძრის გუმბათი და ყელი.

სამთავისის კომპლექსში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჯერ კიდევ 2006 წელს დაიწყო. საგულისხმოა, რომ არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად, სწორედ ხუთი წლის წინ გამოვლინდა სამთავისის ჯვარგუმბათოვანი ტაძრის სამხრეთით მდებარე, ზომით მასზე მასშტაბური — VII-VIII საუკუნეებით დათარიღებული უძველესი სამნავიანი ბაზილიკა.

ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი და არაერთხელ შესწავლილი ტაძარი მეცნიერთა მიერ ამ ეტაპზე ჯერ კიდევ კვლევის საგანია. მთავარი ტაძრის შესწავლა



ძველის რეაბილიტაციის შემდეგაც გაგრძელდება. რესტავრატორები და მთამსვლელები ამჯერად 37 მეტრ სიმაღლეზე ტაძრის გადახურვას ტრადიციული კრამიტით ახორციელებენ. სამუშაოს საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი აფინანსებს.

ნინო ჯაფარიძე



კახი კავსაძე:

ბმირობა არც უნდა
მოითხოვო და
ბმირებს არც უნდა
ელოდო...

კახი კავსაძე ძალიან გვიყვარს ქართველებს. შესრულებული როლებისა და პროფესიონალიზმისთვის — თავისთავად. მაგრამ არის კიდევ ორი მნიშვნელოვანი რამ, რაც მას, როგორც პიროვნებას, ერთიანად საინტერესოს ხდის. ჯერ ერთი, ის დათაშკა კავსაძის შვილია და მერე — ბელა მირიანაშვილის მეუღლე. კახი კავსაძემ ღირსეულად ატარა მამამისის შვილის სახელი. არაფერი შეშლია ამ თვალსაზრისით... არც ბელას სიყვარულში შეშლია რამე.

თვითონ იმასაც ვერ წარმოიდგენს, რომ ადამიანი შეიძლება სხვანაირი იყოს — სხვაზე არ იზრუნოს, ღირსებას უღალატოს, სიყვარული შებღალღოს. ეს ზომ საგნებით ბუნებრივია: ცოცხლობდე, გიყვარდეს, იყო ერთგული, უღალატო შვილი და მეგობარი, მეუღლე და მამა. ამიტომაც ცოტა უკვირს კიდევ, გამორჩეულად რომ ახსენებენ კახისა და ბელას სიყვარულს:

— მეუბნებიან, თქვენი სიყვარული... როგორ გეკადრებათ, ჩვენ არტისტები ვართ და ჩვენი სიყვარული ჩანდა, თორემ საქართველო სიბუღევილმა კი არ შემოინახა... სიბუღევილი ანგრევს ქვეყანას. ოჯახები, ტრადიციები — ეს არის სიყვარული, რომელზეც დგას საქართველო... არტისტი თუ ცუდს ჩაიდენს, ისიც მაგრად ჩანს.

და სწორედ იმიტომ, რომ ყველაფერი „მაგრად ჩანს“, კახი კავსაძესთან ხალხმა იპოვა „გაიმეფიათხილებული“ ფასეულობები. სწორედ ამიტომ არ სწყინდებათ მისი ცხოვრების ამბის კიდევ და კიდევ მოსმენა:

— ჩემი ბავშვობაა: მე, ჩემი ძმა და დედა,





სხედან: კახი კახსაძე, მედეა ჩახავა, ვურამ საღარაძე, ზინაიდა კვერენჩხილაძე.
დგანან: ჯემალ ლაღანიძე (მარცხნიდან მეორე), მარინა კახიანი, მარინა ჯანაშია

მამა კი სადღაც გვერდითაა — ხან ჯარში, ხან დაჭერილი. მთელი ბავშვობა ვფიქრობდი, მამა ყველაზე ლამაზი, ყველაზე ძლიერი, ყველაზე ნიჭიერი და საიმედო-მეთქი. ღონიერი ვიყავი, მაგრამ სულიერი დასაყრდენი უფრო მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, ასეთი კი დედა გახლდათ, მერე ბელა...

სკოლაში რომ შევედი, ზუსტად მაშინ გაიყვნენ ქალები და ვაჟები. დაფამთავრე და — შეერთდნენ. რახან ვაჟთა სკოლა მქონდა დამთავრებული, ძალიან მერიდებოდა გოგონების. კარგად ვსწავლობდი. წამოვიზარდე და... ქუჩა, მეგობრები, გოგონები... ზომ იცით, ამ დროს ათასი საცდურია... ცოტა აუშუშვი.

სპორტი მიყვარდა. ჯერ დაერბოდი, მერე ცურვაზე დავიწყე სიარული, წყალბურთსაც ვთამაშობდი, ჩოგბურთსაც, კალათბურთსაც... მუსიკასაც ვსწავლობდი...

როცა მამა ომიდან დაბრუნდა, შინამდე ვერ მოაღწია, გზაში დაიჭირეს. პირველად კაგე-ბეში შევხვდით ერთმანეთს. 10 წლის ვიყავი. ოთხ წელიწადს არ მენახა და ბუნდოვნად მახსოვდა. დავიმორცხვე. მუხლებზე დაგვისვა. მე მარცხენა მუხლზე, ჩემი ძმა — მარჯვენაზე. მამამ გკითხა: — მუსიკას სწავლობთო? დავდივართ-მეთქი... მამა მუსიკოსი იყო და პირველ რიგში უნდოდა, მუსიკაზე გვეკვლო. მამა გვერდით რომ მყოლოდა, აუცილებლად მუსიკოსი გავხდებოდი.

მე ფორტეპიანოზე ვუკრავდი, ჩემი ძმა, იმერი — ვიოლინოზე... მუსიკასაც ვწერდი.

თეატრალურ ინსტიტუტში გიზო ჟორდანიამ სტუდენტური სექტაკლი დადგა, მუსიკა კი მე დავწერე.

ახლა ჩემთვის ვუკრავ და ვწუხვარ, ამის დროც რომ არ მრჩება.

მიჭირდა მუსიკაზე სიარული, მაგრამ მამის სიტყვას მაინც არ გადავედი და ათწლედი დაფამთავრე. სტიპენდიას დედას ვაძლევდი... ძალიან ხელმოკლედ ვცხოვრობდით. მახსოვს, სკოლაში ფორმები უნდა შეგვეკერა, ჩვენ კი ვერ შევიკერეთ... მერე მამაჩემის ლურჯი ჩოხისგან დიდი გაჭირვებით გამოგვიჭრეს ორი ფორმა.

სკოლა რომ დაფამთავრეთ, დედამ გვითხრა: ახლა სადაც გინდათ, იქ ისწავლეთო. მე არტისტობა ვარჩიე. იმერი მომდღერალი გამოვიდა. დედა ექიმი იყო, მაგრამ სულ განიცდიდა, — მხატვარი მინდოდა ვყოფილიყავი და მშობლებმა ნება არ დამრთესო. მართლა შესანიშნავად ხატავდა.

ინსტიტუტში კოტე მახარაძე და მალიკო მრეველიშვილი მასწავლიდნენ. სულ მეჩხუბებოდნენ, — პირი გახსენი და ნორმალურად იმეტყველეო. დაკომპლექსებული ვიყავი. სტუდენტობა საუკეთესო ხანაა. იმედიანია...

დილიდან დაღამებამდე თეატრალურში ვიჯექი. ეტიუდებს ვთამაშობდით, სცენებს ვდგამდით. ბელა ჩემზე სამი წლით გვიან მოვიდა თეატრალურში. მაგარი გოგო იყო. როგორ იცოდა ყველაფერი, ადამიანს როგორ გრძნობდა... ხან დაფთვებოდი, ვერ ვიქცეოდი კარგად. გაფთვებოდა და ვფიქრობდი, ახ-

ლა გუშინდელზე რამე რომ მითხრას, გაგვიფიქრებოდა. არა, კაცო, არ მეუბნებოდა. და მერე, როცა დრო გავიდოდა და მხიარულს მნახავდა, მაშინ მეტყვოდა, — რას ჰგავდი, არ შეგრცხვო? არასოდეს დაუწუწუნია. იცოდა, რისი შესაძლებლობაც მქონდა და არაფერს ითხოვდა.

გასტროლებზე სიარული დავიწყეთ უცხოეთში და... რა გგონიათ, რა ჩამომქონდა? სულ ჭინჭები! ნიფხავ-პერანგი, მაისური და ნასკი! საგანგებოდ არ ვამბობ წინდას... ვბრაზობ და იმიტომ! ჩემი ხუთი თვის ჯამაგირი ღირდა ჯინსი. 50 მანეთი მქონდა ჯამაგირი... ვინ გადაიხდიდა ამდენ ფულს, როგორ შეიძლებოდა! უცხოეთში რომ დავიწყეთ სიარული, მერე ვიყიდე ჯინსი.

ბელასთვის მთავარი ბავშვების კარგად ყოფნა იყო... ნანუკაზე განსაკუთრებით ვფიქრობდი, ერთხელ ირაკლი აღრიაღდა, — შენ მარტო მე მეჩხუბები, ნანუკა უფრო გიყვარსო... ნანუკა კავსაძე რომ არ იყო, მაშინდა გაიგო ირაკლიმ, როცა მისი და თეატრალურში ჩაირიცხა. ჯერ სიეში ეძებდა... ვერ იპოვა... მაშინ უთხრა ნანუკამ, მე დამატებით სიამში ვარო. მერე რვეულებზე ნახა გვარი — ხუსკივაძე. ვინ არის ეს გიჟი, სულ შენთან რომ ტოვებს რვეულებსო, — ჰკითხა დას. მე-



„სულ გადაღებები მქონდა... ისე, ჩემი ფილმების ყურება არ მიყვარს. სულ იმას ვფიქრობ, აქ როგორ ჯობდა თამაში, იქ როგორ ჯობდა-მეთქი...“

რე ინსტიტუტში მისულიყო. ნანა კავსაძეს ეძებდა... უთხრეს, კავსაძე კი არა, ხუსკივაძეაო... ბელა მიყვებოდა, მოვიდა და მკითხა, — რა, ნანუკა ჩემი და არ არისო?! ბელამ ისე კარგად იცოდა თქმა და ახსნა, რომ ირაკლიმ ყველაფერი გაიგო.

სულ გადაღებები მქონდა... ამას წინათ „აურ-

მწარედ მახსოვს „ღონ კიხოტის“ გადაღებები. თავიდან თუ ვითამაშებდი „ღონ კიხოტში“? კი, ოღონდ ხელში მილიონ დოლარს თუ მომცემთ. ფულია ის, რაც ამ ფილმის გადაღებისას სიცოცხლეს შემინარჩუნებს. თუ ისევ იმ პირობებში მომიწია თამაში, გადაღების დაწყებისთანავე მოვკვდები.





კახი კავსაძის დამსახურებული ვარსკვლავი

შვილიშვილებთან ერთად



ზაური სახინკლეთშია“ თუ „სალხინეთში“, იმას აჩვენებდნენ. რაღაც მოძრაობას ვაკეთებ და ისე გულიანად ვურტყამ ფეხებს, რომ სიამოვნებით ვუყურე. ისე, ჩემი ფილმების ყურება არ მიყვარს. სულ იმას ვფიქრობ, აქ როგორ ჯობდა თამაში, იქ როგორ ჯობდა-მეთქი...

მწარედ მახსოვს „დონ კიხოტის“ გადაღებები. თავიდან თუ ვითამაშებდი „დონ კიხოტში“? კი, ოღონდ ხელში მილიონ დოლარს თუ მომცემთ. ფულია ის, რაც ამ ფილმის გადაღებისას სიცოცხლეს შემინარჩუნებს. თუ ისევ იმ პირობებში მომიწია თამაშმა, გადაღების დაწყებისთანავე მოვკვდები. გადაღებებზე ახალციხეში ჩემი მანქანით მივდიოდი. ცხრაჯერ კინადამ ხევში გადავვარდი.

არტისტობას ვინ ჩივის, მთელი ცხოვრება წაიღო პაჭაპუჭა საქმეებმა, ლურსმანსა და პურზე სიარულმა...

დაქანცული ვარ. ნანუკა მეტყვის ხოლმე, — წადი, წამოწევიო... რომ დამეძინოს-მეთქი?! დაისვენე, უნდა დამეძინოსო. არა, საქმე მაქვს, არ უნდა დამეძინოს-მეთქი!

და რა საქმე — პაჭაპუჭა...

ნანუკამაც და ირაკლიმაც მთელი ბავშვობა კულისებში გაატარეს და მაინც მსახიობობა მოინდომეს.

მე მინდოდა, ნანას „საკომკავშირულოზზე“ ესწავლა და მერე ცეკაში ემუშავა. ვზუბრობ? სულაც არა... მართლა მინდოდა. რომელ შობელს არ უნდა, შვილი უზრუნველყოფილი ჰყავდეს. არა, არტისტობა მინდაო. ვუთხარი, რომ ტაშის დაკვრამდე და მერეც ბევრი უბედურება ხვდება მსახიობს. რადგან ეს არის პროფესია, სადაც სულ გულსა და სულში გიმინებენ და გჭრიან-მეთქი. არ დამიჯერა.

მინდოდა, ირაკლი ფეხბურთელი გამხდარიყო — კარგად თამაშობდა. მერე დაიქცა ქვეყანა... მოხდა ისე, რომ ნანა მჭედლიძემ კინოში გადაიღო ზურიკო ბერიკაშვილი და ირაკლი... კარგად გამოუვიდათ. და ამანაც მსახიობობა მოინდომა! ვკითხე, თანახმა ხარ, ყველაფერს გაუძლო-მეთქი?... კი, ბატონოო... სტუდენტობა გადასარეგად გაატარა და მერე დაიწყო მურტალი პროზა! შუბლით დაეჯახა სინამდვილეს...

ჰოდა, მერე გული ატკინეს. დატოვა ყველაფერი და წავიდა ამერიკაში.. დაიწყო ამერიკაში მუშაობა და რა... იქაც „კაპეიკებს“ ამლევენ. რა ვქნა? იყვნენ, სადაც უნდაო, ოღონდ კარგად იყვნენ... ჩემთვის კი არა, თავისთვის. ირაკლი რომ მიდიოდა, ჩამოვუწერე, როგორ

უნდა ეცხოვრა. ისე, რა ჩემი ჩამოწერა უნდა, გადასარეუად არის ჩამოწერილი ათი მცნება...

ერთი რამ ვთხოვე კიდევ: არ მიყვარს, როცა ვინმეს ან რამეს ენდობიან, ის უმტყუნებს და — არ მეგონაო, იტყვიან. თუ ვინმე საიმედო იქნება, ის გაგიხარდეს და გაგიკვირდეს. რომ მიყვარდნობი კედელს და არ დაინგრევა, ესაა საოცრება. ხომ ხედავთ, ყველაფერი ინგრევა!

ნდობაც უნდა შეგეძლოს, მაგრამ ჭკუით. გმირობა არც უნდა მოითხოვო და გმირებს არც უნდა ელოდო. ამას ვეუბნები შვილებს: „არ მეგონა“ არ გამაგონოთ-მეთქი!

ირაკლის წასვლიდან ერთი წელი რომ გავიდა, — ძალიან გამიჭირდა. შვილიშვილებიც ძალიან მო-მე-ნატრა... მერე ისე აეწყო, წელიწადში სამჯერ მივდი-მოვდიოდი ამერიკაში. ერთი წელიწადია, არ ვყოფილვარ. გულის ოპერაციის მერე შევამუხრუჭე...

45 წლისას გარდამეცვალა დედა და მაშინ ვიგრძენი, რომ დავობლდი...


ჩემი ცოლი იყო ჩემი სულიერი დასაყრდენი, ისიც რომ წავიდა, დავრჩი მარტო... ვანანა-ლიზებ ჩემთვის: შვილებისთვის ახლა მე ვარ დასაყრდენი. ვიცოდი, რომ დედაჩემი წავიდოდა, ამას შეგუებული ვიყავი, ახლა ისინიც ეგუებიან, რომ მე წავალ...

P.S. დათაშკა კავსაძე, რომელიც მთელი საქართველოსთვის საამაყო და ღირსეული შვილია, შვილიშვილებს მხოლოდ ფოტოებით ჰყავთ ნანახი;

ირაკლი კავსაძე: დათაშკა რეპრესირებული იყო. ბევრი ვერც ბედავდა ბებიასთან მოსვლას. ძალიან რთულად მოიპოვებოდა მასალა მის შემოქმედებაზე, თუმცა ბებიას გადანახული ჰქონდა შავი დისკები, მახსოვს კიდევ, რომ ჩაერთე და მისი ხმა გავიგონე... ამის სიტყვით გადმოცემა ძალიან გამიჭირდება.

ბავშვებიდან ნელ-ნელა ვიგებდი რაღაცებს. მესმოდა, ბაბუა გადასახლებული იყო, მაგრამ რატომ, რა დააშავა — ამას ვერ ვხვდებოდი. ბებიას მისი სურათებიც ჰქონდა.

მერე ერთი გენიალური რამ მოხდა. ჩემს საცოლესთან მივედი, მან მკითხა, დათაშკა შენი ვინ იყო. ბაბუა-მეთქი. ვიღაც გერმანელი ქალია ჩამოსული, ეძებს დათაშკას ან მის საფლავსო. საფლავი აღარ არსებობს. სამაგიეროდ უთხრეს, რომ შვილები ჰყავს დათაშკას. მოინდომა მათი გაცნობა. ეს ქალი აღმოჩნდა ბაბუას მეგობარი, ვინც უყვარდა გერმანიაში... ელზა... კახი კარგად აღწერს ამ ამბავს.. გაუარდნენ კახი და იმერი — ბიძა-



„ჩემი ცოლი იყო ჩემი სულიერი დასაყრდენი, ისიც რომ წავიდა, დავრჩი მარტო...“

ჩემი... შევედი და დავინახე: დედაჩემის გერმანული ვარიანტი იყო, — ყვებოდა კახი. როგორც ბავშვები, ისე ჰყავდა ჩახუტებული დათაშკას შვილები. ეს სურათი არ დამავიწყდება. ელზა შუაში იყო და აქეთ-იქით ესენი, როგორც პატარებს, ისე ეფერებოდა. კეთილი და დიდი ადამიანი იყო დათაშკა, ამხელა სიყვარული დატოვა ადამიანებში.

თურმე ეს ქალი ეუბნებოდა, ეხვეწებოდა, არწმუნებდა, საქართველოში არ წახვიდო, არა, უნდა წავიდო! რაც მოხდა, ყველამ იცის. ფრაუ ელზა კი ხშირად ჩამოდებოდა, რომ კახი და იმერი ენახა.

...

სამაგიეროდ, დათაშკა კავსაძის ჩადებულ ქვაკუთხედზე მისი შთამომავლობის ცხოვრება აიგო და ნამდვილად ღირსეულად აიგო.

ლელა ჯიყაშვილი

„საკუთარი წარსული მსოფლიო კონტაქტში უნდა იცოდე“

„ისტორიანს“ გავეცანი. მიმაჩნია, რომ როგორც შინაარსით, ასევე გაფორმებით საინტერესოა. თქვენს რუბრიკასაც გავეცანი. რაღა დაგიმალოთ და ვღელავ, არ ვიცი, დღეს რამდენად ერუდიტული ადამიანის შთაბეჭდილებას დაგტოვებ, — ამ სიტყვებით დაიწყო ჩემი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, ალექსანდრე კვიციანიძის დიალოგი.

...უფვარს კითხვა, ამით ყოველთვის სიამოვნებას იღებდა. პროფესია სკოლის დამთავრებამდე აირჩია. მიუხედავად იმისა, რომ მისი მშობლები ექიმები არიან, იცოდა, რომ სამედიცინო არ ჩააბარებდა.



ალექსანდრე კვიციანიძე:

ისტორია მხოლოდ

წიბნების კითხვა არ არის

— ბატონო ალექსანდრე, ცნობილი ისტორიკოსის, აკადემიკოს შოთა მესხიას შვილიშვილი ბრძანდებით. თქვენს მომავალ პროფესიაზე ამ ფაქტმა გავლენა რამდენად იქონია?

— ალბათ იქონია. სახლში უამრავი ისტორიული ლიტერატურა გვექონდა. ისტორია ხომ მხოლოდ წიგნების კითხვა არ არის. მნიშვნელოვანია ხელნაწერებზე მუშაობა, არქეოლოგიური გათხრები, საარქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვა... ამ მეცნიერებას არაერთი განშტოება აქვს. ისტორიული ნაწარმოებები ყოველთვის მიზიდავდა. ჩემი აზრით, საკუთარი ქვეყნის ისტორია მსოფლიო ისტორიის კონტექსტში უნდა იცოდეს. ამ პლანეტაზე მხოლოდ ჩვენ არ

ვცხოვრობთ. ის მოვლენები, რომლებიც გარშემო ხდება, ჩვენზეც აისახება და არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ისტორია ხშირად მეორდება. თუ გინდა, შენი ქვეყნის მომავალი სწორად განავითარო, სწორედ ისტორია უნდა იცოდეს კარგად.

— „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო“. ვინ წარმოთქვა ეს სიტყვები 1918 წლის 26 მაისს?

— ნოე ჟორდანიამ.
— როგორც ვიცი, თქვენი მეუღლე ნოე ჟორდანიას შვილიშვილია.

— მართალია, მაგრამ ეს მანამდე ვიცოდი, სანამ დავქორწინდებოდი (*იცინის*).

— მისი მშენებლობა იმპერატორმა ცინ შიპუანდომ ჰუნებისგან (ცენტრალური აზიის ცხენოსანი მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე ტომების გაერთიანება) თავის დასაცავად დაიწყო. რის მშენებლობაზეა ლაპარაკი?

— ჩინეთის კედელზე. მიმაჩნია, რომ ამ კედლის აშენებით შეცდომა დაუშვეს, რადგან მან დაცვითი ფუნქცია ვერ შეასრულა. ყველა დამპყრობელი ამ კედელს გვერდს მარტივად უვლიდა. ისევე როგორც ფრანგების მაჟინოს კედელს აუარეს გვერდი გერმანელებმა. არც ის არ არის სწორი, რომ ამბობენ, კოსმოსიდან ჩანსო, მითია.

— 1776 წლის 4 ივლისს დიდი ბრიტანეთის მეფემ გეორგ III-მ თავის დღიურში ჩაწერა: „დღეს მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა“. არადა, მოხდა...

— რა კარგ კითხვებს მისვამთ, ჯერჯერობით პასუხის გაცემა არ გამჭირვებია. ამ დღეს აშშ-ის დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

— ის წარმოშობით გათურქებული მონღოლი იყო. თავდაპირველად დუმნის უფროსი გახლდათ. შემდეგ აჯანყდა, ვერ გაიმარჯვა და ყაჩაღად გაიჭრა. ერთ-ერთი შეტაკების დროს დაიჭრა და ფიზიკურად დამახინჯდა. საქართველოში არაერთგზის ილაშქრა. დაასახელებთ, რომელ დამპყრობელზეა ლაპარაკი?

— თემურ-ლენგზე. ცნობილია, რომ იგი კოჭლი იყო.

— თუ გახსოვთ, რომელ წლებში და რამდენჯერ ილაშქრა მან ჩვენს ქვეყანაში?

— რვაჯერ ილაშქრა. წლები ზუსტად არ მახსოვს (*ფიქრობს*), დაახლოებით 1380-იანი წლების შემდეგ, არა?

— 1386-1403 წლებში ილაშქრა და მისი მიზანი ჩინგიზ ყაენის იმპერიის აღდგენა იყო... საქართველოს ისტორიაში ბევრი მეფე მეტსახელით შევიდა. ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII უზომო ჭამა-სმით იყო ცნობილი. რა მეტსახელით შემორჩა ის ისტორიას?

— ზაქიჭამია.

— „ვინაიდან ნათესავნი ქართველთანი ესეოდენ კეთილ არიან და არა განცრუვდებიან, რომელ აფხაზეთით მოვიდა კაცი, რათა დაღვას სული თვისი მოყვარეთათვის“... რომელმა ქართველმა გმირმა დაიმსახურა მონღოლთა ნოინის ამგვარი შეფასება?

— ცოტნე დადიანმა.



— „ცოტნე გმირია, / დიდებული გმირი, ოღონდაც / თუ ვაჟკაცნი ვართ, / ნუ ვადიდებთ მარტოდენ ცოტნეს, / ვახსენოთ სახედარე-ჯილი ლომი მონღოლიც, / გმირობისა და ვაჟკაცობის უბადლოდ მცოდნე“. ვინ არის ამ ლექსის ავტორი?

— პოეზია ჩემი სუსტი წერტილია. ვერ გიპასუხებთ.

— შოთა ნიშინანიძე. ვინ გაიმარჯვა 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომში?

— იაპონიამ.

— „რუსეთის გენერლებს შორის ყველაზე მეტად ერთი მაფიქრებს, — ესაა ბაგრატიონი“. დასახელები იმპერატორი, რომელიც ამ სიტყვების ავტორია.

— (ფიქრობს)

— მიგანიშნებთ, მან იმპერიის ტახტზე 10 წელი დაყო. ავტორია ცნობილი გამონათქვამისა; „ბრძოლის ველზე მალე ბერდებიან, მე კი იქიდან მოვდივარ“.

— ნაპოლეონ ბონაპარტი.

— იგი 1886 წელს გადააყენეს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის თანამდებობიდან, ხოლო 1887 წელს სტავროპოლში მოკლეს. ამბობენ, მისი მკვლელობის ორგანიზატორი რუსეთის იმპერიამ ბრილიანტის ჯვრით დააჯილდოვაო. ვინ იყო ცარიზმისთვის ასე საშიში ქართველი მოღვაწე?

— ეს ამბავი ძალიან მეცნობა, გავიხსენებ.

— მიგანიშნებთ, რომ ის საქართველოს ეკლესიამ 2007 წელს წმინდანად შერაცხა. პოეზია არ გიყვართ, მაგრამ გეტყვით, რომ აკაკი წერეთელმა ცნობილი ლექსი „განთიადი“ სწორედ მას მიუძღვნა.

— დიმიტრი ყიფიანი.

— რას უწოდებდნენ საცირკო და საესტრადო წარმოდგენებისთვის განკუთვნილ დროებით ნაგებობას XVIII-XIX საუკუნეების რუსეთში?

— შაპიტოს.

— ცდებით. ბალაგანს უწოდებდნენ. ვის უკავშირდება ქართული მარიონეტული თეატრის დაარსება?

— რეჟისორსა და სცენარისტს, რეზო გაბრიაძეს.

— ეს ინგლისელი მწერალი ქალი პირველი მსოფლიო ომის დროს მოწველების დად მუშაობდა. მას დეტექტიური ჟანრის 60-მდე ნაწარმოები აქვს შექმნილი. დასახელები იგი.

— აგატა კრისტო.

— ამ ტბის ერთი ნაწილი საქართველოს

ტერიტორიაზეა, ნაწილი — მის ფარგლებს გარეთ. რომელ ტბაზეა ლაპარაკი?

— არ ვიცი.

— ჯანდარის ტბა.

— ვაა! ამ კითხვაზე როგორ ვერ გიპასუხეთ.

— რა ჰქვია კარდინალთა კრებას, რომელიც რომის პაპის გარდაცვალების შემდეგ ახალ პაპს ირჩევს?

— კონკლავი.

— როდის გაიხსნა საქართველოში პირველი რკინიგზა?

— 1870-იან წლებში.

— 1871 წლის 14 აგვისტოს. დასახელები მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი პარტია.

— ჩინეთის კომუნისტური პარტია იქნება. ასეა?

— დიახ. თქვენ თუ ყოფილხართ რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი?

— არასდროს არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ.

— საქართველოს რომელ კუთხეშია ბარაკონის ეკლესია?

— რაჭაში.

— ევროს გამოშვებას ლამის სკანდალი მოჰყვა. რა შეცდომა იყო დაშვებული კუბიურების თავდაპირველ ვარიანტზე გამოსახულ ევროპის რუკაზე?

— გერმანია შუაზე იყო გაყოფილი.

— ალექსანდრ სუვოროვი მეომრებს მოუწოდებდა, — დაენდოთ მტერი, თუ შეწყალებას ითხოვდა და არ მოეკლათ ის, ვისაც არ..

— არ ჰქონდა იარაღი. ისე მაგათ რა უთხარი. სულ მასე არ იქცოდნენ?

— სუვოროვს არ დაუჯერეს და იგი კათოლიკური ეკლესიის ბრძანებით 1431 წელს კონცონზე დაწვეს. 1920 წელს კი იმავე ეკლესიის ბრძანებით წმინდანად შერაცხეს. ვინ იყო იგი?

— ჟანა დ'არკი.

— ვინ იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი ქართველი სტუდენტი?

— ვერაფრით მიმანიშნებთ?

— ის ამ უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. 1932 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისთვის დააპატიმრეს და გააცემბირეს, 1835 წელს ჭლექით გარდაიცვალა.

— (ფიქრობს) ვერ ვიხსენებ. აშკარად რომელიმე თავადი იქნებოდა. ჭავჭავაძეები? არა, არა. ვინ იყო?

„ისტორიული ნაწარმოებები ყოველთვის მიზიდავდა. ჩემი აზრით, საკუთარი ქვეყნის ისტორია მსოფლიო ისტორიის კონტექსტში უნდა იცოდეს. ამ პლანეტაზე მხოლოდ ჩვენ არ ვცხოვრობთ. ის მოვლენები, რომლებიც გარშემო ხდება, ჩვენზეც აისახება და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისტორია ზშირად მეორდება. თუ გინდა, შენი ქვეყნის მომავალი სწორად განავითარო, სწორედ ისტორია უნდა იცოდეს კარგად“.



- სოლომონ დოდაშვილი.
- უნდა მეპასუხა. არ ვიცოდი, დოდაშვილი ჭლებით თუ გარდაიცვალა.
- რომელი მეფის დედა იყო ქეთევან წამებული?
- თეიმურაზ I-ის.
- იერუსალიმში სიონის მთის ფერდობზე მდებარეობს ეკლესია, რომელიც იწოდება გალიკანტედ. ეს ეკლესია წმინდა პეტრეს სახელობისაა. ლეგენდა გადმოგვცემს, რომ სწორედ იმ ადგილზეა აშენებული, სადაც პეტრეს შემოესმა... რა შემოესმა?
- მამლის ყივილი. მას შემდეგ, რაც ქრისტე სამჯერ უარყო.
- რომელი ქართული სიმღერის მელოდიაა გამოყენებული ჩაიკოვსკის „მაკნატუნაში“?
- ვერ ვიხსენებ...
- „იავნანა“.
- ჰოო? „მაკნატუნა“ ბავშვობის მერე არ მინახავს.
- რას უწოდებენ იმ გამოჩენილ ადამიანებს, რომლებიც გაეროს მსოფლიოში მშვიდობის დამყარებაში ეხმარებიან?
- კეთილი ნების ელჩებს.
- თამარ მეფე უფრო დიდხანს მეფობდა თუ დავით აღმაშენებელი?
- დავით აღმაშენებელი.
- საფრანგეთის ამ მეფემ 72 წელიწადს იმეფა. ამბობდნენ, მისი მეფობის დასასრულს

- დასაწყისი აღარ ახსოვდათ. რომელ მეფეზეა ლაპარაკი და რა იყო მისი ეპითეტი?
- რომელიღაც ლუი იქნება. ფრანგებს ბევრი ლუი ჰყავდათ.
- მიგანიშნებთ, 1655 წელს საფრანგეთის პარლამენტი შეეცადა, მისთვის ქვეყნის მართვის პოლიტიკა შეეცვლევინებინათ, რადგან მიანჩნდათ, რომ სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. მან კი განაცხადა: „სახელმწიფო — ეს მე ვარ“.
- ლუდოვიკო XIV-ზეა ლაპარაკი.
- მისი ეპითეტიც გაიხსენეთ.
- მეფე მზე.
- საფრანგეთის ამ პრეზიდენტს კი თავს 30-ჯერ დაესხნენ, მაგრამ ტერორისტებს ხელი მოეცარათ.
- შარლ დე გოლი.
- „მე პატარა ქართველი ვარ“, ვინ არის ამ ლექსის ავტორი?
- დუტუ მეგრელი.
- ეს მისი ფსევდონიმია.
- ნამდვილი სახელი და გვარი არ ვიცი.
- დიმიტრი ზოშტარია. და ბოლოს, დაასრულეთ რომაელი ფილოსოფოსის, ციცერონის ცნობილი გამონათქვამი: „თავისუფალი რომ იყო, უნდა იყო მონა...“
- სიმართლის?
- „...უნდა იყო მონა კანონისა“.

თამარ კვინიკაძე

სამარხებსა და ტაძრებში

18

ძვ. წ. 2150 წლიდან ფარაონებს პირამიდების ნაცვლად მეფეთა ველზე მარხავდნენ. ფრიალო კლდეებით გარშემორტყმული მეფეთა ველი დასახლებული ადგილებიდან შორს, ქალაქ თებესთან, ნილოსის დასავლეთ სანაპიროზე იყო გადაჭიმული. ზოგ სამარხს კლდეში კვეთდნენ, ზოგსაც მიწაში თხრიდნენ.




მმართველები სამეფო სამარხებს ერთიანად მარცვავენ — მიჰქონდათ ოქრო-ვერცხლი, ძვირფასი თვლები, ავეჯი, ტანსაცმელი, ქოთნები, ზოგჯერ თვით მუმიაც.

19

მმართველებს სამარხებში დაცული სიმდიდრე იზიდავდა. ამიტომ მეფეთა ველის შესასვლელი დაცული იყო, მაგრამ მმართველებმა 1000 წლის განმავლობაში ყველა სამარხში შეაღწიეს, გარდა ერთისა — მეფე ტუტანხამონის სამარხი ერთადერთი იყო, რომელიც მთლიანად არ გაძარცვულა.



ხალასი ოქროსგან დამზადებული ტუტანხამონის ნიღაბი მეფეთა ველზე იპოვეს. ახალგაზრდა ფარაონის თითქმის ზეღუზლებელი განსასვენებელი 80 წლის წინ აღმოაჩინეს.



20

არქეოლოგები აღმოაჩენენ და იკვლევენ ისტორიულ ობიექტებს. ინგლისელმა არქეოლოგმა ჰოვარდ კარტერმა ტუტანხამონის სამარხი 1922 წელს აღმოაჩინა.

ფარაონის მუშია სამ სარკოფაგში განისვენებდა. მესამე — შიდა სარკოფაგი ოქროსი იყო, დანარჩენი ორი — მოოქრული ხისა. სამივე კვარციტისგან გამოკვეთილ დიდ სარკოფაგში იყო ჩადგმული.

მონატული აკლდამები საცხედრებითა და სარკოფაგებით

დასაკრძალავი აკლდამის მონატული კედლები

ოქროს აკლდამა, სადაც კანოპები ინახება

ანუბისი, ტურისთავიანი ღვთაება

საგანძურის ოთახი

ჰოვარდ კარტერმა და მისმა დამფინანსებელმა ლორდ კარნარვონმა ტუტანხამონის სამარხი ეგვიპტეში ხუთი დღის განმავლობაში ჩატარებული გათხრების შემდეგ იპოვეს. კარნარვონი სამარხში პირველი შესვლიდან ოთხ თვეში გარდაიცვალა. როგორც ამბობდნენ, ის ფარაონის „წყევლას“ ემსხვერპლა, რადგან მის ნეშტს სიმშვიდე „დაურღვია“. სინამდვილეში კი ლორდი კარნარვონი კოლოს ნაკბენით გარდაიცვალა.

დაუჯერებელია!

ვისაც ტაძარში შესვლა სურდა, ჯერ თმა და წარბები უნდა მოეპარსა, რომ შესვლის უფლება მიეღო.



21

ძველი ეგვიპტელები დიდებულ ტაძრებს აგებდნენ, რომ ღმერთებისთვის პატფი მიეგოთ. ტაძრებს გაგლენიანი ქურუმები განაგებდნენ. მათ ხელში იყრიდა თავს მიწები და დიდი სიმდიდრე. ტაძრების უმრავლესობა უზენაეს ღვთაებას — ამონ-რას ეძღვნებოდა.

22

აბუ-სიმბალის ტაძარი, რომელიც ეგვიპტის სამხრეთში მდებარეობს, კლდეშია გამოკვეთილი. ის რამზეს II-ის ბრძანებით ააშენეს. ტაძარი ისეა აგებული, რომ წელიწადში ორჯერ — 22 თებერვალსა და 22 ოქტომბერს — ამომავალი მზის სხივები საკურთხეველში დადგმულ ოთხი ღვთაების ქანდაკებას ეცემა.



რამზეს II-ის ოთხი უზარმაზარი ქანდაკება აბუ-სიმბალის ტაძრის შესასვლელს იცავს. თითოეულის სიმაღლე 20 მეტრია.

დიდი სამშენებლო ბლოკები

23

თითოეული ბლოკი, რომელიც დიდი პირამიდის ასაშენებლად გამოიყენეს, ორი მოზრდილი სპილოს წონისა იყო. მუშები ქვის საჭრელად და ფორმის მისაცემად სპილენძის საჭრეთელსა და ხერხს იყენებდნენ, მერე საგანგებოდ მომზადებული ხის მარხილებით პირამიდებისკენ ეზიდებოდნენ.

მუშები წლების განმავლობაში მუშაობდნენ პირამიდების მშენებლობაზე.

პირამიდები მაღალხარისხიანი თეთრი კირქვით იყო მოპირკეთებული.

ხის მარხილი, რომლითაც ქვები გადაჰქონდათ.

მუშებს უდაბნოს მცხუნვარე მზისგან თავის დასაცავად წყლით ამარაგებდნენ.

უზარმაზარი ქვის ლოდები დიდი სიზუსტით უნდა ყოფილიყო დაწყობილი.

ერთი პირამიდის ასაგებად ორი მილიონი ცალი ბლოკი იყო საჭირო და მის აშენებას 20 წელიწადს ანდომებდნენ.

მუშები ქვის ლოდებს ზემოთ საგანგებოდ მოწყობილი ბაქნების მეშვეობით ეზიდებოდნენ.

24

ტალახის აგურებითა და ნაშალი მიწით აგებული ვეებერთელა, მაღალი ბაქნების მეშვეობით ქვის ლოდები ზემოთ აპქონდათ. როცა ქვების ერთი ფენა სრულად დაეწყობოდა, ბაქნებს დააგრძელებდნენ, რათა მუშებს შემდეგი ფენის აგება შეძლებოდათ.

დაუჯერებელია!

იმპოტები, საკარაში საფეხურიანი პირამიდის აშენებელი, იყო არა მხოლოდ ნიჭიერი არქიტექტორი, არამედ ვეზირი, ექიმი, გადამწერი, უმაღლესი ქურუმი და პოეტიც! ის ოთხ სხვადასხვა მეფეს ემსახურა.



მუმიების დამზადება

25

მუმიების დამზადება ძალზე რთული იყო და დიდ ოსტატობას მოითხოვდა. თავდაპირველად ცხედარს ტვინს, კუჭს, ფილტვებსა და სხვა შინაგან ორგანოებს აცლიდნენ, მაგრამ გული სხეულში რჩებოდა. შემდეგ ცხედარს მარილს აყრიდნენ და 40 დღის განმავლობაში აშრობდნენ. გამომშრალ ცხედარს ასუფთავებდნენ და სახვევებში მოხვეულს ისევ ტილოში ახვევდნენ. ბოლოს ნელსაცხებლებით გაჟღენთდნენ. მუმიას ბოლოს ტილოს საფენით გადაახვევდნენ.

იმქვეყნიურ სამყაროში გარდაცვლილის სულს ღვთაება ანუბისი მიუძღოდა, ამიტომაც ქურუმს მისი ნილაბი ეკეთა



მუმიფიცირებული ძაღლი



მუმიფიცირებული კატა

შინაგანი ორგანოების შესანახი სპეციალური ჭურჭელი — კანოპი ამა თუ იმ ღვთაებას განასახიერებდა

მიცვალებულს ბოროტი სულებისგან დასაცავად აგვაროზებს ატანდნენ.

26

დიდგვაროვანი შეიძლება საყვარელ ცხოველთან ერთად დაეკრძალათ. მიუხედავად იმისა, რომ მუმიფიცირება ძალიან ძვირი ჯდება, ცხოველებს მაინც აბალხამებდნენ, რათა ღმერთებისთვის პატივი მიეგოთ. არქეოლოგებმა აღმოაჩინეს არა მხოლოდ მუმიფიცირებული ძაღლი და კატა, არამედ ნიანგიც, რომლის სიგრძე 4,5 მეტრი იყო.

27

გარდაცვლილის შინაგან ორგანოებს — კუჭს, ნაწლავებს, ფილტვებსა და ღვიძლს ინახავდნენ ოთხ სხვადასხვა ქოთანში, რომელთაც კანოპები ეწოდებოდა.



ხის საცხედრე

ბააკეთი ნილაბი

დაგჭირდება:

სათამაშო ნილაბი (პლასტმასის ან მაგარი მუყაოს), წებო, ფუნჯი, გაზეთი, პლაკატის ოქროსფერი საღებავი და თეთრი საღებავი.



შეგიძლია გამოიყენო იაფფასიანი ნილაბი, რომელიც წებოს სქელი ფენით უნდა დაფარო. ნილაბს ზოლებად დაჭრილი გაზეთის ნაჭრები დააწებე და ცოტა ხნით გასაშრობად დატოვე.

მერე ნილაბს თეთრი საღებავი წაუსვი. როცა გაშრება, პლაკატის საღებავი გადაუსვი და ნილაბიც მზად არის!

თუ ოქროსფერი საღებავი არ გაქვს, შეგიძლია დეკორატიული ოქროს ფხვნილი გამოიყენო.

28

მუმიას სახეს ნილბით უფარავდნენ. ძველ ეგვიპტელებს სჯეროდათ, რომ ნილაბი გარდაცვლილის სულს საკუთარი სხეულის ცნობაში დაეხმარებოდა. ფარაონის ნილაბი ოქროსა და ძვირფასი ქვებისგან მზადდებოდა.

29

მუმიას სპეციალურ ყუთში ათავსებდნენ. ზოგს უბრალო ხისგან ამზადებდნენ, ზოგს მუმიის ფორმა ჰქონდა და მდიდრულად იყო გაფორმებული. ფარაონის ან დიდგვარონის ცხედრიან ყუთს დგამდნენ ქვის საცხედრეში, რომელსაც სარკოფაგი ეწოდებოდა.



ეგვიპტელთა სახლები

30

ძველი ეგვიპტელები სახლებს მზეზე გამოშრალი ტალახის აგურებით აშენებდნენ. ტალახს ნილოსიდან იღებდნენ და სიმეგრისთვის ღორღსა და ნამჯას უმატებდნენ. ბრტყელი სახურავი პალმის ხის ვარჯებს ეყრდნობოდა. შიდა კედლები მობათქაშებული იყო და ხშირად ღებავდნენ კიდევ. შეძლებული ეგვიპტელები რამდენიმე სათულის დიდ სახლებში ცხოვრობდნენ. ღარიბი ოჯახი საყოფაცხოვრებო ნივთებით საესე ერთ ოთახში ცხოვრობდა.



▲ ტალახის, ნამჯისა და ღორღის ნარევის ხის ყალიბებში ათავსებდნენ და გამოსაშრობად მზეზე ტოვებდნენ, რომ აგურის ფორმა მისცემოდა.

31

ეგვიპტელებს სახლებში პატარა სალოცავები ჰქონდათ. აქ პატოვს მიაგებდნენ ოჯახის მფარველ ღვთაებას.



◀ ეგვიპტელთა ჯუჯა ღვთაება ბესი ბავშვებისა და ოჯახის მფარველი იყო.

32

ეგვიპტელთა სახლები გაწყობილი იყო ხის ტაბურეტებით, სკამებით, მაგიდებით, სკოფრებითა და ხელნაკეთი ხის საწოლებით. დაბალი სამ და ოთხფეხა ხის ტაბურეტები ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ავეჯი იყო. ლერწმისგან დაწნული ჭილოფები იატაკს ფარავდა.

33

მდიდარი ოჯახები ქალაქისგან მოშორებით ფართო, მდიდრულ სახლებში ცხოვრობდნენ. მდიდართა სახლებს წინ ჰქონდა დიდი გუბურები, რომლებიც თევზებით იყო საესე. სახლს კედელივით ერთგვარს გარს ყვავილნარი და ხეხილი.



34

საკვებს თიხის ღუმელებში ან გარეთ დანთებულ ცეცხლზე აშხადებდნენ. სამზარეულოში გამოიწვარი თიხისგან დამზადებული, ცილინდრული ფორმის ქურები ედგათ. საწვავად შეშას ან ხის ნახშირს იყენებდნენ. კერძებს ორსახელური-ან თიხის ქოთნებში ხარშავდნენ.

▼ ძველ ეგვიპტეში ბავშვები ხის სათამაშოებით ერთობოდნენ.



უპასუხე კითხვებს

1. რატომ მარხავდნენ ეგვიპტელები ნავს ფარაონის პირამიდაში?
2. რომელ შინაგან ორგანოს ტოვებდნენ მუმიის სხეულში?
3. ვინ იყო ჰოვარდ კარტერი?
4. რატომ არ ჰქონდათ საქმე ყოველი წლის ივლისიდან ნოემბრამდე გლეხებს?

• რამზაყად
 იღნტყიე ვცისაზოკე თკაშიე მრავიშე ჰ
 ლეყიკაგბე იღიშაშ
 იეიკეიფიღნტყ მიენშენკაე იენაშაქსქეა :ჯ
 ილშს ჯ
 • შალენენშოკაღე იღიღსწიკი ი კსიეგნშქეი ჯ
 ძუნეიღიღ

35

ძველ ეგვიპტელებს სახლებში უმეტესად თიხის ლამპები ჰქონდათ. ლამპაში ზეთს ასხამდნენ და პატარუქად ბამბას ან სელს უკეთებდნენ. სახლები უფანჯრო იყო ან ძალიან პატარა სარკმლები ჰქონდა. ამიტომაც სახლში შუქი ძნელად აღწევდა. სამაგიეროდ, პატარა სარკმლები მცხუნვარე მზის სხივებს აკავებდა და სახლებში სიგრილე იყო.



36

ძველ ეგვიპტეში საკვებს ხელით შეექცეოდნენ. მდიდარ ოჯახებში მოსამსახურეებს წყლით სავსე ღოქები ეჭირათ და თითოეული კერძის მირთმევის შემდეგ ბატონებს ხელს აბანებდნენ.

	1	2	3
	აზერბაიჯანის პრეზიდენტი	უმაღლესი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანო ძვ. რომში	სკანდინავიელი მეფე-მეზღვეური
	4	5	6
	ციმბირის დამპყრობელი	ჯარისკაცი თურქეთში	ინდიელთა ტომი
			7
			ქართველთა წინდანი
8	9		10
მარტის ძე ქართული სახელწოდება	რომელიმე უფროსის მოადგილე მუსლიმანებში		სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტული ძე საფრანგეთში
			11
			ალექსანდრე მაკედონელის ცხენი
			12
			მუსლიმანთა დღესასწაული
		13	14
		რუსეთის იმპერატორი ... I 1689-1725 წ.წ.	ერო
15			
ლატვიის პარლამენტი			
16	17	18	
გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი	კარნაქელი საზოგადოებრივი ფენა	ორთაბრძოლა რამე იარაღით	
			19
			აერიკის შტატი
		21	22
		მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში	ლუისმშობ-ლის სახელწოდება კათოლიკეებში
23			24
გერმანული ფაშაზი			მუსლიმანთა კულტის მსახური

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:
 1. თაბორი; 2. აბაშეთი; 3. სიბილა; 4. ტუტანჰამონი; 5. ზიკურათი; 6. ბალადა; 7. ბეირუთი; 8. ლიზეტა; 9. ბლოკადა; 10. იოანე; 11. ლი; 12. ულუ; 13. კოპალა; 14. ჩოღადარი; 15. ნარა; 16. გალი; 17. პააგა; 18. ვარე; 19. ქართლი; 20. მაისი; 21. ფალი; 22. ფერდინანდი; 23. პორტა; 24. კიი; 25. შიო; 26. იბერი. სურათზე: თამარი.